ნ. ჭეგაძე

დამზადების ოპერაციების რევიზია და კონტროლი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1972

657.6÷334.6
ბ 351

ნაშრომში განხილულია მატყლის, ტყავნედლეულის, დაფნის ფოთლის, ლუფის, სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციის ოპერაციები, ამ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებისა და მისი შედეგების დადგენის წესები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადება-რეალიზაციასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და აღრიცხვა-ანგარიშვების შემოწმებას, საწარმოს რენტაბელობის ამაღლებისათვის რეზერვების გამოვლინებას და სხვ.

წიგნი განკუთვნილია რევიზორების, ბუღალტრების, ინსტრუქტორების, ეკონომისტების, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე კონტროლიორებისა და დაწესებების ორგანიზაციის მუშაკთათვის.

1—8—6
72 ადბ

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიასა და კონტროლზე რამდენიმე სახელმძღვანელო და ნაშრომია გამოქვეყნებული, მაგრამ ცალკე, უფრო ვრცელი, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის შესყიდვა-რეალიზაციის ოპერაციების რევიზიისა და კონტროლის საკითხების შესახებ ნაშრომი ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება.

წინამდებარე წიგნში გაშუქებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვა-რეალიზაციის ოპერაციების შემოწმების მეთოდი, ორგანიზაციული საკითხები, დოკუმენტური რევიზიის და ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკა, რომელთა ცოდნა და გამოყენება აუცილებელია კვალიფიციური რევიზორების, ბუხჰალტრების, ინსტრუქტორების, ეკონომისტების, საზოგადოებრივი კონტროლიორებისა და დამზადების ორგანიზაციის ხელმძღვანელთათვის.

წიგნის შედგენისას ვიხელმძღვანელეთ 1971 წლის 1 ოქტომბრამდე გამოცემული სახელმძღვანელო მითითებებით სამომხმარებლო კოოპერაციაში დოკუმენტური რევიზიისა და საბუხჰალტრო აღრიცხვის შესახებ, აგრეთვე იმ ცირკულარული წერილებით, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადება-შესყიდვის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

რამდენადაც ნაშრომი ქართულ ენაზე ამ თემის დამუშავების პირველ ცდას წარმოადგენს, იგი, ალბათ, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან. შრომის ირგვლივ გამოთქმულ ყოველგვარ საქმიან შენიშვნას ავტორი დიდი სიამოვნებით მიიღებს და გამოიყენებს მათ წიგნის შემდგომი სრულყოფისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სამომხმარებლო კოოპერაცია მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც აგებულია ფართო დემოკრატიულ საწყისებზე. სამომხმარებლო კოოპერაციის წესდება მის ყოველ წევრს ავალებს გაუფრთხილდეს და დაიცვას კოოპერაციული საკუთრება.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ზემდგომი ორგანოების დადგენილებებითა და მითითებებით. ხელმძღვანელი ორგანოები კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ დააწესონ მკაცრი კონტროლი ვაჭრობის, დამზადებისა და საწარმოო ობიექტების საქმიანობისადმი.

კომპლექსურმა ღონისძიებებმა, რაც ძირითადად მიმართული იყო დაქვემდებარებული ორგანიზაციებისადმი მომთხოვნელობისა და კონტროლის გაძლიერებისაკენ, კადრების შერჩევის გაუმჯობესებისაკენ, თითოეულ საწარმოში საბუხჰალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სანიმუშოდ დასაყენებლად, საკონტროლო-სარევიზიო და საზოგადოებრივ-მასობრივი კონტროლის კარგად ორგანიზებისათვის, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სათანადო შედეგი გამოიღო — მკვეთრად შემცირდა სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტები.

კოოპერაციული საკუთრების წარმატებით დაცვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გამოირიცხება სოციალისტური ქონების მტაცებლობისა და სხვაგვარ ბოროტმოქმედებათა ჩადენის შესაძლებლობა. ამისათვის აუცილებელია სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით ზუსტად აღირიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, ფულადი სახსრები და საერთოდ მთელი ფასეულობა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისათვის აუცილებელია აღრიცხვისა და კონტროლის სისტემატური გაუმჯობესება.

აღრიცხვისა და კონტროლის დროს გულგრილობა, ხელმიშვე-

ბულება-დაუდევრობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის და უადვილებს დამნაშავე ელემენტებს კოოპერაციული საკუთრების დატაცებას.

სამომხმარებლო კოოპერაციაში კონტროლის ერთ-ერთი სახეა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიები და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

კონტროლი მიზნად ისახავს არა მარტო დამნაშავე პირების გამოვლინებას, არამედ ნაკლოვანებათა და ბოროტმოქმედებათა გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებისათვის სათანადო ზომების მიღებას.

რევიზორებზე ბევრად არის დამოკიდებული ორგანიზაციების (საწარმოების) სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად გამოვლინება. ამიტომ რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩამტარებელ პირს სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად მოეთხოვება იყოს უანგარო, პატიოსანი, კეთილსინდისიერი, პრინციპული და შეურიგებელი სოციალისტური საკუთრების ხელმყოფთა მიმართ. კარგად ჩატარებული რევიზია და ინვენტარიზაცია საშუალებას იძლევა თავის დროზე გამოვლინდეს დანაშაული და დადგინდეს დამნაშავე პირები.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურმა რევიზიებმა უნდა შეამოწმონ სარევიზიო ობიექტის ეკონომიკის მდგომარეობა, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ღრმა ანალიზის შედეგად უნდა გამოავლინონ დარღვევები და ნაკლოვანებანი, გამოარკვიონ რა ღონისძიებები ხორციელდება სოციალისტური კანონმდებლობისა და სახელმწიფო დისციპლინის დასაცავად, ამასთან, უნდა აღმოფხვრან რევიზიის პროცესში გამოვლინებული ნაკლოვანება და დარღვევები, უნდა შეამცირონ მიმოქცევისა და წარმოების ხარჯები, უნდა გაზარდონ რენტაბელობა, განამტკიცონ ფინანსური მდგომარეობა, უნდა გაამარტივონ სამმართველო აპარატი და შეამცირონ მისი ხარჯები.

მიუხედავად იმისა, რომ სარევიზიო საქმიანობის სრულყოფისათვის მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებებია გატარებული, ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში მაინც სერიოზული ნაკლოვანებებია, ეს განსაკუთრებით ეხება მის როლს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლაში.

სამომხმარებლო კოოპერაციას ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლი არა მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარ-

მოების საქმიანობაზე, არამედ უზრუნველყოს ყოველდღიური და სისტემატური კონტროლი თითოეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიმართაც.

სამომხმარებლო კოოპერაციაში უწყებრივ საკონტროლო-სარევიზიო აპარატთან ერთად კონტროლს ახორციელებენ კოოპერაციის წევრთა (მეპაიეთა) მიერ საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეული ორგანოები — საკონტროლო კომისიები, რომელთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება სსრკ სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობის დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი წესებითა და სპეციალური დებულებით.

საკონტროლო კომისიების, რომლებიც ირჩევა სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობისა და კრებების მიერ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისას ისინი ზრდიან კადრებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი მაღალი მოთხოვნილების სულისკვეთებით.

საკონტროლო კომისიების მუშაობის სწორად წარმართვაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს დამნაშავე ელემენტების მხრივ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან კოოპერაციული საკუთრების დაცვა და ხელი შეუწყოს კოოპერაციულ ორგანიზაციებში დანაკლისების, მტაცებლობისა და მატერიალურ ფასეულობათა უყაირათოდ ხარჯვის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, ბევრად არის დამოკიდებული კოოპერაციული ორგანიზაციების ნაყოფიერი საქმიანობა, სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანებულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სოციალისტური საკუთრების დაცვა და განმტკიცება ეს პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოების სისხლხორცეული საქმეა.

როგორც ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, საჭიროა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ. „...მხოლოდ მუშათა და გლეხთა მ ა ს ი ს ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, რევოლუციური ენთუზიაზმით გაწეულ თანამშრომლობას აღრიცხვასა და კონტროლში მ დ ი დ რ ე ბ ი ს, გ ა ი ძ ვ ე რ ე ბ ი ს, მ უ ქ თ ა ხ ო რ ე ბ ი ს, ხ უ ლ ი გ ნ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ შეუძლია მოსპოს წყეული კაპიტალისტური სა-

ზოგადოების ეს გადმონაშთები, კაცობრიობის ეს ნაძირალები, ეს საბოლოოდ დამპალი და მკვდარი წევრნი, ეს ჭირი, ქამი, წყლული, რომელიც სოციალიზმს მემკვიდრეობად გადმოეცა კაპიტალიზმისაგან"[1].

ამრიგად, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკური ღონისძიებების ფართოდ დანერგვა, დანაშაულის გამომწვევი ყველა პირობისა და მიზეზის შესწავლა და აღკვეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის დაცვის საქმეში ხალხის ფართო მასების მონაწილეობა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარმოების უპირველესი საშუალებაა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ.. ტ. 26, გვ. 477.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა სოციალისტური წყობილების შექმნასა და განმტკიცებასთან.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე თვეებიდან ხელისუფლების საზრუნავი იყო სოფელთან საქონლის გაცვლის მოწესრიგება, მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას არ გააჩნდა სოფლის მეურნეობის სურსათსა და ნედლეულზე გადასაცვლელი სამრეწველო საქონელი და იძულებული იყო დაეწესებინა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება უსასყიდლოდ, სასურსათო გაწერის სახით. ეს პერიოდი, 1918-1920 წლები, ცნობილია „სამხედრო კომუნიზმის" სახელწოდებით.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, გლეხობის უდიდესი ნაწილი ურიგდებოდა სასურსათო გაწერის ფორმას, რადგან მას ამოქმედებდა ინტერესები საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელმაც უსასყიდლოდ მისცა მიწა და გაანთავისუფლა იგი კაპიტალისტური მძიმე შრომის პირობებისაგან. ამასთან, პარტიისათვის ცნობილი იყო, რომ სასურსათო გაწერა როგორც იძულებითი, დროებითი ღონისძიება, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ დააკმაყოფილებდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ახალ ამოცანებს. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მე-10 ყრილობაზე, 1921 წლის მარტში, მიიღო დადგენილება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სასურსათო გაწერა შეიცვალა სასურსათო გადასახადით.

სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლამ დიდი როლი შეასრულა სახელმწიფო სურსათითა და ნედლეულით მომარაგების საქმეში, განამტკიცა მუშებისა და გლეხების ეკონო-

მიური კავშირი და ბრწყინვალედ შეასრულა ის გრანდიოზული ამოცანები, რასაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ითვალისწინებდა.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველსავე წლებში შეიქმნა გლეხური მეურნეობის სხვადასხვა სახის კოოპერაცია. მათი მიზანი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეგროვება და გასაღება, სამრეწველო საქონლით სოფლის მომარაგება და სხვ.

ამ პერიოდში დიდ როლს ასრულებდა სამომხმარებლო კოოპერაციის პირველადი ობიექტები, რომლებიც ეხმარებოდნენ გლეხობას პირადი მოხმარების საქონლის შეძენაში და საერთოდ, ხელს უწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას.

მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ურთიერთობის, ქალაქისა და სოფლის კავშირის თავდაპირველი და უმარტივესი ფორმა იყო კონტრაქტაციის ფორმა — წინასწარი შეთანხმებისა და დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შეგროვება. ამ ფორმამ მეტად დიდი როლი შეასრულა გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოსა და კოოპერაციული მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულებაში. მაგრამ შემდეგ საფეხურზე, მრეწველობის განვითარების მაღალ ტემპს უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა წვრილი გლეხური მეურნეობა. აუცილებელი გახდა ახალი ცვლილებები მეურნეობების საწარმოო გაერთიანებების სახით. ასეთი იყო კოოპერაციის პირვანდელი ფორმა, მიწის ერთად დამუშავების ამხანაგობები, რომელთაც შექმნეს სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების მაღალი ფორმა — სასოფლო-სამეურნეო არტელი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ჩამოყალიბებამ, შემდგომმა განვითარებამ და სრულყოფამ, მთელი თავისი არსებობის მანძილზე უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა დაქუცმაცებული მეურნეობების მსხვილ აგრარულ მეურნეობაზე გადასვლის საქმეში, მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის, სოფლის მეურნეობის ახალი მაღალნაყოფიერი მანქანებით შეიარაღების, მისი მაღალმოსავლიანობისა და მძიმე შრომის შემსუბუქების საქმეში. ამავე დროს ეს სადგურები გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მობილიზაციის, მისი დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიწოდების ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოციალისტური საზოგადოების განმტკიცების საქმეს.

სოფლის მეურნეობის განვითარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1968 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, რომელმაც დიდი ორგანიზაციული ცვლილებები მოახდინა.

დამზადების ძირითად განმაზოგადებელ მაჩვენებლად მიღებულ იქნა სახელმწიფო დამზადების გეგმები, ხოლო მის ფორმად — სახელმწიფო შესყიდვები. სახელმწიფო შესყიდვის სახით დამზადების ერთიანი ფორმა შეიქმნა წინათ არსებული სხვადასხვა სახის ფორმის ნაცვლად. მთავარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და სხვა სანედლეულო მასალებზე სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დადგენამ, მისი წარმოების ორგანიზაციულ გაუმჯობესებასთან ერთად, ხელი შეუწყო ცალკეული დარგების სპეციალიზაციის განვითარებას და მკვეთრად აამაღლა საერთო მოსავლიანობა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გარდა სახელმწიფო ამზადებს აგრეთვე მრეწველობისათვის მეტად საჭირო მეორად ნედლეულსა და გამოსაყენებელ ნარჩენებს, რაც საგრძნობლად ადიდებს მრეწველობის სანედლეულო რესურსებს, კერძოდ, შავი და ფერადი ლითონების ჯართს, შალისა და ბამბის ნახმარ ტანისამოსსა და ქსოვილებს, ქაღალდის მაკულატურას, სხვადასხვა მასალასა და პროდუქტს.

დამზადების გეგმების რაოდენობრივ ზრდაზე დიდი გავლენა იქონია კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილ პროდუქტთა ნაწილის რეალიზაციამ.

ამრიგად, ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დადგენამ, რასაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ, კანონის ძალა მოიპოვა, განამტკიცა მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და მრეწველობის ნედლეულით შეუფერხებელი მომარაგება და გადააქცია იგი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ორმხრივ სასარგებლო დაკვეთად.

დიდი გარდატეხა მოახდინა დამზადების ორგანიზაციაზე 1965 წლის მარტის პლენუმმა და მის საფუძველზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებულმა ერთობლივმა დადგენილებებმა.

ეს დადგენილებები ითვალისწინებდა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მატერიალური სტიმულირების ამ-

აღლების ღონისძიებებს, მარცვლეული კულტურების, ხორცის, რძის, შაქრის ჭარხლის და სხვა პროდუქტების ყარძოება-დამზადების სტიმულირების გაძლიერებას, სახელმწიფოს შესასყიდი ფასების ცვლილებებს, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურებასა და კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფას.

მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი გამომდინარეობს შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონის მოთხოვნილებიდან და ემყარება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურებას. 1966 წლის 1 ივლისიდან შემოღებულ იქნა კოლმეურნეობებში შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურება (ფულითა და ნატურით) საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი კატეგორიების მუშაკთა სატარიფო განაკვეთების შესაბამისად, რამაც დიდად შეუწყო ხელი საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრამ. მეურნეობები, რომელთაც დაბალი რენტაბელობა აქვთ, შეღავათებით სარგებლობენ, ბევრი მათგანი კი სრულიად თავისუფლდება დაბეგვრისაგან, რაც სრულყოფს კოლწევრების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობებს.

ყველა იმ ღონისძიების შედეგად, რომელიც 1965 წლის მარტის პლენუმმა შეიმუშავა და შემდეგ სსრკ პარტიის XXIII ყრილობამ განაზოგადა, განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, ამაღლდა საჰექტარო მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაიზარდა რენტაბელობა, რამაც საბოლოო ჯამში მკვეთრად გააუმჯობესა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და სახალხო მეურნეობის მომარაგება.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების პერსპექტიული გეგმით კიდევ უფრო გრანდიოზული გეგმებია დასახული. სოფლის მეურნეობის საერთო განვითარებისა და დამზადების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებში საკავშირო კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა დირექტივები. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1970 წლის 2 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ „სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლების განმავლობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები, მაგ-

,რამ თუ შევაფასებთ მათ ქვეყნის საკვები პროდუქტებითა და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მზარდი მოთხოვნილების პოზიციებიდან, მაშინ დღევანდელი დონე სოფლის მეურნეობის წარმოებისა არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპი და ხალხის ცხოვრების დონის მუდმივი აღმავლობა, სოფლის მეურნეობას უყენებს ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნილებებს"[1].

ამჟამად, სახელმწიფო დამზადება გვევლინება, როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კავშირის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმა. „სახელმწიფო დამზადებები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ცენტრალიზებული განაწილების (რეალიზაციის) ფორმას, რომელსაც იყენებს სახელმწიფო, სოციალისტური წარმოების გეგმაზომიერი, პროპორციული განაწილებისათვის სოფლად და ქალაქად, მოსახლეობის და მრეწველობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის სურსათითა და ნედლეულით და სახელმწიფო მარაგებისა და ფონდების შექმნისათვის"[2].

აღსანიშნავია, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია როგორც ძირითადი მტკიცე სახელმწიფო გეგმების, ისე დამზადების დამატებითი გეგმების შესრულება, რაც მოითხოვს დაძაბულ შრომასა და ფართო მასშტაბის საქმიანობას.

ზოგიერთი ნედლეულის, კერძოდ, წვრილი ზომის ტყავნედლეულის დამზადების ხვედრითი წონა საერთო დამზადებაში თანდათან იზრდება.

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია ყურძნის, პირუტყვისა და ფრინველის ხორცის, ჩაის ფოთლის, კვერცხის, რძისა და სხვა პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობით დამზადება.

სამომხმარებლო კოოპერაცია ერთი ძირითადთაგანი, ფართო მასშტაბისა და მრავალნაირი ასორტიმენტის ნედლეულისა და საკვები პროდუქტების დამამზადებელი ორგანიზაციაა. მან განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია მსუბუქ, საფეიქრო, კვების და ადგილობრივი მრეწველობის დარგებს ნედლეულით უზრუნველყო-

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებები, მიღებული 1970 წლის 3 ივლისს, პოლიტგამომცემლობა, 1970 წელი, გვ. 51.

[2] **В. А. Караваев и Р. В. Пикулькин «Государственные заготовки и сбыт сельскохозяйственной продукции», Издательство «Экономика», Москва, 1971 г. стр. 8.**

ფაში, ხოლო მოსახლეობას — საკვები პროდუქტებით მომარაგებაში.

სამომხმარებლო კოოპერაციამ დიდი როლი შეასრულა აგრეთვე სოფლის მოსახლეობაში საბჭოთა ვაჭრობის განვითარების, გლეხობის საყოფაცხოვრებო საქონლით მომარაგებისა და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

დიდია სამომხმარებლო კოოპერაციის ხვედრითი წილი საერთო დამზადების საქმეში. „სამომხმარებლო კოოპერაციის წილი ქვეყნის საერთო დამზადებაში 1967 წლის მონაცემებით შეადგენდა: მატყლისა — 100%-ს, კვერცხისა — 100%-ს, ტყავნედლეულის, რომელსაც ამზადებენ კოლმეურნეები, სახელმწიფო ორგანიზაციები და მოსახლეობა (ხორცკომბინატებში დამზადების გარეშე) — 100%-ს, ქურქ-ბეწვეულის დამზადება — 42%-ს, კარტოფილის დამზადება — 47%-ს, მებაღჩეობა — 76%-ს, მზესუმზირისა და კურკოვანი ხილის დამზადება — 27%-ს და ა.შ."[1].

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციას, ცეკავშირს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1971 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით, რესპუბლიკის ტყავნედლეულის დამზადებაში ცეკავშირი ამზადებს მსხვილი ტყავების 28%-ს, წვრილი ტყავნედლეულის — 56,7%-ს, ხოლო ღორის ტყავების — 15%-ს. ამასთან, ცეკავშირის სისტემაში დამზადება მთლიანად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე წარმოებს, სადაც დამზადების პირობები გაცილებით უფრო რთულია და დაძაბულ შრომას მოითხოვს.

ამის გამო, პირველ რიგში, აუცილებელია დამამზადებელი ქსელის სწორი და მიზანშეწონილი განლაგება, პუნქტების, მიმღები წერტების, ფარდულების მოწყობა, მათი აღჭურვა სათანადო მასალებითა და ნედლეულით, ხელსაწყოებით და იმ პირველადი გადამამუშავებელი მოწყობილობითა და დანადგარებით, რაც დაკავშირებულია რაოდენობის შემოწმებასთან, ხარისხთან.

მეტად მნიშვნელოვანია მიღებული ნედლეულისა და მასალების მოვლა-პატრონობის სწორი ორგანიზაცია, მრეწველობის ხა-

[1] К. А. Белов и Г. С. Сундукьян, «Экономика и организация заготовительной деятельности потребительской кооперации», Издательство «Экономика», Москва, 1969 г. стр. 14.

ჭიროების მიჩედვით ნედლეულის ტარითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მოხმარებისათვის სასაქონლო სახის მიცემა, რაც სოფლის პირობებში მეტად რთული ამოცანაა. დაბოლოს, მთელი ამ წარმოების ეკონომიური სამსახურის ორგანიზაცია, დროული დაფინანსება, მტკიცე სამეურნეო ანგარიშის გატარება, და ყველა იმ საკითხის მოწესრიგება, რასაც სოციალისტური მეურნეობის სისტემის ორგანიზაცია, დაგეგმვა, აღრიცხვა, კონტროლი და რევიზია მოითხოვს.

ამრიგად, „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადების ძირითადი მიზანია შესყიდვა სოფლად ნედლეულისა მრეწველობისათვის, რომელიც აწარმოებს ფართო მოხმარების სხვადასხვა საქონელს, აგრეთვე კვების პროდუქტებისა, რომლებიც სავაჭრო ქსელის მეშვეობით მიეყიდება ძირითადად ქალაქის მოსახლეობას. ამასთან ერთად, დამზადებების გზით იქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო რეზერვები. დამზადებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულისა და პროდუქტების დაგროვების საქმეში, ექსპორტისათვის სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით. დამზადებების გაფართოება და გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათი თვითღირებულების შემცირების ბაზაზე წარმოადგენს ეკონომიურ საფუძველს იმისათვის, რომ თანმიმდევრულად შემცირდეს საცალო ფასები სახალხო მოხმარების საქონელზე, ამაღლდეს მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების შემოსავალი, აგრეთვე იმისათვის, რომ გადიდდეს საბჭოთა ფულის მსყიდველობითი ძალა"[1].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადება-შესყიდვის ორგანიზაცია

სამომხმარებლო კოოპერაცია ვაჭრობასთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვა სა-

---

[1] „საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა", საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამომცემლობა, 1961 წ., გვ. 252-253.

მომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც ხელს უწყობს ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ეკონომიური კავშირის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მითითებულია: „სახელმწიფო შესყიდვათა სისტემა მიზნად უნდა ისახავდეს დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, საკოლმეურნეო ეკონომიკის ყოველი ღონისძიებით აღმავლობის საფუძველზე, დამზადებათა დაგეგმვა შეხამებული უნდა იქნეს კოლმეურნეობათა საწარმოო-სამეურნეო გეგმებთან, ამასთან, ზუსტად ითვალისწინებდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტერესებს, მის სწორ განლაგებას და სპეციალიზაციას“.[1]

ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულს ამზადებენ სახელმწიფო დამამზადებელი ორგანიზაციები, ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციაც.

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაცია ახორციელებს ძირითადი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტისა და ნედლეულის დამზადება-შესყიდვას. მას მონოპოლია აქვს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და მოსახლეობისაგან კვერცხის და დაფნის ფოთლის შესყიდვის საქმეში. მრეწველობის ნედლეულით უზრუნველსაყოფად სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები ამზადებენ მატყლს, ტყავ-ბეწვეულს და სხვ., მათ შორის მეორად ნედლეულსაც. გეგმებს ყველა მრეწველობისათვის განკუთვნილი ნედლეულის დამზადებაზე აწესებს სახელმწიფო.

სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებს სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვას როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებიდან, ისე მოსახლეობიდან. კოოპერაციის ქსელის საშუალებით შესყიდული პროდუქტების რეალიზაციას ახდენენ სამრეწველო ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში.

სამომხმარებლო კოოპერაცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს, კონტრაქტაციის

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967 წ., გვ. 92.

წესით — გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით. კონტრაქტაციით დამამზადებელი ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვების მტკიცე გეგმების საფუძველზე წინასწარ აფორმებენ ხელშეკრულებებს. ეს გეგმები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამტკიცებული აქვთ რამდენიმე წლით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადებამდე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოება-შესყიდვები ყოველმხრივ უნდა შემოწმდეს.

კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ხელშეკრულებებს აფორმებენ სამომხმარებლო კოოპერაციის რაიდამზადების კანტორები, რომლებიც ანგარიშსწორებებსაც აწარმოებენ. აღნიშნულ ხელშეკრულებებს ხელს აწერენ: რაიდამზადების კანტორის დირექტორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი. ამის შემდეგ ხელშეკრულებას სამმართველო ამტკიცებს.

კონტრაქტაციის ხელშეკრულებებით წინასწარ წესდება: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფოზე მიყიდვის კონკრეტული ვადების, ამასთან პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობის შესახებ (სახეების, ასორტიმენტის, ხარისხის განსაზღვრით).

რაიდამზადების კანტორები იღებენ სხვადასხვა ვალდებულებებსაც, რომლებითაც გარანტირებულია პროდუქციის დროულად მიღება, დადგენილ ფასებში მისი ანაზღაურება, აგრეთვე კოლმეურნეობებზე ფულადი ავანსების გაცემის ვადები და რაოდენობა; ეს ვალდებულებები ითვალისწინებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე ტრანსპორტირების ორგანიზაციას. ამასთან, ზოგ შემთხვევაში კოოპერაცია დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის პროდუქციის ჩამბარებელი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულებასაც იღებს. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა ურთიერთობა მატერიალურ პასუხისმგებლობაზე.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების მკაცრად დაცვა — მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში მათი მონაწი-

ლეობის გარდუვალი კანონია. კონტრაქტაციულ ხელშეკრულებებს კანონის ძალა აქვს, ეს კანონი სავალდებულოა როგორც კოლმეურნეობებისათვის, ისე საბჭოთა მეურნეობებისა და დამამზადებელი ორგანიზაციებისათვისაც. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება გათვალისწინებული სანქციები.

სახელმწიფო შესყიდვების გარდა, კოოპერაცია შეისყიდის ნამატ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსაც (საკომისიო საწყისებზე) როგორც მოსახლეობიდან, ისე კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. საკომისიო საწყისებზე სოფლის მეურნეობის ნამატი პროდუქტების შესყიდვა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეებს ათავისუფლებს საკოლმეურნეო ბაზრებში პროდუქტების გასაყიდად გატანასთან დაკავშირებული შრომისა და დამატებითი ხარჯებისაგან, ხოლო იქ, სადაც ეს ნამატი პროდუქცია იყიდება (სამრეწველო ქალაქები, რაიონული ცენტრები და მუშათა დასახლების პუნქტები) მოსახლეობისათვის ამ სახით შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები სურსათსანოვაგით მომარაგების დამატებითი წყაროა[1].

საკომისიო საწყისებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტები შეისყიდება შეთანხმებულ ფასებში; ამ ფასებში შედის სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი და სავაჭრო საწარმოთა სასარგებლოდ საკომისიო ხარჯები, რაც გამოიყენება კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ საკომისიო ოპერაციებზე გაწეული ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე, ქალაქის კოოპერაციული ვაჭრობის და შესყიდვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელი ხარჯების დასაფინანსებლად და ამ ოპერაციებით მოგების შესაქმნელად[2].

პროდუქციის მისაღებად, დასახარისხებლად, შესანახად და გასასაღებლად სამომხმარებლო კოოპერაციას აქვს დამამზადებელი საწყობების პუნქტებისა და სპეციალური ფარდულების ქსელი.

სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატში არიან დამამზადებლე-

---

[1] „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის დადგენილების — „კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამატის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ — შესრულების ღონისძიებებზე.

[2] „კრებული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვა-რეალიზაციის სახელმძღვანელო მითითებებისა“, თბილისი, 1963 წ., ცეკავშირის გამგეობა.

ბი, რომლებიც კარდაკარ შემოვლის წესით მოსახლეობიდან ყიდულობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულს.

კოლმეურნეების, პენსიონერების, ინვალიდების ჩაბმა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვაში შეთანხმებული უნდა იყოს კოლმეურნეობათა გამგეობებთან ან შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

გარდა ამისა, სამკურნალო-ტექნიკური და მეორადი ნედლეულის შეგროვების ორგანიზაციაში ჩაბმულია კოოპერატივის აქტივი, კომკავშირული ორგანიზაციები, მასწავლებლები და მოსწავლეები.

დამამზადებლებთან, მათი შრომის ანაზღაურების მიზნით, იდება შრომითი შეთანხმებანი, რომლის თანახმად, საწყობებსა და დამზადების პუნქტებში შესყიდული და ჩაბარებული პროდუქცია ნაზღაურდება დამტკიცებული ფასების შესაბამისად.

კოოპერაციული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან თითოეულ დამამზადებელს მისცენ შესყიდვის უფლების მოწმობა და უზრუნველყონ ისინი ქვითრებისა და უწყისების დადგენილი ფორმის ბლანკებით, ფასების პრეისკურანტებითა და სხვა საჭირო დოკუმენტებით.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში დამზადების სამუშაოთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობს „ცენტროსოიუზი", სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და რაიონული კავშირები.

რაიონებში დამზადებათა სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობს დამზადების კანტორები.

რაისამომხმარებლო კავშირების დამზადების კანტორები ხელმძღვანელობენ რაიონის მომხმარებელთა საზოგადოების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების მუშაობას, ისინი პასუხს აგებენ რაისამომხმარებლო კავშირისათვის დაწესებული პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების გეგმის შეუსრულებლობისათვის, აწესრიგებენ დამზადებული პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საქმეს.

რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორები მოქმედებენ წესდების მიხედვით. მათი საწესდებო ფონდი იქმნება რაისამომხმარებლო კავშირის გამგეობის მიერ კანტორის ჩამოყალიბებისას გამოყოფილი სახსრებიდან.

რაისამომხმარებლო კავშირში დამზადებას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დამზადების დარგში, ხოლო

მომხმარებელთა საზოგადოებებში, სადაც საშტატო განრიგით ეს თანამდებობა გათვალისწინებული არ არის, გამგეობის თავმჯდომარე.

„პარტიამ და მთავრობამ არაერთხელ აღნიშნეს სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი საქმიანობის ყოველმხრივი გაშლის აუცილებლობა. ჯერ კიდევ 1923 წელს ვ. ი. ლენინი კოოპერატორებს მოაგონებდა კოოპერაციის განსაკუთრებულ როლს დამზადებებში და აღნიშნავდა, რომ საქონელბრუნვის განვითარების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული კოოპერაციის უნარზე შეაგრძოს დაქსაქსული სასაქონლო ფასეულობანი და გამოავლინოს ახალი ფასეულობანი"[1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცკ 1965 წლის მარტისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების საგრძნობი ზრდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებები კიდევ უფრო გაიზარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ. პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას.

პლენუმის გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი ენერგიით შეუდგნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების შემდგომ გადიდებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის ბაზის მშენებლობის განმტკიცებისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომმა აღმავლობამ მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის გადიდების უდიდესი შესაძლებლობა შექმნა, ამან კი დამამზადებელი ორგანიზაციების წინაშე სერიოზული ამოცანები დააყენა.

---

[1] „საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა", საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამომცემლობა, თბილისი, 1961 წ., გვ. 258.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ოპერაციების რევიზიის ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის იელისის პლენუმისა და სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VIII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დამზადების საქმიანობის შემდგომი განვითარება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის — ნედლეულით, ხოლო ქალაქის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით განუწყვეტლად მომარაგებისათვის საჭიროა დამზადების ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება ისე, რომ დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის პროცესში მინიმუმამდე დავიდეს მათი ხარისხის გაუარესებისა და დატაცების ფაქტები. ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო აპარატსა და სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებრივ-მასობრივი კონტროლის ორგანოებს. ეს ორგანოები უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შენახვაზე კონტროლს შესყიდვის მომენტიდან მათ რეალიზაციამდე, თვალყურს ადევნებენ შესყიდვის გეგმების მიმდინარეობას. ნედლეულის მოძრაობას, მის ფასებს, ხარისხს და ხარჯთაღრიცხვის შესრულებას. ამასთან, ოპერატიული ჩარევით საჭირო შემთხვევაში ღებულობენ ზომებს საქმის უკეთ წარმართვისა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტურ რევიზიას, რომელიც შიდასაუწყებო სამეურნეო კონტროლის უმნიშვნელოვანესი სახეა.

დოკუმენტური რევიზია ყველა ცალკე შემთხვევაში ინიშნება სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილის წერილობითი განკარგულებით ან სარევიზიო კომისიის განკარგულებით.

განკარგულებაში (დადგენილებაში) უნდა აღინიშნოს იმ ორგანიზაციის სახელწოდება, სადაც რევიზია უნდა ჩატარდეს, რევიზიის ჩამტარებელთა, მათ შორის რევიზიის ხელმძღვანელის გვარები, სარევიზიო პერიოდი და ჩატარების ვადები.

განკარგულების გარდა, რევიზორს ეძლევა კონკრეტული დავა-

ლება რევიზიის შინაარსის მოცულობისა და წესის შესახებ. რევიზიის ჩატარებისათვის მიცემულ დავალებას ამტკიცებს გამგეობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, სარევიზიო კომისიისას კი — სარევიზიო კომისია.

განსაზღვრულ ობიექტში რევიზიის ჩასატარებლად დავალების მიღების შემდეგ რევიზორები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინა რევიზიის მასალების მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებას, საბუხჰალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს, უნდა შეისწავლონ სარევიზიო ორგანიზაციის სტრუქტურა და მოცულობა, მისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ უბნებს, რომელთა საქმიანობის შედეგებიც არადამაკმაყოფილებელია.

სარევიზიო ობიექტში გამოცხადებისთანავე რევიზორებმა კავშირი უნდა დაამყარონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან, სახალხო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფებთან, რევიზიის ჩატარების შესახებ უნდა აუწყონ აგრეთვე მეპაიეებს და სარევიზიო ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებს.

რევიზიის ხელმძღვანელი ვალდებულია შეადგინოს სამუშაო გეგმა (დანართი № 1) და ამ საქმეში ჩაბმულ პირებს შორის სამუშაო გაანაწილოს.

რევიზიის პროცესში გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე დადგენილი წესის მიხედვით დგება სათანადო აქტები. ძირითად აქტში უნდა აღინიშნოს რევიზიის დროს გამოვლენილი ყველაზე უფრო არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი და დარღვევები.. რევიზიის პროცესში გამოვლინებული ერთგვაროვანი დარღვევები რევიზიის ჩამტარებელმა უნდა აღნიშნოს უწყისში (დანართი № 2).

როგორც წესი, უწყების ხელმძღვანელები ვალდებულები არიან წელიწადში ერთხელ[1] ყველა დაქვემდებარებულ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჩაატარონ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია, რადგან ხშირად სწორედ ასეთი რევიზიებით ელინდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება-

---

[1] იმ ორგანიზაციების რევიზია, რომლებიც უშუალოდ არ ახორციელებენ სამეურნეო ოპერაციებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 სექტემბრის დადგენილების თანახმად („სავაჭრო საწარმოებში საქონლის ინვენტარიზაციისა და ორგანიზაციების დოკუმენტური რევიზიის ჩატარების შესახებ") განსაზღვრულია არანაკლებ ერთხელ ორ წელიწადში.

მითვისების შემთხვევები, აგრეთვე თანამდებობრივი და სამეურ-ნეო ხასიათის დანაშაულებანი.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის დროს მოწმდება დამზადებისა და შესყიდვის როგორც მთლიანი, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ძირი-თადი სახეების დამზადების და შესყიდვის გეგმების რეალობა, სა-მომხმარებლო კოოპერაციის ორგანოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ჩამბარებლებს შორის სახელშეკ-რულებო ვალდებულებათა შესრულება, შესყიდვისა და გასაყიდი ფასების დაცვა, ჩამბარებლებთან და მყიდველებთან სწორი და დროული ანგარიშსწორების, სასაწყობო და საბუხჰალტრო აღრიცხ-ვის მდგომარეობის, გაწეული ხარჯების კანონიერებისა და დამზა-დების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებზე კონტროლი.

„ცენტროსოიუზის" გამგეობის 1968 წლის 28 ივნისის დადგე-ნილებით დამტკიცებული ინსტრუქციით კონკრეტულად განსაზ-ღვრულია, რომ დამზადების ოპერაციების რევიზიამ უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები:

დამზადებისა და შესყიდვის გეგმების შესრულება მთლიანად ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ძირითადი სახეების მიხედვით; დაშვებული გეგმების რეალობა სარევიზიო ორგანიზაციის საქმიანობის რაიონში არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით; დამზადებისა და შესყიდვის გეგმების შესრუ-ლების შესახებ საანგარიშო მონაცემების უტყუარობა;

როგორ სრულდება „ცენტროსოიუზის" გამგეობის მიერ დამტკიცებული 1964 წლის 8 იანვრის წერილი (ცბ-2-990) „სა-მომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში სასოფლო-სამეურ-ნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვაზე მისაღები ქვით-რების შევსებისა და გაფორმების წესის შესახებ";

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ჩამბა-რებლებთან ანგარიშსწორების სისწორე და დროულობა, ადგილი ხომ არ აქვს ჩამბარებელთა მოტყუებას (მაღალი ხარისხის დაბალ ხარისხში მიღებას), რის გამოც ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების შემოწმებისას უნდა დადგინდეს როგორ სრულდება „ცენტროსოი-უზის" გამგეობის დადგენილებები: 1966 წლის 14 მარტის — „სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესასყიდად გაცემული ფულადი სახსრების ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერე-ბის შესახებ"; 1961 წლის 14 ივლისის — „სასოფლო-სამეურნეო

პროდუქტებისა და ნედლეულის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებებზე კოსტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", აგრეთვე ინსტრუქცია — „მატყლის სახელმწიფო შესყიდვის (ჩაბარების და მიღების) ჩატარების წესის შესახებ", რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის 1966 წლის 7 ივლისის ბრძანებით;

დამზადებული პროდუქტებისა და ნედლეულის შენახვის სისწორე, გაფუჭების შემთხვევები და დამნაშავე პირები; შენახვისა და გადაზიდვის დროს დანაკარგების რაოდენობა; ბუნებრივი დანაკლისის დადგენილი ნორმების გამოყენების სისწორე, დადგენილ ნორმებზე მეტი დანაკარგები, მისი გამომწვევი მიზეზები და რა ზომებია მიღებული მის აღმოსაფხვრელად; დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ნედლეულის ღირებულების უკანონო ჩამოწერა გაფუჭების და წუნის მიზეზით; პროდუქციის ნარჩენებსა და გაფუჭებაზე აქტების შედგენის კანონიერება და მათი განხილვისა და დამტკიცების წესის დაცვა;

მიღებულ პროდუქციაზე ხარისხის მიხედვით შესასყიდი ფასების დაცვა, შესაბამისი დროისათვის, მყიდველებისათვის ანგარიშის გამოწერისას დანარიცხების სისწორე;

დამზადებული პროდუქციის მიზნობრივი გამოყენება, ადგილი ხომ არ აქვს მის არადანიშნულებისამებრ რეალიზაციას (განიავება, თვითმომარაგება და ა. შ.);

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაგზავნისას მყიდველების პრეტენზიები ხარისხის, ტარის წონის მომატებისა და ფასის შესახებ, ამ პრეტენზიების მიზეზები; გამოვლენილია თუ არა ის პირები, რომელთა გამოც წარმოიშვა ეს პრეტენზიები და ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ რა ზომები მიიღო პრეტენზიების წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

ტარისა და ტარა-მასალის შენახვის, შეკეთებისა და გამოყენების მდგომარეობა, მათი გაფუჭების შემთხვევები, მყიდველებისათვის ტარაზე წაყენებული ანგარიშგების სისწორე;

დამზადების ხარჯების შემცირებისა და არამწარმოებლური დანაკარგების ლიკვიდაციის ღონისძიებები, მოგების გეგმის შესრულება;

უნდა შემოწმდეს აგრეთვე კომპაქტური წყაროებიდან მიღებულ მეორად ნედლეულს დამამზადებლები ხომ არ აფორმებენ როგორც მოქალაქეებისაგან მიღებულს. ამან შეიძლება კოოპერაციული სახ-

სრების მითვისების პირობები შექმნას და გადიდებული ხელფასის გადახდა გამოიწვიოს.

პრეისკურანტებში მითითებული შესასყიდი და საბითუმო ფასების სწორად გამოყენება.

ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ოპერაციები, კერძოდ, კოლმეურნეობებიდან ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიოდ მიღების წესების დაცვა, ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ფასების დონე, დანაკარგებისა და ხარჯების ანაზღაურება. საკომისიო გასამრჯელოს გადახდის სისწორე; ადგილი ხომ არ ჰქონდა კერძო პირებისაგან, გადამყიდველებისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდ პარტიებად შესყიდვის შემთხვევებს:

კოლმეურნეების ან სხვა მოქალაქეებისაგან ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის წესების დაცვა და ფასწარმოქმნა ამ პროდუქტებზე;

კოლმეურნეობებიდან საკომისიოდ მიღებულ, აგრეთვე კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შეძენილ ნამეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ანგარიშსწორების სიზუსტე და სისწორე:

იმ საბუთების უტყუარობა და ხარისხიანობა, რომლებითაც გაფორმდა ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ან მათი საკომისიოდ მიღების ოპერაციები; ამ ოპერაციათა საბუხჰალტრო აღრიცხვის ანგარიშებში ჩვენების სისწორე.

რევიზიამ უნდა შეამოწმოს აგრეთვე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ხომ არ შეისყიდეს რესპუბლიკური, საოლქო და სამხარეო დაქვემდებარების ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე;

დაცულია თუ არა კოოპერაციული ორგანიზაციების საბითუმო და საცალო საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღების, შენახვის, რეალიზაციისა და აღრიცხვის წესი, სწორად არის თუ არა გამოყენებული ბუნებრივი დანაკლისის ნორმები; სრულდება თუ არა ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისა და გასაღების ოპერაციების აღრიცხვის წესი „ცენტროსოიუზის“ 1962 წლის 7 აგვისტოს № ცბ-2-946 ინსტრუქციის შესაბამისად.

სრულდება თუ არა სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შესყიდულ და კოლმეურ-

ნეობებიდან საკომისიოდ მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-ტებზე ფასწარმოქმნის შესახებ „ცენტროსოიუზის“ 1962 წლის 27 მარტის № სპ-43 წერილით შემოღებული წესი:

რამდენად ზუსტად არის დაცული საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასის დაკლებასთან დაკავშირებით საწყობებსა და საცალო საწარ-მოებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაშთების ჩამოფასება და გასაყიდი ფასების ცვლილებების აღრიცხვა, ანუ დაცულია თუ არა ამ საკითხზე „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1967 წლის 27 ოქ-ტომბრის დადგენილებით განსაზღვრული მითითებანი.

რევიზიამ უნდა შეამოწმოს როგორ ტარდებოდა სარევიზიო პე-რიოდში მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციები, დაცული იყო თუ არა ინვენტარიზაციების ჩატარების ვადები, აღწერაში ფა-სეულობათა ფაქტიურად არსებობის სწორად შეტანის დასადგენად ტარდებოდა თუ არა დაცვის მიერ საკონტროლო ინვენტარიზაცი-ები, ფორმდებოდა თუ არა ეს სათანადო აქტებით, რა ღონისძიე-ბები ხორციელდებოდა ფასეულობათა ფაქტიურ ნაშთებსა და სა-ინვენტარიზაციო აღწერის მონაცემებს შორის განსხვავების დად-გენისას. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი: მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან საქვეანგარიშოდ არსე-ბულ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ინვენტარიზაციის ჩატარების, ჩატარებისათვის დადგენილი ვადების, მოულოდნელო-ბის, კომისიის შემადგენლობის, საინვენტარიზაციო აღწერათა გა-ფორმების წესი.

რევიზიის პროცესში უნდა დადგინდეს სარევიზიო პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგების სისწორე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ შედეგების დროულად და სწორად გამოყვა-ნაზე და მასზე გადაწყვეტილების ვადების დაცვაზე.

ამასთან, უნდა დადგინდეს დანაკლისების, დატაცებისა და უყაი-რათობით გამოწვეული დანაკარგებისათვის უშუალოდ დამნაშავე-თა გარდა მასალები გადაეცა თუ არა საგამომძიებლო ორგანოებს იმ მუშაკებზე, რომელთა მიზეზითაც მოხდა დატაცებები ან და-ნაკარგები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ფაქტი-ური ნაშთები (თითოეულ დამამზადებელ პუნქტში, საწყობსა და ბაზაში) დოკუმენტური რევიზიის პროცესში უნდა შემოწმდეს სა-მომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საწარმოებში სა-

საქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად.

დამზადების ოპერაციების რევიზიის სრულყოფილად ჩატარებისათვის რევიზორებმა აუცილებლად უნდა ‘ეისწავლონ დამზადების შესახებ ყველა მოქმედი ინსტრუქცია. ისინი სრულყოფილად უნდა იცნობდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და რეალიზაციის პირველადი დოკუმენტების გაფორმების წესს, ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის რეგისტრებში მონაცემების ჩაწერა-გატარების წესებს და ა. შ.

დოკუმენტური რევიზიის ჩატარებისას გამოვლინდება ყველა სახის დარღვევა-დამახინჯება და ბოროტმოქმედება, თუ რევიზორი განსაკუთრებული ყურადღებით შეამოწმებს დოკუმენტებს, კერძოდ, „დოკუმენტის იურიდიულ მნიშვნელობას, მის როგორც ნივთიერ და წერილობით მტკიცებას. დოკუმენტების საერთო და დეტალური შემოწმებით ჩვენ ვაღწევთ მომხდარი ოპერაციების სინამდვილისა და კანონიერების შემოწმებას“[1].

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელიც ნიშნავს რევიზიას, ისე თვით რევიზორს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველა დარგის რევიზიის ჩატარებისას უნდა შემოწმდეს:

ორგანიზაციის მიერ წარმოებული ოპერაციების მიზანშეწონილობა და კანონიერება; საფინანსო, საშტატო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვა;

სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად დასახულ ღონისძიებათა შესრულება. ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის, დატაცების, უკანონო ხარჯვის შემთხვევათა გამოვლენა და მათი თავიდან აცილებისათვის ზომების დასახვა;

საქონლის, ნედლეულის, მასალების გაფუჭების, ტარის დანაკარგებისა და უყაირათობით გამოწვეული სხვა დანაკარგების მიზეზები; დანაკარგებში მათი ღირებულების ჩამოწერის სისწორე;

საბუხჰალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის მდგომარეობა, საბუთების უტყუარობა, ჟურნალებში, ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის დავთრებში ჩანაწერების სისწორე, ბრუნვითი ბალანსის

---

[1] გ. გ ო ო ბ ე ნ ი ძ ე, ბუხჰალტრული აღრიცხვისა და სასამართლო-საბუხჰალტრო ექსპერტიზის საფუძვლები, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971 წ., გვ. 227.

შესაბამისობა ბრუნვით უწყისებთან და ჟურნალებთან, აღრიცხვის მექანიზაციისა და საანგარიშო-გამოთვლითი სამუშაოების დანერგვა;

სასაწყობო მეურნეობის მატერიალური აღრიცხვის სისწორე;

გამოვლინებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოსასწორებლად საჭირო ზომების მიღება რევიზიის პროცესში, აგრეთვე პრაქტიკული წინადადებების შემუშავება რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის (საწარმოს) საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დოკუმენტური რევიზიები, რომლებიც ინიშნება თითოეულ შემთხვევაში ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის წერილობითი განკარგულებით, უნდა იწყებოდეს მოულოდნელად და ტარდებოდეს იმ ვარაუდით, რომ ხელი არ შეუშალოს ორგანიზაციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

ცალკეულ სამეურნეო ანგარიშსწორებითი საწარმოსა და ორგანიზაციის რევიზიები ტარდება ერთი თვის ვადაში. რევიზიის ვადა გრძელდება რევიზიის დამნიშვნელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამამზადებელი ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიების ჩატარებისას სხვადასხვა სახის ოპერაცია გვხვდება. ამიტომ კომპლექსური რევიზიების ჩატარება კარგ შედეგს იძლევა.

კომპლექსურად ითვლება ისეთი რევიზია, რომელიც მოიცავს სარევიზიო ობიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დამახასიათებელი საკითხების ფართო წრეს ან მისი საქმიანობის ცალკეულ დარგს.

კომპლექსური რევიზია, გარდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა, ითვალისწინებს აგრეთვე საწარმოს ოპერატიული მუშაობის შემოწმებას.

კომპლექსური რევიზიის ჩასატარებლად იქმნება რევიზორთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგება ბრიგადის შემადგენლობიდან დანიშნული ხელმძღვანელი. ამ ბრიგადაში რევიზორებს გარდა, შეუყავთ დამზადების, წარმოების, ფინანსური დარგის, საბუღალტრო აღრიცხვისა და საქმიანობის მცოდნე სპეციალისტები (საქონელმცოდნეები, ინსტრუქტორები, ეკონომისტები, კადრების განყოფილების მუშაკები, ინჟინერ-მშენებლები და სხვ.).

ცალკეული მეურნეობისა და უბნის რევიზიაში საჭიროა ჩაებას აგრეთვე საკონტროლო-სარევიზიო ან სარევიზიო კომისიის წევრები.

საჭიროების შემთხვევაში, იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, სადაც რევიზია ტარდება, რევიზიაში შეიძლება ჩაებან ისეთი კომპეტენტური პირები, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები არ არიან.

რევიზიის ჩამტარებლებმა უნდა შეამოწმონ არა მარტო ცალკეული ოპერაციის მიზანშეწონილობა და ეკონომიური ეფექტი, არამედ შესამოწმებელი ობიექტების მთელი საქმიანობაც; რევიზია არ უნდა დაკმაყოფილდეს მუშაობაში ამა თუ იმ ნაკლოვანების, დარღვევისა და ბოროტმოქმედების კონსტატაციით, ღრმად უნდა გააანალიზოს მათი წარმოშობის მიზეზები და გამოავლინოს დამნაშავე პირები. ამასთან, უნდა უზრუნველყოს რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი კონტროლი, გამოავლინოს, რევიზიის პროცესშივე გამოასწოროს და თავიდან ააცდინოს ნაკლოვანებები, დარღვევები და ბოროტმოქმედებანი, ხელი შეუწყოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის ირგვლივ მთავრობისა და ზემდგომი კოოპერაციული ორგანიზაციების დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას.

ზოგ შემთხვევაში, წინასწარ შეგროვილი მასალების საფუძველზე, საგამომძიებლო ორგანოები უწყების წინაშე აყენებენ საკითხს რომ მათი სარევიზიო აპარატის მეშვეობით ჩატარდეს რევიზია.

საგამომძიებლო ორგანოებმა რევიზიის ჩატარების მოთხოვნისას უნდა აღნიშნონ ჩატარების მიზეზი, სარევიზიო პერიოდი, მისი მოცულობა, რა ოპერაციები რომელ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან უნდა იქნეს შემოწმებული და სხვ.

აღნიშნული რევიზიები, უმეტეს შემთხვევაში, ტარდება უფრო სრულყოფილად, რასაც ძირითადად ხელს უწყობს გამომძიებლისა და რევიზორის საქმიანი კონტაქტი.

გამომძიებელი საჭიროების მიხედვით რევიზორს აცნობს საქმის არსს, მასალებს, ზოგჯერ დეტალებსაც. ამით რევიზორს საშუალება ეძლევა იცოდეს რომელ ფაქტს მიაქციოს ყურადღება, რომელი ოპერაცია შეამოწმოს განსაკუთრებული ყურადღებით. თავის მხრივ, რევიზორიც გამომძიებელს ატყობინებს ყველა იმ დარღვევა-დამახინჯებათა და ბოროტმოქმედებათა ფაქტებს, რაც გამოვლინდა. ისინი ერთდროულად იღებენ ოპერატიულ ღონისძიებებს ამ

ფაქტების დასაზუსტებლად. ყოველივე ეს ხელს უწყობს სრულყოფილი რევიზიის ჩატარებას.

რევიზორი რევიზიის პროცესში ვალდებულია დაუკავშირდეს როგორც სახალხო კონტროლს, ისე ადმინისტრაციულ ორგანოებს, რადგან ხშირად ამ ორგანოებს აქვთ ისეთი სახის სიგნალები, რომელთა შემოწმებით ზოგჯერ მთელი რიგი სახის დანაშაული მეღავნდება.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა. მას ევალება „ცალკეული ოპერაციების კანონიერების შემოწმება, ე. ი. გამორკვევა იმისა, სამეურნეო ოპერაციების განხორციელების პროცესში ადგილი ხომ არა აქვს ამა თუ იმ კანონის, დებულების, ინსტრუქციის, საბიუჯეტო-საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის დარღვევას, და თუ აქვს, რაში (რა თანხაში) მდგომარეობს ეს დარღვევა, ვინ არის მასზე პასუხისმგებელი.

ამით აიხსნება, რომ რევიზია და კონტროლი ძირითადად ემყარება არა რეგისტრებს (დაფთრებს, ჟურნალებს, ბარათებს), არამედ თვით დოკუმენტებს, სადაც პირველად კონკრეტულად აისახა ესა თუ ის სამეურნეო ოპერაცია. აქედან მიიღო ამ დისციპლინამ თავისი სახელწოდებაც — დოკუმენტური რევიზია"[1].

ფულადი საშუალებების, ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისა და საქვეანგარიშო თანხების რევიზია

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ოპერაციების რევიზიის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სალაროს ოპერაციების, ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისა და დამამზადებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმებას.

ფულად საშუალებათა რევიზია იწყება ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების, მტკიცე ანგარიშგების ბლანკების და სალაროში შენახული სხვა ფასეულობების მოულოდნელი შემოწმებით.

---

[1] გ. გ ო ო ბ ე ნ ი ძ ე, ბუხჰალტრული აღრიცხვისა და სასაშართლო-საბუხჰალტრო ექსპერტიზის საფუძვლები. თბილისი, 1971 წ.. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 222.

ინვენტარიზაციის დაწყებამდე კომისიამ მოლარისაგან უნდა მიიღოს სალაროს უკანასკნელი ანგარიში. მას თან უნდა ერთვოდეს ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის საბუთები და ხელწერილი იმის შესახებ, რომ ყველა ფულადი სახსრის შემოსავლის ან გასავლის საბუთი შეტანილია სალაროს უკანასკნელ ანგარიშში (აღინიშნოს მისი ნომერი და თარიღი) და რომ შემოსავალში გაუტარებელი საბუთი მას არ აქვს.

სალაროს ინვენტარიზაციისას შემმოწმებელმა ფულის ფაქტიური ნაშთის გადათვლის დროს უნდა მიიღოს მხოლოდ ფულის ნიშნები, არავითარი ხელწერილი სალაროს ფაქტიურ ნაშთში არ შეიტანება. ამასთან, თუ სალაროში აღმოჩნდა მოლარის ან სხვა რომელიმე მუშაკის ფულადი თანხა, ისინი როგორც საწარმოს კუთვნილი ფასეულობანი, აუცილებლად უნდა შეიტანონ ნაშთების აღწერის აქტში.

ფულად საშუალებათა და ფასიანი ქაღალდების აღწერისას, ფული სალაროში უნდა გადაითვალოს კუპირების მიხედვით (ცალცალკე მანეთიანები, სამმანეთიანები და ა. შ.). აღწერაში შეიტანება აგრეთვე საფოსტო და საპაიო მარკები და სხვა ფასიანი ქაღალდები, მათი ნომინალური ღირებულებით.

სალაროს ინვენტარიზაციის შედეგებზე დგება ცალკე აქტი.

სალაროში ფულისა და სხვა ფასეულობის ფაქტიური ნაშთების შემოწმების შემდეგ ტარდება სალაროს ოპერაციების დოკუმენტური რევიზია, რომლითაც მოწმდება შემოსავლისა და გასავლის ყველა საბუთი.

სალაროს ოპერაციების რევიზიის დროს მოწმდება როგორ სრულდება დებულება — „სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ წარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ“, კერძოდ, სალაროს ფულადი სახსრების შემოსავალში გატარების სისრულე და დროულობა, ქვითრის, წიგნაკების შენახვის დადგენილი წესის დაცვა, მიღებული ნაღდი ფულის სწორად გამოყენება, ბათილდება თუ არა დადგენილი წესის მიხედვით სალაროს ოპერაციები. პარალელურად მოწმდება სახბანკთან ანგარიშსწორების ოპერაციები, რის საშუალებითაც ირკვევა ჩატარებული ოპერაციების კანონიერება, ბანკიდან მიღებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება, შემოსავალში გატარების დროულობა; ანგარიშსწორე-

ბის ანგარიშზე, ფონდების მიმდინარე ანგარიშზე და აკრედიტივებზე დარიცხული ფულადი სახსრების ნაშთების შესაბამისობა.

სალაროს ოპერაციების რევიზიით ადგენენ თუ რა მიზნებისათვის, როგორი კანონზომიერებითა და მიზანშეწონილად დაიხარჯა თანხები. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ სრულდება „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1961 წლის 14 ივლისის დადგენილება — „სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება უნდა ანაზღაურდეს კოლმეურნეობებთან მხოლოდ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მეშვეობით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

დამამზადებლების მიერ შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულისათვის კოლმეურნეებთან და სხვა მოქალაქეებთან ანგარიშსწორება შეძლებისდაგვარად უნდა განხორციელდეს დამამზადებელი ორგანიზაციების სალაროების ან გამსვლელი მოლარეების მიერ.

თუ ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან ანგარიშსწორება სალაროების მეშვეობით ვერ განხორციელდა, კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობებს უფლება აქვთ დამამზადებლებს მისცენ საქვეანგარიშო თანხა შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ანაზღაურებისათვის ორიდან ხუთ დღემდე. ამასთან, განმეორებითი ავანსები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადრე გაცემული ავანსისათვის ანგარიში გასწორებულია.

დამამზადებლებისათვის საქვეანგარიშო თანხების ერთჯერადი გაცემის ზღვრული რაოდენობა, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, უნდა დაამტკიცოს რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ.

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1963 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით ჩამბარებლებთან დამამზადებელთა მეშვეობით ფულადი ანგარიშსწორება კიდევ უფრო შეიზღუდა.

ამ დადგენილებით ყველა კოოპერაციულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა მოსახლეობისაგან შესყიდული დაფნის ფოთოლი, მატყლი, ტყავნედლეული, ყარაკული, კარტოფილი და ბოსტნეული ანაზღაურონ სალაროების მეშვეობით.

დამზადებული მეორადი ნედლეულის ღირებულება მოსახლეობას უნაზღაურდება ნაღდი ფულით (ნედლეულის ბიღების მომეხტში); ორგანიზაციებს, საწარმოებს და დაწესებულებებს კი — ბანკის მეშვეობით, გადარიცხვის გზით ან ფოსტით (მათთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორება აკრძალულია). კოლმეურნეობებს ჩაბარებული მეორადი ნედლეულისათვის ეძლევათ ნაღდი ფული, მაგრამ სავალდებულოა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და უფროსი ბუხჰალტრის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული მინდობილობის წარდგენა.

ჩაბარებული მეორადი ნედლეულისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორება ხდება ქვითრების ან უწყისთა გაფორმების გარეშე, ხოლო ორგანიზებულ ჩამბარებლებთან — მისაღები ქვითრით ფ № პკ-11, რომელსაც თან ერთვის ჩამბარებლის სათანადოდ გაფორმებული ზედდებულები. ამ ზედდებულთა ნომრები და თარიღები უნდა აღინიშნოს ჩამბარებელთა ან საწყობის გამგეთა მისაღებ ქვითრებში.

დამზადების პუნქტების შტატიანი და შტატგარეშე დამამზადებლების მიერ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვა-მიღება, როგორც წესი, ფორმდება მისაღები ქვითრებით ან შესყიდვის უწყისების დამტკიცებული ფორმებით. აღნიშნული დოკუმენტები მკაცრი ანგარიშგების ბლანკებს წარმოადგენს. მათი აღრიცხვის, შევსებისა და გაფორმების წესი გათვალისწინებულია „მთავარკოოპცხოველნედლეულის", „მთავარკოოპხილბოსტანისა" და „ცენტროსოიუზის" ცენტრალური ბუხჰალტერიის 1964 წლის 8 იანვრის № ცბ-920 სპეციალური ინსტრუქციით.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქტისათვის მისაღები ქვითრის ფორმა სხვადასხვანაირია. მაგალითად, კარტოფილის, ბოსტნეულის, კვერცხის, მატყლის, მეცხოველეობის ნედლეულისა და ბეწვეულის, პირუტყვის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შესასყიდად დადგენილია მისაღები ქვითრის სპეციალური ფორმები. ამ ფორმების რეკვიზიტების სხვადასხვაობა თითოეული სახის პროდუქტის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, საღრიცხვო საზომებსა და სხვა თავისებურებებს უკავშირდება.

შესყიდვის ქვითრები და უწყისები პროდუქციის შემოსავალში გატარების, ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების, თითოეული ჩამ-

ბარებლის და კოოპერაციული ორგანიზაციის მიერ დადგენილი დამზადების გეგმის შესრულების აღრიცხვის საფუძველია.

ამიტომ რევიზორებმა ყურადღებით უნდა შეამოწმონ დამამზადებლებზე გაცემული შესყიდვის ქვითრები და უწყისების ბლანკები. ამ მიზნით რევიზიის დაწყებისთანავე უნდა შემოწმდეს საერთოდ იყენებენ თუ არა, ან რამდენად სწორად იყენებენ აღნიშნულ დოკუმენტებს. ამ შემოწმების შედეგებზე აუცილებლად სპეციალური აქტი უნდა შედგეს.

თუ რევიზიის პროცესში გამოვლინდა მისაღები ქვითრების და უწყისების როგორც გაცემის, ისე შენახვის წესების დარღვევათა ფაქტები, რევიზორი ვალდებულია აღკვეთოს აღნიშნული დარღვევების განმეორების შესაძლებლობა. ამ მიზნით მან კატეგორიულად უნდა მოითხოვოს ქვითრის ბლანკები შეინახონ ცეცხლგამძლე სალაროში ან რკინაშემოკედილ სპეციალურ კარადაში და მასზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ორგანიზაციის გამგეობის მიერ დანიშნულ პირს.

ქვითრებისა და უწყისების დავთრების ინვენტარიზაციის დროს მათ ადარებენ მკაცრი ანგარიშგების ბლანკების აღრიცხვის სპეციალურ წიგნში სერიებისა და ნომრების მიხედვით. ამ ბლანკების დანაკლისისა თუ დატაცების აღმოჩენის შემთხვევაში აქტებში აღნიშნავენ დაკლებული დავთრების რაოდენობას, ქვითრების სერიებსა და რიგით ნომრებს, აგრეთვე ამ საქმეში კონკრეტულ დამნაშავე პირებს. აქტი დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის ორგანოს. ამავე დროს სისტემის ყველა დამამზადებელ ორგანიზაციას უნდა ეცნობოს დაკლებული თუ მიტაცებული დავთრების, მისაღები ქვითრების და უწყისების ცალკეული ბლანკის გაუქმების შესახებ, მათი სერიებისა და ნომრების აღნიშვნით.

ამჟამად სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციის საწყობებსა და დამზადების პუნქტებში შესყიდვის წესით ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით დადგენილია დამამზადებელი ორგანიზაციების სალაროებიდან მისაღები ქვითრების საფუძველზე ნაღდი ფულის გაცემის შემდეგი წესი:

სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულზე მისაღები ქვითრები და უწყისები უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად: მისაღები ქვითრით (უწყისით) ჩამბარებელს უსწორებენ ანგარიშს. ამისა-

თვის, ჩამბარებლის თანდასწრებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულს ახარისხებენ სახეების, ზომების, კატეგორიების, კლასებისა და სხვა მაჩვენებელთა მიხედვით, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნილების შესაბამისად. პროდუქტებსა და ნედლეულს წონიან, წერენ მისაღებ ქვითრებში, მოქმედი შესყიდვის ფასების აღნიშვნით (დეფექტის, დანაგვიანების და სტანდარტებიდან გადახრის დათმობების გათვალისწინებით) და თანხების გაანგარიშებით. შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის აღნიშნული წესით გაანგარიშებულ ძირითად ღირებულებას საჭიროების შემთხვევაში უნდა დაემატოს ან გამოაკლდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხები.

კოლმეურნეებიდან და სხვა მოქალაქეებიდან ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შეთანხმებულ ფასებში შესყიდვისას ანგარიშსწორებას ახორციელებენ „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად გაფორმებული ქვითრების საფუძველზე.

კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობისა და სხვა მოქალაქეებისაგან შესყიდულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულზე ანგარიშსწორება წარმოიბს კუთვნილი თანხების გადარიცხვით შემნახველ სალაროებში ჩამბარებელთა ანგარიშზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ჩამბარებლებზე კუთვნილი სახსრების გადარიცხვა შემნახველ სალაროებში წარმოებს ჩამბარებლის განაცხადების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სანიმუშო ფორმის მიხედვით.

გზავნილების სიით საერთო თანხაზე გამოიწერება საგადასახადო თანხა, რომელიც ბარდება სახელმწიფო ბანკს კოოპერაციული ორგანიზაციის სპეცსასესხო ანგარიშიდან შემნახველი სალაროს ანგარიშზე სახსრების გადასარიცხად. საგადასახადო დავალებასთან ერთად სახბანკი შემნახველ სალაროში გზავნის გზავნილების სიას ჩამბარებლების ანგარიშზე ჩასარიცხად. თუ ჩამბარებელს შემნახველ სალაროში ანგარიში არა აქვს, სალარო ვალდებულია გახსნას ანგარიში. ჩამბარებელს ყოველთვის შეუძლია მიიღოს ფული შემნახველ სალაროში ანაბრიდან.

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვაზე მისაღები ქვითრებით ანაზღაურებას სა-

ლაროები ახორციელებენ სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ მოქმედი დებულების წესის დაცვით.

მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულზე საწყობის (პუნქტის) გამგემ უნდა გამოსწეროს მისაღები ქვითარი, მისი პირველი ეგზემპლარი უნდა ჩააბაროს ჩამბარებელს, ხოლო მისი ყუა გადასცეს ბუხჰალტერიას შესამოწმებლად. მისაღები ქვითრის ყუის გაცემა ფულის მიმღებ ჩამბარებლებზე აკრძალულია.

შემოწმებული მისაღები ქვითრის ყუები მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრის ვიზით გადაეცემა მოლარეს ფულის გასაცემად.

ჩამბარებლის მიერ ფულის მისაღებად წარმოდგენილ მისაღებ ქვითარს მოლარე ადარებს მისაღები ქვითრის ყუას და ჩამბარებელს აძლევს ფულს ქვითრის ყველა ეგზემპლარზე მელნით ხელმოწერის შემდეგ.

განაღდებულ მისაღებ ქვითრებსა და მის ყუას მოლარე აბათილებს შტამპით ან წარწერით „განაღდებულია", პირველ ეგზემპლარს იგი გადასცემს ჩამბარებელს ფულთან ერთად, ხოლო ყუა სალაროში რჩება.

სამუშაო დღის განმავლობაში მოლარე რეესტრში წერს მისაღები ქვითრის სერიასა და რიგით ნომერს, თარიღს, ჩამბარებლის გვარს, მამის სახელსა და თითოეული ქვითრით გაცემულ თანხას.

სამუშაო დღის დამთავრებისთანავე მოლარე რეესტრში გაიანგარიშებს საერთო თანხას, თავისი ხელმოწერით დაამოწმებს და რეესტრს მისაღები ქვითრების ყუასთან ერთად აბარებს ბუხჰალტერიას.

ბუხჰალტერია რეესტრის შემოწმების შემდეგ იმავე დღეს გამოწერს სალაროს გასავლის ორდერს, რომელსაც ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტერი და რეესტრთან ერთად გადასცემს მოლარეს. მისაღები ქვითრების ყუას კი, რეესტრზე ხელმოწერით, გადასცემს საწყობის (პუნქტის) გამგეს. საწყობის (პუნქტის) გამგე მისაღები ქვითრების ყუას დადგენილ ვადაში დაურთავს და აბარებს ბუხჰალტერიას თავის ანგარიშთან ერთად.

ანალოგიური წესი უნდა დაიცვან გამსვლელმა მოლარეებმაც. დამზადების პუნქტებსა და საწყობებში მოსახლეობისაგან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ღირებულების ადგილზე განაღდებისათვის კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრები

ვალდებულნი არიან გამოყონ მუშაკები, რომლებიც შეამოწმებენ სალაროს მუშაობას, მისაღები ქვითრების ყუის სისწორეს, განაღდებას, უზრუნველყოფენ სამუშაო დღის დამთავრებისთანავე ჩამბარებლებზე დღის განმავლობაში გაცემულ თანხებზე სალაროს გასავლის ორდერის შედგენას.

ჩამბარებლებზე გაცემული მისაღები ქვითრების განაღდება მიმღები პუნქტებისა და საწყობების მიერ შესყიდულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულზე კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა შეიძლება აწარმოონ პერიოდულად, სახბანკის დაწესებულებასთან შეთანხმებით, დადგენილ დღეებში. ეს დღეები ცნობილი უნდა იყოს ჩამბარებლისათვის. ამასთან, სალაროდან დაშორებული პუნქტების (საწყობების) გამგეების მიერ ჩამბარებლებზე გაცემული მისაღები ქვითრების განაღდება შეიძლება კოოპორგანიზაციის გამგეობის ნებართვით, ჩამბარებლისაგან შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულზე მისაღები ქვითრით დამზადების პუნქტების მიერ ყუის წარმოდგენამდე.

ასეთ შემთხვევაში გასანაღდებლად წარმოდგენილ მისაღებ ქვითრებს ორგანიზაციის ბუხჰალტერია ამოწმებს არითმეტიკულად და დამამზადებლის ხელმოწერას ნიმუშს ადარებს, იგი ამოწმებს აგრეთვე მისაღები ქვითრების ნომრისა და სერიის შესაბამისობას, რაც რეგისტრირებულია მკაცრი ანგარიშგების ბლანკების აღრიცხვის წიგნში. ამის შემდეგ მთავარი ბუხჰალტერი თავისი ხელმოწერით ნებას რთავს თანხის გაცემაზე. განაღდებული მისაღები ქვითარი რჩება სალაროში და დაერთვის რეესტრს როგორც საფუძველი გასავლის სალაროს ორდერთან ერთად.

ქვითრების განაღდების სისწორეს ბუხჰალტერია აკონტროლებს საწყობების (პუნქტების) გამგეებისაგან ანგარიშების მიღებისას. კერძოდ, სალაროში განაღდებულ მისაღებ ქვითრებში ჩანაწერებს უდარებენ ბუხჰალტერიაში ანგარიშთან ერთად წარდგენილ ყუის ჩანაწერებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის ყველა ოპერაცია ფორმდება სპეციალური ქვითრებითა და უწყისებით, რომლებიც მკაცრი ანგარიშგების ბლანკებს წარმოადგენენ.

ამ ქვითრებსა და უწყისებში ასახელებენ პროდუქტებსა და ნედლეულს, მის სტანდარტს, ხარისხსა და მდგომარეობას, წონას, რაოდენობას, შესასყიდ (ჩასაბარებელ) ფასს, ხოლო დანაგვიანებისა-

და სტანდარტისაგან გადახრის შემთხვევაში — შესასყიდ (ჩასაბარებელ) ფასს აღნიშნავენ დადგენილი შეღავათით. ქვითრის გრაფაში (თანხა) ჩაწერისა და შეჯამების შემდეგ აღნიშნავენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ დამატებით გადასახადს (დანამატს), შესასყიდი ღირებულების გადამეტებით. ამ დანამატს უხდიან ცალკეული სახეობის ხილის, კარტოფილისა და ბოსტნეულის მაღალი ხარისხისათვის, საკუთარი ტრანსპორტით კარტოფილის მიტანის, ბეწვეულის ნედლეულის ჩაბარების, საქურქე ცხვრის ტყავისათვის და ა. შ.

მისაღები ქვითრები უნდა შეივსოს სამ ეგზემპლარად, ქიმიური ფანქრით, გადასაღები ქაღალდის გამოყენებით. ნაწერი გარკვეული უნდა იყოს, პირველი ეგზემპლარი ეძლევა ჩამბარებელს, მეორე — რეესტრთან ერთად ეგზავნება რაიონული დამზადების კანტორას და შემდეგ გადაეცემა სტატისტიკურ სამმართველოს, მესამე — რჩება მიმღებს, რომელიც ანგარიშსწორების დროს აბარებს კოოპერაციული ორგანიზაციის ბუხჰალტერიას. ჩამბარებელი ხელს აწერს ქვითრის ყოველ ეგზემპლარს ქიმიური ფანქრით ან მელნით.

მისაღებ უწყისებსა და ქვითრებში დაუშვებელია მელნის ლაქები და შესწორებანი. ყოველგვარი შეცდომის გასწორება სათანადოდ უნდა იყოს დადასტურებული ჩამბარებლისა და მიმღების ხელმოწერით.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა მიღების ქვითარში პროდუქციის ან ნედლეულის ფიზიკურ წონასთან ერთად მათი ჩასათვლელი წონაცაა აღნიშნული, აღრიცხვა როგორც მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან, ისე ბუხჰალტერიაში წარმოებს ფიზიკური (ფაქტიური) და არა ჩასათვლელი წონის მიხედვით.

სადირექტივო ორგანოების მითითების შესაბამისად, „ცენტროსოიუზის“ გამგეობამ 1965 წლის 10 სექტემბერს დაადგინა, რომ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისაგან არასტანდარტული კარტოფილის ტუბერის ისეთი რაოდენობით მიღებისას, რომელიც აღემატება დაშვებულ ტექნიკურ პირობებს, ანაზღაურება ხდება შესასყიდი ფასის 25 პროცენტის დათმობით. თუ მისაღები კარტოფილი ზედმეტად არის გაჭუჭყიანებული, შრომის გადამეტებით კარტოფილის ტუბერზე მიკრული მიწის თითოეულ პროცენტს აკლებენ წონის 1%-ს; მაგალითად, დამზადების პუნქტმა კოლმეურნეობისაგან მიიღო 10 000 კილოგრამი კარტოფილი, რომლის ტუბერებზე მიკრული

მიწა 2 პროცენტით ჭარბობს დადგენილ ნორმას. ამ შემთხვევაში ჩამოსაკლები წონა 200 კილოგრამი იქნება (10 000×2), ხოლო კარტოფილის ჩასათვლელი წონა — 9800 კილოგრამი, სწორედ ამ რაოდენობის კარტოფილისათვის ხდება ანგარიშსწორება კოლმეურნეობასთან დადგენილი შესასყიდი ფასით.

მატყლის ჩასათვლელი წონა გამოიანგარიშება მიღებული მატყლის ფიზიკური წონის წმინდა ბოჭკოს გამოსავლიანობის ფაქტიურ პროცენტზე გამრავლებით, რაც უნდა გაიყოს წმინდა ბოჭკოს გამოსავლიანობის იმ საბაზისო ნორმაზე, რომელიც დადგენილია მოცემული რაიონისათვის.

მაგალითად, კოლმეურნეობამ მიმღებ პუნქტს ჩააბარა 1 კილოგრამი მატყლი, რომლის წმინდა ბოჭკოს ფაქტიური გამოსავლიანობაა 36, ხოლო საბაზისო ნორმა — 38 პროცენტი. ამ შემთხვევაში მატყლის ჩასათვლელი წონა იქნება:

$$\frac{1000 \cdot 36}{38} = 947 \text{ კგ.}$$

ასეთ გაანგარიშებას ახდენენ მხოლოდ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისაგან შესყიდულ მატყლზე. თუ მატყლი შესყიდულია მოსახლეობისაგან, გეგმის შესრულების აღრიცხვა წარმოებს ფიზიკური წონით. თუ წმინდა ბოჭკოს გამოსავლიანობა 100 პროცენტს შეადგენს, შესყიდული მატყლის ფასი პრეისკურანტით ერთი კილოგრამისათვის უნდა დადგინდეს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის პირველადი დოკუმენტაციის გაფორმების ზემოთ აღნიშნული წესები ზუსტად უნდა იყოს დაცული. ამ წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ჩამბარებლისათვის ზედმეტი თანხის გაცემა ან დაკლება.

სარევიზიო მუშაობის პრაქტიკაში აღინიშნება შემთხვევები, როცა დამამზადებელსა თუ საწყობის გამგეს ჩამბარებლისათვის ჩამოუკლია წონა არასტანდარტულობისა და გაჭუჭყიანებისათვის, რაც არ აუსახავს შესყიდვის დოკუმენტებში და ნედლეულის აღურიცხავი ნამეტი მიუთვისებია.

დამზადების მუშაკების საავანსო ანგარიშის შემოწმებისას რევიზორმა თვალყური უნდა ადევნოს მისაღები ქვითრებისა და უწყისების სწორად შევსებას. მას უნდა ახსოვდეს, რომ ანგარიშებს

თან უნდა ერთვოდეს დამზადების პუნქტის (საწყობის) ზედნადები, რომლითაც დასტურდება სოფლის მეურეობის პროდუქციისა და ნედლეულის ჩაბარება.

მწყვეტელობაშია ძისაღები ისიც, რომ დამამზადებლებსა და შემგროვებლებს ანგარიშქვეშ შეიძლება ჰქონდეთ მიღებული ფული და თუ საფოფხძარებლო საფოგადოების ბუღალტერიაში მათზე დაშბადების საქონლის ანგარიშით დავალიანება ირიცხება, ეს დაშბადების ოპერაციების აღრიცხვის ხესის უხეში დარღვევაა. ასეთი დარღვევები რევიზორმა აქტში უნდა შეიტანოს, დაფხაძავე პირები გამოავლინოს, შესყიდული პროდუქცია დამზადების საწყობებსა ან პუნქტებში დაუყოვნებლივ ჩააბაროს და დანიშნულებისამებრ გადაიტვირთოს.

იფისათვის, რომ დარწმუნდეს დამამზადებლების მიერ საავანსო ანგარიშზე თანდართული ძისაღები ქვითრების სისწორეში, რევიზორმა შერჩევითი წესით ეს დოკუმენტები ჩამბარებლებთან უნდა შეამოწმოს. ამ გზით შეიძლება გაძოვლინდეს გამოგოხილ პირებზე ქვითრების გამოწერის შემთხვევები, ფიქტიური დოკუმენტების შედგენა, ჩამბარებლების ანგარიშში მოტყუებისა და სხვა დარღვევა-ბოროტმოქმედების ფაქტები (ამ შემოწმებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სარევიზიო კომისიის წევრებმა და მეპაიეაქტივისტებმა).

რევიზიის პროცესში გულდასმით უნდა შემოწმდეს ანგარიშვალდებულ პირებზე ფულის გაცემა და მისი კანონიერება, საავანსო ანგარიშების დროულად წარმოდგენა, გასამართლებელი საბუთების უტყუარობა და მოხდენილი ოპერაციების მიზანშეწონილობა. ასევე უნდა გამოვლინდეს სამუშაოზე გაუფორმებელ პირებზე გაიცა თუ არა თანხები, საავანსო ანგარიშების წარმოდგენის ვადების დარღვევები, უმიზნოდ თანხების გაცემა და სხვ. რევიზიის დაწყებისთანავე რევიზორი ვალდებულია ანგარიშვალდებულ პირს მოსთხოვოს საავანსო ანგარიში და დაუხარჯავი თანხის სალაროშივე დაბრუნება.

დამამზადებელთა და შემგროვებელთა საავანსო ანგარიშების შემოწმებისას რევიზორებმა პირადი ანგარიშების მიხედვით უნდა აწარმოონ ცალკეული თარიღის მიხედვით სალაროდან მიღებული თანხების შესაბამისობა და ანგარიშების დროულად ჩაბარება. მათვე უნდა დაადგინონ ხომ არ გაიცა ზედმეტი ავანსი. საავანსო ანგარიშების მიხედვით მოწმდება აგრეთვე, სწორად არის თუ არა

შედგენილი შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების საწყობებში ან პუნქტებში ჩაბარების შედეგების შესახებ ცნობა-გაანგარიშება.

კ-5 ჟურნალის მიხედვით რევიზორები ადგენენ შესყიდული პროდუქციის რა ნაწილი აუნაზღაურდა ჩამბარებლებს სალაროს მეშვეობით და რა ნაწილი — დამამზადებელთა მიერ. ამასთან, არკვევენ დამამზადებელთა მეშვეობით ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების შემდგომი შემცირების შესაძლებლობას.

ფულადი საშუალებების, ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისა და საქვეანგარიშო თანხების რევიზიის სწორად ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს რევიზიაჩატარებულ ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად. ამასთან მთელი რიგი მონაცემები უშუალოდაა დაკავშირებული შესამოწმებელ სხვა საკითხებთან.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინვენტარიზაცია და მისი შედეგები

ფასეულობათა ინვენტარიზაცია რევიზიის ყველაზე უფრო პასუხსაგები და შრომატევადი ნაწილია, ამიტომ იგი რევიზიის ჩამტარებელთა მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ფაქტიური ნაშთები დგინდება ძირითადად ინვენტარიზაციის ჩატარების გზით. ინვენტარიზაცია საბუხჰალტრო აღრიცხვის ერთ-ერთი ხერხია და ამ გზით წარმოებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მატერიალური და ფულადი საშუალებების აღწერა.

ინვენტარიზაციის ძირითადი ამოცანაა: განსაზღვრული მომენტისათვის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ფაქტიური ნაშთების დადგენა და აღრიცხვის მონაცემებით ნაჩვენებ ნაშთებთან მათი შესაბამისობის შემოწმება.

ინვენტარიზაციის დროს ნატურაში მოწმდება სახეზე არსებული ფასეულობანი (საქონელი, მასალა, ნედლეული, ფულადი და ძირითადი საშუალებები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის საგნები, სწრაფცვეთადი ინვენტარი და სხვ.) და საბუხჰალტრო რეგისტრების მონაცემებით გამოყვანილ ნაშთებთან ხდება მათი შედარება.

ყველა სამეურნეო ორგანიზაციაში ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, აგრეთვე სხვადასხვა სახის ანგარიშსწორების სრულყოფილ და დროულ ინვენტარიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებისა და საბუხჰალტრო აღრიცხვის მონაცემების უტყუარობის უზრუნველსაყოფად.

საბუხჰალტრო აღრიცხვა ჩვენი სამეურნეო საქმიანობის კონტროლის აუცილებელი ხერხია. ამასთან იგი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. ამდენად, საბუხჰალტრო აღრიცხვა ყველა პერიოდისათვის ზუსტად უნდა ასახავდეს სამეურნეო სახსრების მდგომარეობას და მის წყაროებს. სააღრიცხვო ჩანაწერები პერიოდულად უნდა შემოწმდეს არა მარტო ჩატარებული და აღრიცხული ოპერაციების კანონიერების დადგენის თვალსაზრისით, არამედ ამ ოპერაციების სააღრიცხვო ჩანაწერებით მიღებული შედეგების შესაბამისობის გამოსავლინებლადაც. ამისათვის კი უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია, რაც შემდგომში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ფაქტიური ნაშთების გამოთვლისას სააღრიცხვო მონაცემების ნაჩვენებ ნაშთებთან შედარებისა და სათანადო შედეგების დადგენის საშუალებას იძლევა.

სასაქონლო-მატერიალურ და ფულად საშუალებათა ინვენტარიზაციის ხარისხიანად ჩატარებას სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული ინვენტარიზაციის სწორ ორგანიზაციაზე.

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ არაერთხელ მიუთითა კოოპორგანიზაციათა გამგეობებს, რომ ყურადღება გაემახვილებინათ ინვენტარიზაციების ვადების განუხრელად დაცვასა და ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რადგან ამით ხორციელდება მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არსებული საქონლისა და ფულის ფაქტიური შემოწმება. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შესაბამისად, საჭიროა საინვენტარიზაციო კომისიების შემადგენლობის გულდასმით შერჩევა, საკონტროლო შემოწმებების ჩატარება, საწარმოებში ინვენტარიზაციების ჩატარებაში ხელმძღვანელებისა და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრების მონაწილეობა.

ინვენტარიზაციას ბევრჯერ ისეთი კომისიები ატარებენ, რომელ-

თა შემადგენლობაში სამი კაცის ნაცვლად ორია, თვით შესამოწმებელი მუშაკის ჩათვლით. ზოგჯერ საინვენტარიზაციო კომისიებში არ მონაწილეობენ კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობის წარმომადგენლებიც. ასეთ შემთხვევაში საქონლისა და ფულის აღრიცხვა, რომელთა შენახვაზე, პირველ რიგში, პასუხს აგებენ ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტერები, მინდობილი აქვთ სრულიად გარეშე პირებს; ასევე, „ცენტროსოიუზის" მითითების საწინააღმდეგოდ, მომხმარებელთა საზოგადოებების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი და უფროსი ბუხჰალტერი არ მონაწილეობენ ინვენტარიზაციებში, არ ატარებენ საკონტროლო შემოწმებებს.

ზოგჯერ საინვენტარიზაციო აღწერა ძალიან უხარისხოდ ფორმდება, აღწერის ნუსხებში დაშვებული შესწორებები ხელმოუწერელია, ზოგიერთ საქონელზე აღნიშნული არ არის ფასის საფუძველი, საპრეისკურანტო ნომერი, არტიკული, ხარისხი, ზომა, რის გამოც შეუძლებელია ფასებზე კონტროლი. ხშირად კოოპორგანიზაციათა სააღრიცხვო დარგის მუშაკები აღსარიცხავად იღებენ აშკარად უხარისხო საინვენტარიზაციო უწყისებს, რითაც ხელს უწყობენ დანაკლისებსა და დატაცებებს. სწორედ ამიტომ, ინვენტარიზაციის ჩატარების ხელმძღვანელობა და მისდამი კონტროლი ევალებათ ორგანიზაციის (საწარმოს) ხელმძღვანელსა და მთავარ (უფროს) ბუხჰალტერს. იმ შემთხვევაში, თუ ინვენტარიზაცია ტარდება საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიასთან დაკავშირებით, ამ სამუშაოს კონტროლი ევალება ზემდგომი ორგანოდან სარევიზიოდ მოვლინებულ მუშაკს.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ინვენტარიზაციები სრულ სურათს იძლევა მოულოდნელად ჩატარების შემთხვევაში. ამიტომ კატეგორიულად აკრძალულია საწარმოს მუშაკებს აცნობონ ინვენტარიზაციის ვადები. ამ პრინციპის დაცვის მიზნით მოულოდნელი ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ განკარგულება კომისიის თავმჯდომარემ უნდა მიიღოს ნაშთების აღწერის დაწყებამდე ორი-სამი საათით ადრე (დასახელებულ პუნქტში საწარმოს ინვენტარიზაციის დროს მხედველობაში მიიღება ამ პუნქტში მისვლისათვის საჭირო დრო).

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ინვენტარიზაცია მეტად საპასუხისმგებლო ღონისძიებაა, ამიტომ კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ სათანადო კომ-

პეტენციის, შემოწმებული და გამოცდილი მუშაკები, რომლებმაც კარგად იციან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესები, ერკვევიან საქონლის ხარისხსა და ფასში.

საინვენტარიზაციო კომისია პასუხისმგებელია:

ა) ინვენტარიზაციის დროულად ჩატარებისათვის;

ბ) აღწერის ნუსხებში მონაცემების სრულად და ზუსტად შეტანისათვის;

გ) აღწერის ნუსხებში საქონელზე ფასების სწორად ჩვენებისა და დაჯამებისათვის და სხვ.

აქედან გამომდინარე, „ცენტროსოიუზის" გამგეობის 1955 წლის 1 ივნისის დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში: „მომხმარებელთა კოოპერაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" — მე-14 მუხლით განისაზღვრა: „დანაკლისებისა და გაფლანგვა-დატაცების მიჩქმალვის მიზნით აღწერის ნუსხებში არასწორი მონაცემების შეტანისათვის, საქონლის ნაშთის ფაქტიური შემოწმების გარეშე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განცხადებით ან დავთრის ჩანაწერების მიხედვით ნუსხაში შეტანისათვის, ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩამტარებელი პირნი მიცემულნი იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში კანონის ძალით".

ამავე ინსტრუქციით, საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობის კონტროლის გაძლიერების მიზნით, ორგანიზაციების (საწარმოების) ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ფასეულობათა შერჩევა-განმეორებითი ინვენტარიზაციის ჩატარების გზით პირადად შეამოწმონ ჩატარებული ინვენტარიზაციის სისწორე ან ეს თავიანთ მოადგილეებს დაავალონ. ამგვარი შემოწმება უნდა ჩატარდეს საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობის დამთავრებისთანავე.

იმავე ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია, რომ წელიწადში ერთხელ მაინც, ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილეებმა პირადად უნდა მიიღონ მონაწილეობა თიოოეული საწარმოს ინვენტარიზაციის ჩატარებაში.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია რამდენიმე ეტაპად იყოფა:

პირველ ეტაპზე ხდება ნატურალური ნაშთების გადათვლა-გადაწონა, ანუ სპეციალური საინვენტარიზაციო (აღწერის) უწყისე-

ბის შედგენის გზით სახეზე არსებულ ფასეულობათა აღწერა და შეფასება.

მ ე ო რ ე ეტაპზე აღწერილ ფასეულობათა გარდა გამოვლინდება დარჩენილი, აღწერის სიაში შეუტანელი ფასეულობანი.

მ ე ს ა მ ე ეტაპზე განისაზღვრება ნატურაში გამოვლინებული ნაშთებისა და ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშებით დარიცხულ ნაშთებს შორის სხვაობა და დგინდება განსხვავებების მიზეზები.

ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ დგება შედარებითი უწყისები, რომლებშიც მოცემულია ცალკეულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე დარიცხულ ფასეულობათა ფაქტიური ნაშთების შეპირისპირება მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან, მათი თანატოლობის, დანაკლისის ან ზედმეტობის დასადგენად, ინვენტარიზაციის შედეგად ვლინდება მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მუშაობა, ამასთან არის თუ არა არასრულფასოვანი, ჩაწოლილი და ძნელად სარეალიზაციო საქონელი, ნედლეული და სხვ.

ყველა დარიცხულ ფასეულობათა შედეგი ასახულია თანდართულ ცნობაში (დანართი № 3); რევიზორმა უნდა მიიღოს ოპერატიული ზომები, რომ შვებულებაში გასასვლელ პირზე დარიცხულ ფასეულობათა გადაბარება მოახდინონ.

ცალკეულ შემთხვევაში, ფასეულობათა ინვენტარიზაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე თუ სხვა ინვენტარიზაცია ჩატარდა და მისი შედეგების გულდასმით შემოწმების შემდეგ საეჭვო არაფერია, განმეორებითი (სრული ან შერჩევითი) ინვენტარიზაციის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხს ადგილზე სწყვეტს რევიზორი. ცალკეულ პირზე დარიცხულ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობის შესახებ გადაწყვეტილება რევიზორმა უნდა დაასაბუთოს და ჩაწეროს სარევიზიო აქტში. ცნობა მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე, რომელთაც რევიზიის პროცესში ფასეულობათა ინვენტარიზაცია არ ჩაუტარდათ, თან უნდა დაერთოს აქტს (დანართი № 4).

ამრიგად, აქტზე თანდართულ მე-3 და მე-4 დანართებში მოხსენებული უნდა იქნეს ყველა მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, რომლებიც საზღვრავენ რა ღირებულების ფასეულობა ირიცხება ორგანიზაციაში, რამდენია ინვენტარიზებული და არაინვენტარიზებული, ან მიზეზი რატომ არ აღწერეს ეს ფასეულობა. ამავე ცნობით დგინდება როდის იყო ჩატარებული უკანასკნელი ინვენტარიზაცია, როდის იყვნენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები მორიგ შვე-

ბულებაში, გადაბარებული იყო თუ არა სხვა პირზე მატერიალური ფასეულობანი.

ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ შედეგების დადგენისას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ფაქტიურ ნაშთებსა და საბუხჰალტრო ჩანაწერებს შორის სხვაობებს, ე. ი. ფაქტიური ნაშთები შეიძლება იმაზე მეტი ან ნაკლები იყოს, რასაც საბუხჰალტრო ჩანაწერები გვიჩვენებს. ამ შემთხვევაში როგორც მეტობის, ისე დანაკლისის წარმოშობის მიზეზები საინვენტარიზაციო კომისიამ გულდასმით უნდა შეისწავლოს.

აღრიცხვის მონაცემებსა და ფასეულობათა ფაქტიურ რაოდენობას შორის სხვაობები ძირითადად წარმოიშობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) შენახვის ფაქტიური პირობების (ნორმა, ნორმის ზევით დანაკარგები) შედეგად, როცა მატერიალურ საშუალებებში მომხდარი ცვლილებები აღრიცხვის მონაცემებში არ აისახება;

ბ) როდესაც ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას (ზომა-წონაში მოტყუება, დატაცება);

გ) მატერიალური საშუალებების (მასალების, საქონლის) მიღება-გატარებაში გადახარისხებების დროს;

დ) აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებისას ჩანაწერებში შეცდომების დაშვების გამო;

ე) საინვენტარიზაციო კომისიის მიერ უხარისხო ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად.

როგორც მეტობის, ისე დანაკლისის შემთხვევები საინვენტარიზაციო კომისიამ გულდასმით უნდა შეისწავლოს, რადგან ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინებული სხვაობის მიღმა ყოველთვის იმალება ბუხჰალტრული შეცდომა, ფაქტიური დანაკლისი, ან ბოროტმოქმედების მიჩქმალვის ცდა.

ამრიგად, დოკუმენტური რევიზიის ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი უბანია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რომლის სრულყოფილად ჩატარებით და მისი შედეგების სწორად დადგენით ძირითადად ვლინდება დარიცხულ ფასეულობათა დაცვის მდგომარეობა.

განსხვავებულად ტარდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინვენტარიზაცია. სწორედ ამიტომ „ცენტროსოიუზის“ გამგეობის მიერ 1955 წლის პირველ ივნისს დამტკიცებულ ინსტრუქციაში — „მომხმარებელთა კოოპერაციის ორგანიზაციებ-

ლა და საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ — ცალკეა გამოყოფილი ამ სახის ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესი. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინვენტარიზაციის სწორი ორგანიზაციისა და მისი ზუსტი შედეგების განსაზღვრის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიამ ფასეულობათა აღწერის დაწყებამდე უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დამამზადებელმა და შემგროვებელმა საწყობებსა და ღამამზადებელ პუნქტებს ჩააბაროს შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული, ფასეულობათა სწრაფად შემოწმებისა და აღწერისათვის მოაწესრიგოს დამზადებული საქონლის შენახვის ყველა ადგილი. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის და ზომების მიხედვით დაწყობა.

ინვენტარიზაციის დროს სიძნელეების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია იარლიყებისა და საჭდეების მიხედვით ერთნაირი სახისა და ხარისხის პროდუქციის ერთ ადგილზე განლაგება. იარლიყებსა და საჭდეებზე მითითებული უნდა იყოს პროდუქციის ან ნედლეულის ზუსტი დასახელება, ხარისხი, რაოდენობა, მოცულობა, წონა და ზომა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ფაქტიური ნაშთების შემოწმებისას რევიზორმა უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ სახის პროდუქციის სპეციფიკურობა, რათა აღწერის პროცესში დათვლის ან გადამოწმების დროს ხარისხი არ გააუარესოს.

მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩასატარებლად, პირველ რიგში, ნედლეულის შესანახი სათავსოები უნდა განიტვირთოს. საინვენტარიზაციო კომისიის თანდასწრებით ნედლეული უნდა გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბაზაში ან გადასამუშავებელ ქარხნებში (მრეწველობის ბაზებში), რათა ფაქტიური ნარჩენების შედარებითა და აქტების მიხედვით საბოლოოდ განისაზღვროს მყიდველების მიერ ამ სახეობის ნედლეულის მიღება. საინვენტარიზაციო კომისიის წევრები ამოწმებენ გასაგზავნი ნედლეულის რაოდენობას, ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ფაქტურა-სპეციფიკაციების შედგენის სისწორეს. ეს სამუშაო უნდა ჩატარდეს მოქმედი სტანდარტების, ტექნიკური პირობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის საწყობებში მოთავსების, შეფუთვის და შენახვის ინსტრუქციის შესაბამისად. მაგალითად,

მატყლი იკვრება ფუთებად ან იწნეხება შეკვრებად, ინომრება და ეწერება სტანდარტი, კრეჭვის სეზონი, კლასი, ქვეკლასი. წმინდა ჩოჩკოს გამოსავლიანობის პროცენტი, ბრუტო და ნეტო წონა. ბეწვეულის ნედლეული იკვრება დასტებად. თითოეულ დასტას ამაგრებენ საქდეს, რომელზედაც აღნიშნულია ნედლეულის დასახელება, რაოდენობა და ხარისხი.

საინვენტარიზაციო აღწერაში შეაქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ფაქტიური მდგომარეობა (მათი დათვლის, აწონვისა და გაზომვის შემდეგ), რაც მოქმედი ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების დაცვით, სახეობებისა და დასახელების მიხედვით ხდება. დამზადების საწყობებსა და პუნქტებში ფასეულობათა ნაშთების შემოწმებამდე საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია დალუქოს საწყობების სხვა გასასვლელები, დაადგინოს საწონ-საზომი ხელსაწყოების სიზუსტე, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს ჩამოართვას ხელწერილი იმის შესახებ, რომ შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტი შეტანილია უკანასკნელ სასაქონლო ანგარიშში და ჩაბარდა ბუხჰალტერიას, ამასთან შემოსული ფასეულობა გატარებულია შემოსავალში, ხოლო გასული — ჩამოწერილია.

რევიზორმა მსედველობაში უნდა მიიღოს, რომ თუ ერთსადაიმავე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ნედლეული შენახული აქვს სხვადასხვა ერთმანეთისაგან ტერიტორიულად განცალკევებულ სათავსოებში, აღწერილობა უნდა ჩატარდეს თითოეული ადგილის მიხედვით. ფასეულობა ერთი სათავსოდან მეორეში რომ არ გადაიტანონ, ყველა ცალკე შესასვლელი უნდა დაილუქოს. აღწერის ჩატარების დროს ფასეულობათა მიღება-გაცემის ოპერაციები დროებით უნდა შეწყდეს, მაგრამ ისე, რომ მან საწარმოს ნორჰალურ მუშაობაზე უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს.

საინვენტარიზაციო კომისიამ, ინვენტარიზაციის შემდეგ სხვადასხვა უმართებულო პრეტენზიისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სახეზე არსებულ ფასეულობათა აღწერის სრულყოფილობისათვის. მკაცრად უნდა დაიცვას მის წინაშე წამოყენებული ყველა მოთხოვნილება. გარდა იმისა, რომ კომისია საინვენტარიზაციო უწყისებში ფასეულობას შეიტანს მხოლოდ გადათვლის, გადაწონის და გადაზომვის შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აღწერის მასალების სრულყოფილად გაფორმებას.

ნატურალური მაჩვენებლები უნდა დაჯამდეს აღწერის ბლანკის

ყველა გვერდზე ერთიმეორეზე მიმატებით, მიუხედავად იმისა, თუ რა საზომ ერთეულშია იგი ასახული (კგ, ცალი, მეტრი) და ამ ერთეულების საერთო რაოდენობა. ამასთან, ეს სიტყვებით უნდა დაიწეროს და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან ერთად კომისიის ყველა წევრმა მას ხელი უნდა მოაწეროს.

საინვენტარიზაციო სააღწერო უწყისში დაშვებული შეცდომების გასწორება სათანადო აღნიშვნით უნდა დაადასტუროს კომისიის ყველა წევრმა.

დაუშვებელია საინვენტარიზაციო აღწერილობის ჯერ „შავად" შედგენა და შემდეგ „გადათეთრება".

აღწერილობის ერთი პირი უნდა შეადგინოს თვით მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა.

აქტები ობიექტის გაღება-დაკეტვაზე უნდა შედგეს შემდეგი წესის დაცვით: ობიექტის დაკეტვისას გასაღები ინახება მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან, ხოლო ბეჭედი — საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარესთან.

თითოეული საინვენტარიზაციო უწყისის შევსების დამთავრებისას მატერიალურად პასუხისმგებელ პირს უნდა ჩამოერთვას შემდეგი შინაარსის ხელწერილი: „ამ საინვენტარიზაციო აღწერილობაში მოხსენებული ფასეულობანი ჩემი თანდასწრებით კომისიის მიერაა შემოწმებული, საინვენტარიზაციო კომისიის მიმართ არავითარი პრეტენზია არ მაქვს. აღწერაში ჩამოთვლილი ფასეულობანი ინახება ჩემი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ".

რევიზორმა ყურადღებით და მკაცრად უნდა დაიცვას საინვენტარიზაციო წესები, ხელახლა უნდა შეამოწმოს საქონლისა და სხვა ფასეულობის აღწერის სრულყოფა და ხარისხი, რაზედაც აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი აქტი. თუ ხელახალი შემოწმების შედეგად მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა, მაშინ ინვენტარიზაცია უხარისხოდ უნდა მივიჩნიოთ. ასეთ შემთხვევაში ფასეულობათა განმეორებითი აღწერისათვის ახალი კომისია უნდა გამოიყოს.

ხშირად ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის ფაქტიური არსებობის შემოწმება ხდება გაზომვის გზით. ასეთი პროდუქტია ახლად დამწნილებული და დამარილებული ბოსტნეული, რაც ინახება სასილოსე კოდებში, ქვაბებში, მაცივრებსა და სხვა სპეციალურ საცავებში.

საინვენტარიზაციო კომისია აღნიშნული პროდუქციის აღწერისათვის ზომავს საცავების კუბატურას და მოქმედი ნორმატივების საფუძველზე განსაზღვრავს შენახული პროდუქციის წონას ცალკეული სახეობის მიხედვით.

დაეუშვათ, გვაქვს 500 კუბური მეტრი მოცულობის კარტოფილსაცავი, აქ შენახულ კარტოფილს კი 300 კუბური მეტრი უკავია. ერთი კუბური მეტრი კარტოფილის წონა ნორმატივით შეადგენს 700 კილოგრამს. ამრიგად, საცავში შენახული კარტოფილი 210 ტონა იქნება (700 კილოგრამი × 300).

პროდუქტების გაზომვის შედეგებს რევიზორები ამოწმებენ იმ დოკუმენტებით, რომლებშიც ფიქსირებულია შენახული პროდუქციის ფაქტიური რაოდენობა. ასეთი დოკუმენტებია კარტოფილისა და ბოსტნეულის ზვინების აღრიცხვის ბარათები, სარდაფებსა და სამაცივრო საკნებში ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების აქტები და ა. შ. ამ დოკუმენტებში აღნიშნულია შენახვის თარიღი, პროდუქციის დასახელება, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები (ხარისხი, გაპუპკიანება, სტანდარტულობის პროცენტი), რაოდენობა და შენახვის წესი. ამ ჩანაწერებს რევიზორი ადარებს შემოსავალ-გასავლის დოკუმენტებს.

ხილისა და ბოსტნეულის ფაქტიური ნაშთების ინვენტარიზაციის ყველა შემთხვევაში ხარისხი უნდა განისაზღვროს ორგანოლეპტიკურად, საჭირო შემთხვევაში — ლაბორატორიული წესითაც. პროდუქციის დეფექტიანობის გამოვლინებისას უნდა შედგეს ცალკე აღწერა, აღინიშნოს ხარისხის გაუარესების მიზეზები და დასახელდეს ამ საქმეში დამნაშავე პირები.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინვენტარიზაციის პროცესში რევიზორმა ყურადღება უნდა მიაქციოს რა პირობებში ინახება დამზადებული პროდუქცია, სათავსოები შეეფერება თუ არა სანიტარულ-ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რა მდგომარეობაშია სასასწორო მეურნეობა, გატარებულია თუ არა ყველა ის წინასწარი პროფილაქტიკური ღონისძიება, რომლებიც გამორიცხავენ ფასეულობათა დატაცების, გაფუჭების და ხანძრის შემთხვევებს და ა. შ.

ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდება ტყავნედლეულის და მატყლის ინვენტარიზაცია. მათი რაოდენობისა და ხარისხის შესადარებელი უწყისების შედგენა ხდება არა მარტო მორიგი მოულოდნელი ინვენტარიზაციისას, არამედ ერთი მატერიალურად პა-

სუხისმგებელი პირიდან მეორეზე ნედლეულის გადაცემის დროსაც.

ტყავნედლეულის ინვენტარიზაცია ხორციელდება ტყავების რაოდენობის, ხარისხისა და დამზადების ფასების შემოწმების გზით. ინვენტარიზაციის დასაწყისში საჭიროა დათვლა ტყავების, ჩაწყობა სპეციალურ ყუთებში, რომლებსაც უკეთდება საჭდე ნედლეულის სახეობის აღნიშვნით. თუ შედარებით ძვირფასი ნედლეულია, საჭდეს აკრავენ თითოეულს. ყუთებში ჩაწყობილი ტყავების შემოწმებისას უნდა გაიხსნას ყუთების საერთო რაოდენობის 10 პროცენტი. ყუთებზე მიკრულ მონაცემთან ფაქტიური მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში აუცილებელია ყველა ყუთის გახსნა. ინვენტარიზაციით ხდება ტყავნედლეულის ხარისხის შენარჩუნების შემოწმებაც.

ბეწვეულის ნედლეული ფასდება ზომის, ხარისხის და დეფექტების მიხედვით. მაგალითად, ბოცვერის ტყავი ზომის მიხედვით იყოფა: განსაკუთრებულ მსხვილ (1900 სმ² და უფრო მეტი ფართობის), მსხვილ (1300-დან 1600 სმ² ფართობის), წვრილ (1300 სმ²) და უფრო ნაკლები ფართობის ზომებად.

ინვენტარიზაციის დროს აღწერის სიაში არ უნდა შეიტანონ ის ტყავნედლეული, რომლის მიღების უფლება სტანდარტით აკრძალულია. ამასთან არასრულყოფილი (გამოუმშრალი, ქონმოუცილებელი და სხვ.) ტყავი აუცილებლად უნდა ჩამოფასდეს მისი ღირებულების 5 პროცენტის რაოდენობით.

ტყავის სიგრძის სიგანეზე გადამრავლებით მიიღება ზომა კვადრატულ სანტიმეტრებში, რაც აღწერაში აუცილებლად უნდა შეიტანონ. ინვენტარიზაციის დროს უნდა შემოწმდეს თმიანობის მიმართულებაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალური და დეფექტიანი ტყავის გამოსავლინებლად.

ინვენტარიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრეისკურანტით ტყავნედლეულის ღირებულების შემოწმებას. რევიზორმა უნდა იცოდეს, რომ მე-2 ხარისხის ტყავის ღირებულება 25%-ით, ხოლო მე-3 ხარისხისა 50%-ით ნაკლებია პირველი ხარისხის ტყავის ფასთან შედარებით. თუ ტყავს მცირე დეფექტი აღმოაჩნდა, მაშინ 10%-ით ნაკლები უნდა გადაუხადონ უდეფექტო ტყავის ღირებულებასთან შედარებით. გამონაკლისს შეადგენს წავის და სიასამურის ტყავები. კერძოდ, ამ სახის მეორე ხარისხის ნედლეული ფასდება იმავე სახის ტყავის როგორც პირ-

ველი ხარისხის, 20%-ის ფასდაკლებით. შემოწმების ყველა მონაცემი შეაქვთ ინვენტარიზაციის უწყისებში.

იმის გამო, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში აღნიშნული ნედლეულის ხარისხი მიღება-ჩაბარების დროს ორგანოლეპტიკური წესით განისაზღვრება (როცა გამორიცხული არ არის გადახარისხებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების სხვადასხვანაირად განსაზღვრის შესაძლებლობანი), მთავრობამ დაამტკიცა ერთი ნედლეულის მეორე ნედლეულით შეცვლის წესი და შეფასებაში დასაშვები გადახრების ნორმები. მაგალითად, შეიძლება ცხენის ტყავი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავით შეიცვალოს, ან პირიქით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წვრილი ტყავები — კვიცის ტყავებით, მატყლიანი და ნახევრადმატყლიანი ცხვრის ტყავი — თხის ტყავით; ან კიდევ, ნაზი კანძის მატყლი შეიძლება ნახევრადნაზი კანძის მატყლით შეიცვალოს, ნახევრადნაზი კანძისა — ნახევრადუხეშით, ნახევრადუხეში — უხეშით; ბეწვეულიდან: მეწამული მელიის ბეწვი შეიძლება შეიცვალოს კორსიკით, მგლისა — ტურით, ფოცხვერისა — ჯიქის ბეწვით და ა. შ.

ნედლეულის შეფასებაში დასაშვები გადახრებია:

დამზადების საწყობებსა და პუნქტებში დამამზადებლებისა და შემგროვებლების მიერ ნედლეულის ჩაბარების დროს მატყლის ღირებულების 1,5 პროცენტი, ტყავნედლეულისა და ბეწვეულისა — 2 პროცენტი. საწყობების ინვენტარიზაციისა და მომხმარებელთათვის ნედლეულის ჩაბარების ან სისტემის შიგნით ჩაბარების დროს მატყლის 1 პროცენტი, ტყავნედლეულისა და ბეწვეულის ნედლეულისათვის — 1 პროცენტი. აღნიშნული ნორმები გაიანგარიშება საწყობებში დამამზადებლების მიერ ნედლეულის ჩაბარებისას — ნედლეულის ღირებულებიდან, საანგარიშო პერიოდში მიღებული ქვითრების მიხედვით.

საწყობების ინვენტარიზაციისა და მომხმარებლისათვის ნედლეულის ჩაბარებისას ნორმები გაიანგარიშება ინვენტარიზაციებს შორის პერიოდში შემოსავლის მიხედვით ნედლეულის ბრუნვიდან იმ გაპიროვნებული ნედლეულის ღირებულების გამოკლებით, რომლის მიხედვითაც წარმოებს ჩამბარებლებთან გადაანგარიშება.

დადგენილი ნორმებით დასაშვებია წონაში გადახრები გაურეცხავი მატყლის შესყიდვის, შენახვის, დახარისხებისა და გადაზიდვის დროს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის საწყობებში დამამზადებ-

ლების მიერ მატყლის ჩაბარებისას დასაშვები გადახრაა (მიღების ქვითრის მიხედვით) მატყლის წონის 0,4 პროცენტი, საწყობებში შენახვისას — 0,3 პროცენტი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით რესპუბლიკის მთიანი რაიონებისათვის, ინვენტარიზაციებს შორის პერიოდში საწყობში მიღებული მატყლის წონის — 0,4 პროცენტი.

დამამზადებლისა თუ შემგროვებლისათვის ტყავის ან ბეწვეულის ნედლეულის ცალების დანაკლისის აღმოჩენის, ან ნორმით დასაშვები გადახრების გადამეტებით მატყლის დანაკლისის შემთხვევაში, რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის გამგეობა ვალდებულია გამოარკვიოს მიზეზები და თუ ადგილი არა აქვს ბოროტმოქმედებას, ნედლეულის ღირებულება გადაახდევინოს (ურთიერთშენაცვლებად სახეობათა ჩათვლისა და დასაშვები ნორმების ფარგლებში დანაკარგების ჩამოწერის შემდეგ) გასაცემ ფასებში (შესასყიდი ფასი პლუს ფასნამატი). დამამზადებლებს ნედლეულის გადახარისხებით გამოწვეული დანაკარგები უნდა გადახდეს ადმინისტრაციული წესით, თუ გამოვლინდა ბოროტმოქმედების ნიშნები (დიდი დანაკლისი და გადახარისხება, გამოგონილ პირებზე მიღების ქვითრების ფიქტიური შედგენა, ტყავის ნედლეულის ხარისხის, წმინდა მატყლის გამოსავლიანობისა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების განზრახ წამატება), უნდა შედგეს საშუალედო აქტი და მასალები გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს (დამზადების საშუალო ფასით) ზარალის ანაზღაურებისათვის სარჩელის წარდგენით: ტყავის ნედლეულისათვის — სამმაგი ღირებულებით; უხეში მატყლისათვის — ხუთმაგად; ნაზი და ნახევრადნაზი, ნახევრადუხეში მატყლისათვის — შვიდმაგად; ბეწვეულის ნედლეულისათვის — შესაბამისი სხვაობის ნედლეულის გადამუშავებული ბეწვის სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით[1].

დამზადების საწყობებსა და პუნქტებში, სადაც იღებენ და ინახავენ ტყავისა და ბეწვეულის ნედლეულს, მატყლს, დანაკლისის ნორმებს ზევით ფასთასხვაობის გამოვლინებისას იყენებენ ზარალის ანაზღაურების იმავე წესს.

ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ აღწერილობა, საინვენ-

---

[1] 1954 წლის 26 ივლისის სსრკ მინისტრთა საბჭოს განკარგულება (ამონაკრები), იხ. „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 30 მაისის 1962 წლის № სპ — 71 წერილზე თანდართული ინსტრუქცია-განკარგულებები.

ტარიზაციო კომისიის ყველა წევრისა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერით, ბუხჰალტერიას უნდა ჩაბარდეს.

ნედლეულის ფაქტიურად არსებული რაოდენობის შემოწმების შედეგთა სწორად განსაზღვრისათვის რევიზორებს, საინვენტარიზაციო კომისიებისა და სარევიზიო ორგანიზაციის მთავარ (უფროს) ბუხჰალტრებთან ერთად ევალებათ დარწმუნდნენ საინვენტარიზაციო აღწერილობებში, დაანგარიშებების სისწორეში, ფასებში და დანიხვრაში. გამოვლინებული შეცდომები დადგენილი წესის მიხედვით უნდა გასწორდეს.

ინვენტარიზაციის მასალების საფუძველზე მთავარ (უფროსი) ბუხჰალტერს, საინვენტარიზაციო კომისიასთან (თავმჯდომარესთან) ერთად, გამოყავს ინვენტარიზაციის შედეგი ნედლეულის თითოეული სააღრიცხვო ნომენკლატურისა და მთლიანად სახეობათა მიხედვით შედარებით უწყისში.

რევიზორმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეამოწმოს გადახარისხების ისეთი შემთხვევები, როცა შედარებითი უწყისების მიხედვით გამოყვანილია უფრო ძვირფასი ნედლეულის (მაგალითად, ცხენის ტყავის, მატყლიანი და ნახევრადმატყლიანი ცხვრის ტყავის) რაოდენობრივი დანაკლისი, ხოლო ნაკლებად ძვირფასი ნედლეულის (კვიცის, ცხვრის და უბეწვო ტყავი) — ნამეტი.

ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანისას რევიზორმა უნდა იცოდეს, რომ დანაკლისისა და ნამეტის ურთიერთდაფარვა დაშვებულია გამონაკლისის სახით, მხოლოდ ერთგვაროვანი მატერიალური ფასეულობებისათვის, ერთი და იგივე შემოწმებული პერიოდისა და ერთი და იგივე მატერიალურად პასუხისმგებელი პირისათვის. ამასთან, თუ დანაკლისის ღირებულება ნამეტზე უფრო მეტია, სხვაობის გადახდა დამნაშავე პირებს ეკისრებათ.

რევიზორმა ინვენტარიზაციის დღისათვის უნდა შეამოწმოს ნედლეულის სინთეზური, ანალიზური და სასაწყობო აღრიცხვის მდგომარეობა, ე. ი. რაოდენობრივი აღრიცხვის წიგნებში ინვენტარიზაციის დაწყებამდე ასახულია თუ არა შესრულებული ყველა ოპერაცია, უკანასკნელი ანგარიშის ოპერაციების ჩათვლით. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ რევიზორებმა უნდა დაიწყონ პირველადი დოკუმენტების, საბუხჰალტრო რეგისტრების, ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერებისა და სინთეზური აღრიცხვის მონაცემებთან მათი შესაბამისობის შემოწმება.

თუ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციით ფასეულობათა ფაქტიურ ნაშთებსა და საბუხჰალტრო ჩანაწერებს შორის დიდი სხვაობა გამოვლინდა, რევიზორი ვალდებულია, პირველ რიგში, გულმოდგინედ შეისწავლოს როგორც საბუხჰალტრო ნაშთების უტყუარობა, ისე ინვენტარიზაციის რეალობა. როცა რევიზორი დარწმუნდება ინვენტარიზაციის მონაცემებისა და საბუხჰალტრო ჩანაწერების სისწორეში, რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით მატერიალურად პასუხისმგებელ პირს სამუშაოდან გადააყენებს და მასზე დარიცხულ ფასეულობას სხვას, ახლად დანიშნულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გადააბარებს.

დამზადების ოპერაციების დროს რევიზორები სარგებლობენ საბუხჰალტრო აღრიცხვის შემდეგი ძირითადი რეგისტრებით:

ჟურნალი კ-5, რომელშიც რეგისტრირებულია თითოეულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე გაპიროვნებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შემოსავლისა და გასავლის ყველა ოპერაცია. ამ დავთარში ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს მხოლოდ ღირებულებით, როგორიც ნაჩვენებია საწყობების (პუნქტების) გამგეთა სასაქონლო ანგარიშებში. კ-5 ჟურნალში საბოლოო ნაშთები და ბრუნვები მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს № 5 ანგარიშის „დამზადების საქონელი და ტარა“ მთავარ დავთარს და ბალანსის ცხრილებში ჩანაწერებს.

№ კ-10, კ-12, კ-13, კ-14 დავთრებში წარმოებს თითოეულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე გაპიროვნებული ცალკეული სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ანალიზური აღრიცხვა ნატურალური და ფულადი გამოხატულებით, რომელთა საერთო ჯამი უნდა შეესაბამებოდეს ფ. კ-5 ჟურნალის ჯამებს.

კ-5 ჟურნალში ჩანაწერები წარმოებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თითოეული ანგარიშგების მიხედვით. № 5 „დამზადების საქონლის და ტარის“ ანგარიში კორესპონდირდება შემდეგი ანგარიშების კრედიტიდან: № 10 — „სალარო“, № 25 — „საქვეანგარიშო თანხები“, № 3 — „საქონელი და ტარა საცალო საწარმოებში“, № 21 — „ანგარიშსწორება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ჩამბარებლებთან“, № 20 — „მიმწოდებელნი ანგარიშსწორებით“. გასავალში № 5 ანგარიში კორესპონდირდება შემდეგი ანგარიშების დებეტთან: № 22 — „მყიდვე-

ლები და დამკვეთნი ანგარიშსწორებით“, № 50 — „წარმოება“, № 73 — „დამზადების მიმოქცევის ხარჯები“ და სხვ.

დამზადების საქმიანობის შედეგები აღრიცხება № 181 საბალანსო ანგარიშით. დანაკარგების ანალიზური ჩანაწერები ცალკეული მუხლის მიხედვით წარმოებს სპეციალურ დავთარში (ფ. № კ-26). გარდა ამისა, რევიზორები სარგებლობენ იმ ჟურნალებითა და დავთრებით, რომლებშიც წარმოებს ანალიზური აღრიცხვა: საქვეანგარიშო თანხებისა, მუშებისა და მოსამსახურეების, დანაკლისის და მატერიალური ზარალის ანაზღაურების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგების, ტყავნედლეულის გადახარისხების განუხილველი აქტების და სხვ.

რევიზორებმა უნდა იცოდნენ, რომ ბუნებრივი დანაკარგები ჩამოიწერება მხოლოდ ნედლეულისა და მასალების მოცემული სახეობისათვის დამტკიცებული ნორმებისა და ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი ფაქტიური დანაკლისის მიხედვით, წინასწარი ჩამოწერა ნორმების ფარგლებში აკრძალულია.

სამომხმარებლო კოოპერაციის ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის დამამზადებელი საწარმოების საწყობებსა და დამამზადებელ პუნქტებში პროდუქციის შენახვის დროს უნდა გამოვიყენოთ ბუნებრივი დანაკარგების ის ნორმები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერ.

ბუნებრივი დანაკარგების ნორმებში არ შეაქვთ შენახვის, გადარჩევისა და დაფასოების პროცესში გაფუჭების, აგრეთვე წუნისა და ნარჩენების შედეგად მიღებული დანაკარგები, რაც ჩამოიწერება დადგენილი წესის მიხედვით.

ხანმოკლე შენახვის დროს პროდუქციის ბუნებრივი დანაკარგის ნორმების ზუსტი განსაზღვრისათვის საჭიროა მისი საშუალო სადღეღამისო ნაშთის გაანგარიშება ტონობით ან კილოგრამობით. ეს ხდება წინა ინვენტარიზაციის შემდეგ საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან უკანასკნელი ინვენტარიზაციის დღემდე ყოველდღიური ნაშთების ჯამის გაანგარიშების გზით. პირველ და უკანასკნელ ნაშთს ყოფენ პერიოდის დღეთა რიცხვზე, რომელსაც აკლებენ ერთს. მაგალითად, საადრეო კარტოფილის აღრიცხვისას სამომხმარებლო საზოგადოების დამზადების საწყობში პირველი იანვრისათვის ნაშთი არ ყოფილა, ივნისში შემოვიდა 100 ტონა კარტოფილი და გაიგზავნა 90 ტონა, სადავთრო ნაშთი 1 ივლისისათვის შეადგენს 10 ტონას. ივნისის თვის თითოეული დღის ნაშთის

ჯამი შეადგენს 280 ტონას. ამდენად, ჩვენს მაგალითში კარტოფილის საშუალო სადღეღამისო ნაშთი იქნება:

$$\frac{0-280-10}{31-1}=\frac{290}{30}=9,6 \text{ ტ.}$$

შენახვის საშუალო ვადა გამოიანგარიშება საინვენტარიზაციო პერიოდისათვის პროდუქციის საშუალო სადღეღამისო ნაშთის ამ პროდუქციის დღიურ ბრუნვაზე (90 : 30) გაყოფით.

მოცემულ მაგალითში შენახვის საშუალო ვადაა $\frac{9,6}{3}=3,2$ დღე-ღამე, შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ სახეზე არსებულმა კარტოფილმა დაეთრის მონაცემებით 10 ტონის ნაცვლად 8,6 ტონა შეადგინა. კარტოფილის დანაკლისი 1,4 ტონაა.

დამტკიცებული ნორმების თანახმად კი უნდა ჩამოიწეროს:

$$\frac{90\cdot 1,2}{100}=1,08 \text{ ტონა კარტოფილი.}$$

დანაკლისი ნორმის ზევით 0,32 ტონაა, მაგრამ რამდენადაც ზაფხულის პერიოდში საადრეო კარტოფილის შენახვის საშუალო ვადად გათვალისწინებულია ორი დღე-ღამე, ხოლო ფაქტიურად იგი საშუალოდ 3 დღე-ღამეს ინახებოდა, ბუნებრივი დანაკარგის ნორმას უნდა წაემატოს 0,4 პროცენტი (2 დღე-ღამის დამატებით), ანუ

$$\frac{90\cdot 0,4}{100}=0,36 \text{ ტონა.}$$

მაშასადამე, დანაკლისის ჩამოწერის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1,44 ტონას. მაგრამ რამდენადაც ფაქტიური დანაკლისი 1,4 ტონაა, ამ რაოდენობის კარტოფილის ღირებულება მთლიანად ჩამოიწერება.

მატყლის და ტყავნეღლეულის ფაქტიური ნაშთების ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანისას უნდა გაითვალისწინონ მისი შენახვისა და გადაგზავნის დროს შეფასების შედეგებს შორის დასაშვები გადახრების ნორმები (ერთი სახის საქონლის სხვა სახეობებით ურთიერთშეცვლისას).

ნედლეულის ხარისხობრივი შეფასებისას დასაშვები გადახრები განისაზღვრება შეჯერებითი უწყისის საფუძველზე, რაც დგება არა

მარტო დამამზადებელთა მიერ დამზადების საწყობებში ნედლეულის ჩაბარებისა და საწყობებში ამ საქონლის ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანისას, არამედ მრეწველობის საწარმოებზე გადაგზავნილი ნედლეულის მიღების აქტების საფუძველზეც.

მრეწველობის საწარმოებში გადაგზავნილი მატყლისა და ტყავ-ნედლეულის თითოეულ პარტიაში დაშვებული და გამოვლინებული გადახარისხების სხვაობები (თუ გამოწვეული არ იქნება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დანაშაულით) ინვენტარიზაციათაშორის პერიოდში უნდა აღირიცხოს № 31 საბალანსო ანგარიშზე ქვეანგარიშით — „ცხოველნედლეულისა და ბეწვეულის გადახარისხება-განუხილველი აქტებით", რომლის საფუძველზედაც მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისა და ნედლეულის სახეების მიხედვით პირადი ანგარიში იხსნება.

ამ ანგარიშიდან თანხების ჩამოწერა და მეცხოველეობის ნედლეულის გადახარისხებით გამოწვეული საბოლოო სხვაობების განსაზღვრა ხდება საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, ინვენტარიზაციათაშორის პერიოდში გამოვლინებული გადახარისხებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველია დირექტორის და ბუხჰალტრის მიერ შედგენილი და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან ერთად ხელმოწერილი ცნობა — გაანგარიშება.

ტყავნედლეულის გადახარისხებით ნორმის ფარგლებში დადგენილი საბოლოო სხვაობები ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის შედეგებში აისახება, ნორმის ზევით გამოვლინებული სხვაობები კი — მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ანგარიშში.

თუ დადგინდება, რომ ადგილი არა აქვს ბოროტმოქმედებას, აგრეთვე დამზადების სტანდარტების უხეშ და სისტემატურ დარღვევებს, ნედლეულის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვაობის გადიდებული ნორმები, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 ივლისის № 8093-რ განკარგულების მესამე დანართის მეორე შენიშვნაში.

ამ გადიდებული ნორმების გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირების დამზადების სამმართველოთა უფროსებს მას შემდეგ, რაც განიხილება სამომხმარებლო საზოგადოებისა და რაიონული დამზადების კანტორის დასაბუთებული შუამდგომლობა და ადგილზე შემოწმდება ყველა გარემოება. აღნიშნული წესის დაუცველად გადი-

დებული ნორმებით სხვაობათა ჩამოწერა არაკანონიერია. რევიზორებმა ამგვარ სხვაობათა ჩამოწერა უნდა ასახონ აქტებში და მოითხოვონ უკანონოდ ჩამოწერილი თანხები დამნაშავე პირებმა გადაიხადონ. (სამრეწველო საწარმოებში გადაგზავნილ მატყლსა და ტყავნედლეულში გამოვლინებული სხვაობების შესახებ იხილეთ მოყვანილი შეჯერებითი უწყისები).

როგორც წესი, გადაგზავნილი მატყლის საერთო რაოდენობიდან ფაბრიკის მთავარკოოპცხოველნედლეულის წარმომადგენლები გამოყოფენ საკონტროლო დახარისხებისათვის დაწესებულ რაოდენობას და გამოსავლიანობის (ტაქსაციების) დასადგენად ლაბორატორიული ანალიზებისათვის იღებენ ნიმუშებს.

დახარისხების შედეგებისა და ლაბორატორიული ანალიზების მონაცემების საფუძველზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ფაბრიკასა და დამზადების კანტორებს შორის საბოლოო ანგარიშსწორების დროს ძირითად საბუთს წარმოადგენს.

ჩვენი მაგალითით (დანართი № 5) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით შედგენილი შედარებითი უწყისი ჩერნიგოვის მატყლის პირველად გადამმუშავებელ ფაბრიკაში ჩაბარებულ მატყლზე ნაჩვენებია მე-2 და მე-3 სვეტებში, ხოლო დამზადების კანტორის მიერ გადაგზავნილი მატყლის სპეციფიკაციის მონაცემები კი მე-4 და მე-5 სვეტებში.

მისაღები აქტისა და სპეციფიკაციის მონაცემების შეჯერების შედეგად მიღებული სხვაობა (მეტობა და ნაკლებობა) აისახება მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 სვეტებში. რაოდენობრივი სხვაობების დროს თუ ბოროტმოქმედებას არ აქვს ადგილი, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 ივლისის განკარგულების თანახმად, ურთიერთშემცვლელი სახის ნედლეული უნდა ჩაითვალოს, რაც აისახება შედარებითი უწყისის მე-10 და მე-12 სვეტებში.

ჩათვლების შემდგომ გამოვლინებული გაუმართლებელი დანაკლისები აისახება მე-18, მე-19 და მე-20 სვეტებში. მოცემული მაგალითით სასარჩელო ღირებულება აღებულია საბითუმო ფასებით, ე. ი. დამზადების ღირებულებაზე დამატებულია ერთ ტონაზე დარიცხული 125 მანეთი, რაც შეადგენს 1149 მან. და 30 კაპ., მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მეორე შემთხვევას, როცა აღნიშნულ პარტიაში გამოვლინებულია ქარხნული წარმოშობის მატყლის დანაკლისი (200 კგ) და ადგილი აქვს ბოროტმოქმედების ფაქტს, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი უნდა მოიხსნას სამუშაოდან და

მისი საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს. მატყლის დანაკლისზე სარჩელი მატერიალურ პასუხისმგებელ პირს უნდა წარედგინოს „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1962 წლის 30 მაისის № სპ-71 წერილზე დართული სსრკ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 ივლისის განკარგულების საფუძველზე. კერძოდ, ამ შემთხვევაში (ცხრილი № 5) ნაზი კანძობრივი მატყლის დანაკლისის (45 კგ) ღირებულება უნდა ანაზღაურდეს შვიდმაგად, ე. ი. (319×7) 2233 მანეთით, ნახევრადუხეში მატყლისა — (102 კგ) ხუთმაგად (612×5), ე. ი. 3060 მანეთით, ხოლო ნაზი და ნახევრადნაზი მატყლისა, რომელიც მიღებულია მეორედ გაპარსვის შედეგად, აგრეთვე დაცემული ცხვრიდან ნაპარსი და ტყავებიდან ანაკრეჭის სახით (104 კგ) და რომლის სააღრიცხვო ღირებულებაა 187 მან., უნდა ანაზღაურდეს საბითუმო ფასებით, ე. ი. დამზადების ღირებულებაზე დამატებული დანარიცხით ერთ ტონაზე 125 მან. რაოდენობით, რის შემდეგ საბითუმო თანხა იქნება 200 მან. სულ ამ შემთხვევაში სასარჩელო თანხა იქნება (2233—3060—200) 5493 მან.

ამ შემთხვევაში გამოვლინებულია ჩაუთვლელი ზედმეტობა (21-ე და 22-ე სვეტი) ნახევრად ნაზი და დაბალი ხარისხის 38 კგ მატყლისა, თანხით 24 მან. ქარხნული წარმოშობის მატყლი (200 კგ) შეფასებას არ ექვემდებარება. შედარებითი უწყისის 25-ე სტრიქონის მონაცემები უნდა გამოვიყენოთ შემდეგი წესით: გადიდების შემთხვევაში მე-3 სვეტის ჯამს მიემატება მე-13, მე-17, მე-19 სვეტები და გამოაკლდება მე-5, მე-11 და 22-ე სვეტების ჯამი.

შემცირების შემთხვევაში მე-5 სვეტის ჯამს მიემატება მე-11 და 22-ე სვეტი და გამოაკლდება მე-3, მე-13, მე-17 და მე-19 სვეტების ჯამი.

ჩვენი მაგალითით, 25-ე სვეტის ჯამი გადიდდა 1369 მანეთით, რაც უნდა აისახოს 31-ე საბალანსო ანგარიშის იმ ბარათში, რომელ საინვენტარიზაციო პერიოდსაც ეკუთვნის აღნიშნული შედარებითი უწყისი.

ბათუმის ტყავნედლეულის პირველად გადამმუშავებელ ფაბრიკაში გადაგზავნილ ტყავნედლეულზე შედგენილი შედარებითი უწყისით (დანართი № 6) დადგენილია მსხვილი ტყავის შეცვლა წვრილი ტყავით, სულ რაოდენობრივი დანაკლისი შეადგენს 10 ცალს, სააღრიცხვო ღირებულებით 22 მან., ხოლო საძიებელი თანხით 25 მან. და 70 კაპ. ზედმეტია 10 ცალი ტყავი, რომელთა საერთო ღირებულებაა 2 მანეთი და 395 მან.-ის უარყოფითი ფასთა სხვა-

ობა. რაოდენობრივი დანაკლისი (საძიებელი თანხა 25 მან. და 70 კაპ.) დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა, ხოლო უარყოფითი სხვაობა უნდა აისახოს საბალანსო 31-ე ანგარიშში. რადგან ამ შემთხვევაში ბორტმოქმედება დადგენილი არ არის, არ გამოიყენება ჯერადობრივი ანაზღაურება.

ყოველგვარი დარღვევის გამოვლინების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს რევიზორი, რომელიც კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო ნედლეულის მიღება-რეალიზაციის ოპერაციებში, არამედ ყველა ძირითად ტექნიკურ სტანდარტსა და ნედლეულის სახეობათა განსაზღვრის არსებულ წესებში.

დაფნის ფოთლის ინვენტარიზაციის შედეგების დადგენისას თუ ადგილი აქვს დანაკლისს, რომელიც ძირითადად გამოწვეულია მიმღებ საამქროში ან მზანაწარმის გამშვებ საწყობში დაფნის გამოშრობით, იგი ჩამოიწერება შემდეგი წესით:

წონაში გამოშრობით გამოწვეული ბუნებრივი დანაკარგები უნდა ჩამოიწეროს მხოლოდ ინვენტარიზაციის შედეგად ფაქტიური დანაკლისის შემთხვევაში, დამტკიცებული ნორმის ფარგლებში.

დავუშვათ, კვარტალში მიღებულია 200 ტონა დაფნის ფოთოლი, რომელიც მთლიანად გადაეცა მეორე საამქროს ან გამშვები საწყობის მიერ მთლიანად რეალიზებულია. ამ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება ფაქტიურ დანაკლისს, პირველი კვარტალის ნორმა — 0,95 პროცენტი გავრცელდება 200 ტონაზე.

თუ მიღებული 200 ტონიდან 150 ტონა გაიცა და დარჩა 50 ტონა ნაშთი, ამ შემთხვევაში 200 ტონას გამოაკლდება კვარტალის ბოლო 5 დღეში მიღებული რაოდენობა (პირობითად 5 ტონა) და დანაკლისის ნორმა გავრცელდება 195 ტონაზე. მაგალითად, დავუშვათ, აღწერა ტარდება პირველ ივლისისათვის; ვთქვათ პირველ აპრილიდან პირველ ივლისამდე მიღებულია 400 ტონა დაფნის ფოთოლი, აღწერის შემდეგ მესამე კვარტალში გადავიდა 80 ტონა, მეორე კვარტალის ბოლო 5 დღეში შემოვიდა 10 ტონა. ამ შემთხვევაში 400 ტონას გამოაკლდება 10 ტონა და დაემატება წინა კვარტალიდან გადმოსული ნაშთი — 5 ტონა. დანაკლისის ნორმა გავრცელდება 395 ტონაზე; წინა პერიოდიდან გადმოსული 50 ტონიდან მხოლოდ 5 ტონაზე გავრცელდება მეორე კვარტლის ნორმა. პირველ კვარტალში ეს 5 ტონა არ ჩამოწერილა, დანარჩენ 45 ტონაზე ნორმა აღარ გავრცელდება, რადგან ეს რაოდენობა პირველ კვარტალში არ ჩამოწერილა.

ბუნებრივი დანაკარგების ჩამოწერის არსებული წესი ასევე გავრცელდება შემდეგ პერიოდშიც.

აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ მიმღებ საამქროსა და მზა ნაწარმის გამომშვებ საწყობში. დახარისხებისა და დაფასოების საამქროებში ჩამოწერა ხდება მხოლოდ დახარისხებული და დაფასოებული რაოდენობიდან.

მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს საექსპერტო შეფასება და ლაბორატორიული ანალიზი, ამიტომ ინვენტარიზაციის პროცესში, სასაქონლო ოპერაციების განახლებამდე, უნდა მოიწვიონ სათანადო კომპეტენტური ორგანოების სპეციალისტები.

რევიზიის დროს ინვენტარიზაციას ექვემდებარება ანგარიშსწორებები დებიტორებთან და კრედიტორებთან, მყიდველთან შესანახად დატოვებული საქონელი, მომწოდებლებისაგან შესანახად მიღებული ფასეულობანი, საწარმოზე (ორგანიზაციაზე) გაცემული აღმასრულებელი ფურცლები, მკაცრი ანგარიშგების ბლანკები.

მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ყოველმხრივ სრულყოფილად და კვალიფიციურად ჩატარებისათვის საჭიროა, პირველ რიგში, თვით საინვენტარიზაციო კომისიის წევრები იყვნენ ობიექტურნი, კარგად ფლობდნენ ბუხჰალტერიის თეორიასა და პრაქტიკას, ერკვეოდნენ ინვენტარიზაციის ჩატარების დებულებანინსტრუქციებში. საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა გულდასმით უნდა შეირჩეს, კერძოდ, მასში უნდა შეიყვანონ საქმის მცოდნე მუშაკები, რომელთაც წინასწარ უწევენ ინსტრუქტაჟს ინვენტარიზაციის ჩატარების წესებზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების, შენახვისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია

დამზადების კანტორებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების, შენახვის და რეალიზაციის ოპერაციების სრულყოფილად შემოწმებას. ამით რევიზორს საშუალება ეძლევა სრული წარმოდგენა იქონიოს რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის ისეთ ძირითად საკი-

თხებზე, როგორიცაა დამზადებული პროდუქციის ხარისხი, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება, შეძენის მიზანშეწონილობა, შენახვის მდგომარეობა, ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების დაცვა და სხვ.

მართალია, სამომხმარებლო კოოპერაცია ამზადებს მრავალი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტსა და ნედლეულს, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ ძირითადად იმ სახეებს, რომლებსაც საერთოდ დამზადებაში დიდი ხვედრითი წონა აქვს. ამასთან, როგორც სარევიზიო პრაქტიკიდან ჩანს, მათი დამზადებისას უფრო ხშირად შეიმჩნევა სხვადასხვა სახის დარღვევა-დამახინჯება და ზოგჯერ ბოროტმოქმედებაც. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ამ სახეების ოპერაციების რევიზიის ჩატარების მეთოდების სრულყოფილად ცოდნა ხელს შეუწყობს მსგავსი ოპერაციების შემოწმებასაც, რადგან რევიზიის ჩატარების ძირითადი მეთოდი თითქმის ანალოგიურია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ცალკეა განხილული მატყლის, ტყავნედლეულის და ქურქ-ბეწვეულის, დაფნის ფოთლის და ლუფის, მეორადი ნედლეულის მიღების, შენახვისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზიის მეთოდები.

მატყლის ოპერაციები

ნატურალური მატყლი შეიძლება იყოს ცხვრის, თხისა და აქლემის. მას მიეკუთვნება აგრეთვე ნაღვერი ბალანიც.

ცხვრის მატყლი იყოფა ოთხ სახედ: ნაზი, ნახევრად ნაზი, ნახევრად უხეში და უხეში. ნაზი და ნახევრად ნაზი — მიეკუთვნება ერთგვაროვან მატყლს, ნახევრად უხეში და უხეში — არაერთგვაროვანს.

ნაზ და ნახევრად ნაზმატყლიან ცხვრებს წელიწადში ერთხელ გაზაფხულზე პარსავენ, ნახევრად უხეშ და უხეშ მატყლიან ცხვრებს კი ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

ნაზი და ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვრების განმეორებით პარსვა შემოდგომაზე კატეგორიულად აკრძალულია. ცხვრის განმეორებითი პარსვის შედეგად მიღებული ნაზი და ნახევრად ნაზი მატყლი სახელმწიფო შესყიდვის გეგმაში არ შედის. მისი ანაზღაურება ხდება რუსული უხეში მატყლის ფასით.

სახელმწიფო არ შეისყიდის ჩახურებულ (ჩამწვარ), ჩრჩილნაჭამ,

ქარხნული წარმოშობის მატყლს, ანაძენძს ან ნატურალური მატყლის ახაჩეჩს, აგრეთვე დაცემული ცხვრისა და ცხვრის ტყავებიდან აკრეჭილ 30 მმ-ზე ხაკლები სიგრძის მატყლს.

ცხვრის გაზაფხულის ნაპარსი მთლიანად არის შეკავშირებული ერთმანეთთან და მას კანძი ეწოდება. შემოდგომის ნაპარსი მთლიანი არ არის, ნაჭრებად იშლება.

ტექნიკური თვისებების მიხედვით, მატყლის ბოჭკოები იყოფა შემდეგ ტიპებად:

თივთიკი — ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ნაზი ბოჭკოიანი. თივთიკის ბეწვის სიმსხო ჩვეულებრივ 15—30 მიკრონია.

თივთიკის ბოჭკო ყველაზე გავრცელებული ტიპია, რომელიც დამახასიათებელია ყველა სახეობის მატყლისათვის; ნაზი მატყლი მხოლოდ თივთიკის ბოჭკოებისაგან შედგება.

უხეში ბეწვი — შედგება მსხვილი და უხეში ბოჭკოებისაგან, იგი დამახასიათებელია უხეში და ნახევრად უხეში მატყლისათვის. ბეწვის სიმსხო 40—80 მიკრონია, ზოგჯერ კი მეტიც (100—140 მიკრონი). უხეში ბეწვის ბოჭკოები თივთიკთან და გარდამავალ ბეწვთანაა შერეული.

გარდამავალი ბეწვი — სიმსხოთი თივთიკისა და უხეში ბეწვის შუალედურია. თავისი ტექნიკური თვისებებით უფრო თივთიკს უახლოვდება.

მკვდარი ბეწვი — უხეში ბოჭკოს ნაირსახეობაა, მაგრამ ძალიან უხეში და მტვრევადია. გაწევისას მაშინვე წყდება.

მშრალი ბეწვი — უხეში ბეწვისა და მკვდარი ბეწვის შუალედური ტიპია. მკვდარი და მშრალი ბეწვი გვხვდება მხოლოდ უხეშ და ნახევრად უხეშ მატყლში. იმ მატყლის ხარისხი, რომელიც მშრალ და, განსაკუთრებით, მკვდარ ბეწვს შეიცავს, მკვეთრად ეცემა.

მატყლის სტანდარტების დადგენის პრინციპს საფუძვლად უდევს მატყლის ბეწვის სიმსხო და ზოგიერთი სხვა ნიშან-თვისება. მატყლის ბეწვის სიმსხო იზომება მიკრონებით (მიკრონი უდრის მილიმეტრის ერთ მეათასედს) და გამოიხატება ხარისხებით.

ნაზ მატყლს ახასიათებს კანძის შტაპელური აგებულება, ბოჭკოების ერთგვაროვნება და სიმსხოსა და სიგრძის მიხედვით გამოთანაბრება. ნაზი მატყლის ბეწვის სიმსხო კანძის ძირითად ნაწილებში (გვერდი, ზურგი, ბეჭი) 25 მიკრონს არ აღემატება. გარდა ამისა, მატყლი წვრილად უნდა იყოს დახუჭუჭებული და საკმაოდ შეიცავდეს ცხიმ-ოფლს.

ნახევრად ნაზ მატყლს იგივე თვისებები აქვს, როგორც ნაზს, მაგრამ უფრო უხეშია. მატყლის ბეწვის სიმსხო კანძის ძირითად ნაწილებში 25—31 მიკრონია. დასაშვებია გარკვეული სიმშრალე და შტაპელის წამახვილება, ნაკლებად ცხიმ-ოფლიანობა, ვიდრე ეს ნაზ მატყლს ახასიათებს. იგი უფრო მსხვილად არის დახუჭუჭებული.

ნახევრად უხეში მატყლი — არაერთგვაროვანია, იპარსება წელიწადში ორჯერ (გაზაფხულსა და შემოდგომაზე). ნახევრად უხეშ მატყლს ახასიათებს კანძის კულულოვანი აგებულება, სიმსხოსა და სიგრძის არაერთგვაროვნება, შედგება თივთიკისა და გარდამავალი ბოჭკოების უფრო მეტი რაოდენობისაგან, წვრილ, უხეშბოჭკოიან და უხეშმატყლიან ცხვრის მატყლთან შედარებით უფრო მეტად ცხიმ-ოფლიანია.

უხეშ მატყლსაც ახასიათებს კანძის კულულოვანი აგებულება, ბოჭკოების სიმსხოსა და სიგრძის არაერთგვაროვნება და უთანაბრობა; შედგება თივთიკის, გარდამავალი და უხეში ბოჭკოებისგან.

უხეში მატყლი ნახევრადუხეშისაგან ნაკლებ ცხიმიანობით განსხვავდება.

უხეში მატყლის დახარისხების დროს მხედველობაში მიიღება მშრალი და მკვდარი ბეწვის არსებობა და რაოდენობა.

უხეში მატყლი შეიძლება იყოს ჭუჭყიანი, გაბანილი და ნახევრად გაბანილი. ცხვრის გაპარსვამდე გაბანილ მატყლს სისუფთავის მიხედვით გაბანილს ან ნახევრადგაბანილს უწოდებენ.

მატყლის დაყოფას მისი სახის, კლასის, ქვეკლასის და მდგომარეობის მიხედვით, დამზადების სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად მატყლის დახარისხება ეწოდება. კანძობრივი მატყლის დახარისხების დროს გამოიყოფა დაბალი ხარისხის მატყლი.

მატყლის ბოჭკოსათვის განსაკუთრებით მავნეა ძნელად მოსაშორებელი ყირიმული ბირკა. მატყლის რეცხვისა და მანქანებზე პირველადი დამუშავების დროს ბირკა სკდება და ქუცმაცდება ძაფისებრ წარმონაქმნებად, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მატყლის ბოჭკოებს.

მატყლიდან მინარევების მოშორება იწვევს დანაკარგებს, ამავე დროს მატყლის წონის შემცირებას 2,5 და მეტი პროცენტით. ნაზ მატყლში უხეში ბეწვის შერევა ამცირებს ქსოვილის ხარისხს. ხშირად ეს ხდება არა მარტო მწარმოებელ მეურნეობაში (პარსვის

დროს), არამედ დამამზადებელ ორგანიზაციებშიც, როცა ერთდროულად ხდება ნაზი და უხეში მატყლის დახარისხება, ან მაშინ, როცა ნაზ მატყლს ათავსებენ ისეთ ტარაში, რომელშიც მანამდე უხეში მატყლი იყო მოთავსებული.

თუ უხეში მატყლის კანძის ფართობის 50 პროცენტზე მეტი შეიცავს ქერტლს, ეს მატყლის დეფექტად ითვლება.

მატყლი ფერის მიხედვით იყოფა თეთრ, ღია ნაცრისფერ და ფერად მატყლად. მდგომარეობის მიხედვით ნაზი, ნახევრად ნაზი და ნახევრად უხეში მატყლი იყოფა: ნორმალურ, ჩეჩქიან-ბირკიან, დეფექტიან და ჩეჩქიან-ბირკიან-დეფექტიან მატყლად.

გაზაფხულის კანძობრივი უხეში მატყლი შეიძლება იყოს ნორმალური, ჩეჩქიან-ბირკიანი და დეფექტიანი, ხოლო შემოდგომისა — უხეში და ნახევრად უხეში, ბატკნის მატყლი კი — ნორმალური და ჩეჩქიან-ბირკიანი.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული მატყლის ღირებულების სრულყოფილად დადგენა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩეჩქიან-ბირკიანი და დეფექტიანი მატყლის ფასები ნორმალურთან შედარებით გაიაფებულია: ბირკიანი მატყლის I ჯგუფისათვის — 5 პროცენტით, II ჯგუფისათვის — 10 პროცენტით, დეფექტიანი, I ჯგუფისათვის — 5 პროცენტით, II ჯგუფისათვის — 15 პროცენტით, ჩეჩქიან-ბირკიან-დეფექტიანი მატყლისათვის — 15 პროცენტით, ნაზ ჩეჩქიან-ბირკიან და იმავე დროს დეფექტიან, უხეში ბეწვით შერეულ და სხვა ნაკლოვანებების მქონე მატყლის ფასის დაკლება შეიძლება შესაბამისი კლასის მატყლთან შედარებით 25 პროცენტამდე.

ზემოაღნიშნულის გარდა, ნაზი და ნახევრად ნაზი მატყლის კანძების დახარისხების დროს გამოიყოფა შემდეგი დაბალი ხარისხები: ანართმევი, კუდის ანაკრეჭი, ფეხის ანაკრეჭი და ტარტლი; ნახევრად უხეში და უხეში მატყლის კანძებიდან — კვირტი და ტარტლიანი მატყლი.

მატყლი შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად ცხიმ-ოფლიანი სხვადასხვა მცენარეული და მინერალური მინარევებით. მას აქვს ჰიგროსკოპული თვისებები, შეიცავს ჰაერის ტენს. მარტო ჭუჭყიანი მატყლის ფიზიკური წონის მიხედვით ვერ განვსაზღვრავთ ბოჭკოს სისუფთავეს. ამიტომ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობისაგან მატყლის მიღება, სახელმწიფოსათვის ჩაბარება, შესყიდვების დაგეგმვა და პრეისკურანტები წესდება ჭუჭყია-

ნი მატყლიდან სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტის საფუძველზე. სუფთა მატყლის გამოსავლიანობის პროცენტის სწორ განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მატყლის ნედლეულის ნამდვილი ღირებულების დასადგენად საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მისი კლასი, ქვეკლასი, დანაგვიანება, დეფექტიანობა, ფერი და სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობა (ტაქსატი).

ტაქსატი (სუფთა მატყლის გამოსავლიანობა) შეიძლება განისაზღვროს როგორც ორგანოლეპტიკური, ისე ლაბორატორიული წესით.

სუფთა მატყლის გამოსავლიანობის პროცენტის განსაზღვრის ლაბორატორიული წესი შემდეგ პროცესებს შეიცავს: საწყისი ნიმუშის აღება, საშუალო ნიმუშის აღება და მისი გარეცხვა, გარეცხილი მატყლის მუდმივი მშრალი წონის განსაზღვრა, სუფთა მატყლის გამოსავლიანობის პროცენტის გამოანგარიშება.

მატყლის გამოსავლიანობის საბაზისო ნორმები დაწესებულია, როგორც მატყლის გამოსავლიანობის ოფიციალური ნორმატივები, რომლის მიხედვით განისაზღვრება შესყიდვის გეგმები.

მატყლის გეგმის შესრულება განისაზღვრება ჩასათვლელი წონით. ჩასათვლელი წონა მიიღება მატყლის ფიზიკური წონისა და ფაქტიური გამოსავლიანობის ნამრავლის გაყოფით საბაზისო გამოსავლიანობის პროცენტზე.

საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის დაწესებულია სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის შემდეგი ნორმები:

(პროცენტობით)

კლასი, სახეობა და ხარისხი	საბაზისო ნორმები
ყველა კლასის ნაზი მატყლისათვის	36
დაბალი ხარისხის ნაზი მატყლისათვის	36
ბატკნის ნაზი მატყლისათვის	36
პირველი კლასის ნახევრად ნაზი მატყლისათვის	41
მეორე კლასის ნახევრად ნაზი მატყლისათვის	44
დაბალი ხარისხის ნახევრად ნაზი მატყლისათვის	44
პირველი კლასის ნახევრად უხეში მატყლისათვის	49
მეორე კლასის ნახევრად უხეში მატყლისათვის	51
დაბალი ხარისხის ნახევრად უხეში მატყლისათვის	49
ბატკნის ნახევრად უხეში მატყლისათვის	56
შემოდგომის ნახევრად უხეში მატყლისათვის	56
ყველა კლასის გაზაფხულის უხეში მატყლისათვის	50
შემოდგომის უხეში მატყლისათვის	56
ბატკნის უხეში მატყლისათვის	56
დაბალი ხარისხის უხეში მატყლისათვის	49

პრაქტიკულად ჩასათვლელი წონა შემდეგნაირად განისაზღვრება: ფიზიკური წონით ჩაბარებული მატყლის რაოდენობას ამრავლებენ სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის ფაქტიურ პროცენტზე და მიღებულ შედეგს ყოფენ საბაზისო ნორმაზე. მაგალითად, კოლმეურნეობამ ჩააბარა 10 ტონა უხეში გაზაფხულის მატყლი, რომლის გამოსავლიანობა 60 პროცენტია. თუ სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის საბაზისო ნორმა (პირველი ცხრილის შესაბამისად) შეადგენს 50 პროცენტს, ჩაბარებული მატყლის ჩასათვლელი წონა იქნება: $\frac{10 \times 60}{50} = 12$ ტონა; ან კიდევ, მაგალითად, კოლმეურნეობამ ჩააბარა 300 კილოგრამი ნაზი მატყლი, რომლის სუფთა ბოჭკოს ფაქტიური გამოსავლიანობა 38 პროცენტია, საბაზისო ნორმა კი — 36 პროცენტი. ამ შემთხვევაში კოლმეურნეობას გეგმის შესრულებაში უნდა ჩაეთვალოს: $\frac{300 \cdot 38}{36} = 316$ კილოგრამი მატყლი.

ან კიდევ, მესამე მაგალითით, კოლმეურნეობამ მიმღებ პუნქტს ჩააბარა 300 კილოგრამი ნაზი მატყლი, რომლის გამოსავლიანობა 33 პროცენტია, იმავე საბაზისო ნორმის პირობებში, კოლმეურნეობას გეგმის შესრულებად ჩაეთვლება:

$$\frac{300 \cdot 33}{36} = 275 \text{ კილოგრამი მატყლი.}$$

როგორც აღნიშნული იყო, ჩასათვლელი წონით გეგმის შესრულების აღრიცხვის წესი დადგენილია იმ მატყლისათვის, რომელსაც ყიდულობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში. მოსახლეობისაგან მატყლის შესყიდვის გეგმა სრულდება ფიზიკური წონით, გარდა გაბანილი და ნახევრად გაბანილი უხეში მატყლისა.

მატყლის დაბალი ხარისხისათვის საბაზისო ნორმები მთავრობას არ დაუდგენია, მაგრამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით (მატყლის ხარისხის გაუმჯობესებისა და სტიმულირების მიზნით) მოქმედი საბაზისო ნორმები გავრცელებულია დაბალ ხარისხზეც. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ნაზი მატყლის 36%-იანი (საბაზისო გამოსავლიანობისას) დაბალი ხარისხის მატყლის ჩასათვლელი წონა მისი ფაქტიური გამოსავლიანობის 15 პროცენტის დროს, იქნება:

$$\frac{300 \cdot 15}{36} \text{ ანუ } 125 \text{ კილოგრამი;}$$

იმ დროს, როცა ეს 300 კგ მატყლი 33 პროცენტის ფაქტიური გამოსავლიანობის დროს ჩასათვლელ წონაში უდრიდა:

$$\frac{300 \cdot 33}{36} \text{ ანუ } 275 \text{ კილოგრამს.}$$

მაშასადამე, მეურნეობა დაინტერესებულია გააუმჯობესოს ცხვრის მოვლა-შენახვის პირობები უფრო მაღალი ხარისხის მატყლის მისაღებად.

„მატყლის სახელმწიფო შესყიდვის (ჩაბარებისა და მიღების) ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად, დამამზადებელი კანტორები კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადების დროს ვალდებულნი არიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელშეკრულების მიხედვით მატყლის მიღების წესი შეუთანხმონ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მატყლის ჩაბარების გეგმის შესრულებაში ჩაეთვლება:

ა) დამამზადებელი კანტორის საწყობში მატყლის ჩაბარებისას — სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობა, რაც აღნიშნული უნდა იყოს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ ქვითარში:

ბ) უშუალოდ მრეწველობისათვის მეურნეობის მიერ გაპიროვნებული წესით მატყლის გაგზავნისას — სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტის მიხედვით, რაც საბოლოოდ სამრეწველო საწარმოში მატყლის მიღებისას დადგინდება.

თუ გაპიროვნებული გაგზავნის დროს სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის წინასწარი შეფასება მრეწველობის მიერ დადგენილ სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტს არ შეესაბამება, დამზადების კანტორა ვალდებულია (მრეწველობის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად) სამი დღის ვადაში შეადგინოს გადაანგარიშების ცნობა № 26 ფორმით და ერთი ეგზემპლარი გაუგზავნოს რაიონის სტატინსპექტორს მატყლის შესყიდვის გეგმის შესრულებაში შესწორების შესატანად.

მოსახლეობისაგან დამზადებული მატყლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულება განისაზღვრება არა სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტების ჩასათვლელ წონაზე გადაანგარიშებით, არამედ მისი ფიზიკური წონის მიხედვით. თუ მოსახლეობისაგან მიიღება უხეში მატყლი გაბანილი ან ნახევრად გაბანილი სა-

ბით, მაშინ მატყლის ფაქტიური წონა გადაიანგარიშება მატყლის წონის შემდეგი ეკვივალენტით:

გარეცხილი მატყლის წონაზე გაბანილი და ნახევრად გაბანილი მატყლის წონის გადაანგარიშების შემდეგი ეკვივალენტებია დადგენილი:

მატყლის დასახელება	ყოველი 100 გრამი გაბანილი და ნახევრად-გაბანილი მატყლი გადაანგარიშებით შეესაბამება გაურეცხავს	
	გაბანილი	ნახევრად გაბანილი
1. ყარაკული, დუმიანი, თურქმენული	150	120
2. გისარული	130	110
3. რუსული (ოლოშური ცხვრის, უკრაინული გრძელკუდა, უხეშმატყლიანი ცხვრის) . .	130	115
4. თუშური, ბალბასური, დონმა. ბოზახური, ძახეზური, ლეკური	130	120

გაბანილი და ნახევრად გაბანილი მატყლის სისუფთავის განსაზღვრისას ხელმძღვანელობენ ამ სახეობის მატყლისათვის დადგენილი სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის ნორმებით, რომლებსაც იყენებენ მხოლოდ მოსახლეობისაგან ამ მატყლის მიღების დროს.

გაბანილი და ნახევრად გაბანილი მატყლიდან სუფთა მატყლის გამოსავლიანობის ნორმატივები

მატყლის დასახელება	სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობა მატყლის ლაბორატორიული გარეცხვის შემდეგ (პროცენტებში)			
	გაბანილი		ნახევრად გაბანილი	
	გაზაფხულის	შემოდგომის	გაზაფხულის	შემოდგომის
1. ყარაკული, დუმიანი, გისარული	78	85	63	74
2. თურქმენული	72	78	57	70
3. რუსული (ყველა სახეობის) .	78	85	65	75
4. თუშური, დონმა, ბალბასური. ლეკური, ბოზახური, ძახეზური	77	90	62	78

დამზადების გეგმის შესრულებაში გაბანილი და ნახევრად გაბანილი მატყლის შესყიდვის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: მოსახლეობიდან შემოვიდა 20 კილოგრამი გაბანილი შემოდგომის თუშური მატყლი. გაანგარიშებისას გამოირკვა, რომ გაბანილი მატყლის მოცემული რაოდენობა შეესაბამება გაუბანელის 26 კილოგრამს, რადგან, მოყვანილი ცხრილის თანახმად, 100 გრამი გაბანილი მატყლი შეესაბამება 130 გრამ გაუბანელ მატყლს, ანუ 1 კილოგრამი — 1,3 კილოგრამს, ასეთი გაანგარიშებით, 20 კილოგრამი 26 კილოგრამს შეესაბამება.

ლაბორატორიული წესით სუფთა მატყლის გამოსავლიანობის პროცენტის განსაზღვრისათვის საჭიროა საწყისი ნიმუშის აღება, რომლის წონა უნდა შეადგენდეს მატყლის ასორტიმენტის წონის არანაკლებ 1 პროცენტს, იგი არ უნდა იყოს 2 კილოგრამზე ნაკლები და 10 კილოგრამზე მეტი.

თუ დახარისხების შედეგად მიღებული ერთი ასორტიმენტის მატყლის რაოდენობა ერთ ტონას აღემატება, უნდა შეირჩეს ორი საწყისი ნიმუში.

სუფთა ბოჭკოში „იგულისხმება" გარეცხილი მატყლი, რომლის მცენარეული დანაგვიანება არ აღემატება 1 პროცენტს. ერთგვაროვანი მატყლის სუფთა ბოჭკო შეიცავს 0,5-დან 1%-მდე ცხიმს, არაერთგვაროვანი — 0,6-დან 1,8%-მდე, უხეში კი — 2%-მდე ცხიმს.

გაურეცხავი მატყლიდან სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტის სიზუსტის შემოწმებისას ითვალისწინებენ საკონდიციო ტენიანობის ნორმას. ნაზი და ნახევრად ნაზი ერთგვაროვანი მატყლისათვის ასეთი ტენიანობა უდრის 17 პროცენტს, არაერთგვაროვანი ნახევრად უხეში და უხეში მატყლისათვის — 15 პროცენტს.

სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით: $X = \frac{P \cdot (100 - H)}{a}$

სადაც X — არის სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტი;

P — გარეცხილი მატყლის ნიმუშის მუდმივი მშრალი წონა (გრამობით);

H — გარეცხილი მატყლის საკონდიციო ტენიანობის ნორმა (პროცენტობით);

a — ჭუჭყიანი სახით აღებული საშუალო ნიმუშის თავდაპირველი წონა, რომელიც მიღებულია გასასწორე-

ბელი კოეფიციენტების გამოყენების შედეგად (გრამობით).

მაგალითად, შემოდგომის თუშური მატყლის ნიმუშის მშრალი წონა, რომლის თავდაპირველი წონა 207 გრამი იყო, თუ შეადგენს 134 გრამს, გამოსაელიანობის პროცენტი იქნება:

$$\frac{134\ (100+15)}{207} = 74,4$$

სახეობა, დასახელება (ჯიშობრივი ნიშანი), კლასი, ქვეკლასი, ფერი და კანძობრივი მატყლის მდგომარეობა განისაზღვრება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად — ორგანოლეპტიკურად. ამისათვის გაჭსნილ კანძის ბადურას მაგიდაზე დებენ შტაპელების ბოლოებით ან კულულებით ზემოთ და სინჯავენ.

მატყლის სიმაგრის განსასაზღვრავად იღებენ შტაპელის ან კულულის პატარა ნაპერს, ბოლოებს იპერენ ცერითა და საჩვენებელი თითებით. დაპიმულ მატყლს მარჯვენა ხელის შუა თითს ჩამოკრავენ. მატყლის სიმაგრე ნორმალურია, თუ არ გაწყდა. გაწყვეტილი მატყლი დეფექტიანია. სადავო შემთხვევაში მატყლის სიმაგრე განისაზღვრება ლაბორატორიული წესით.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებულნი არიან სახელმწიფოსათვის მისაყიდი მატყლი დაახარისხონ და შეფუთონ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნათა შესაბამისად.

თუ მეურნეობა დამამზადებელი კანტორის საწყობში მატყლს აბარებს საბოლოო ანგარიშსწორებით, დამამზადებელი კანტორები ამ მატყლის მიღების შემდეგ მეურნეობას უხდიან მატყლის კუთვნილ საფასურს და მიღებულ მატყლს გაუპიროვნებლად უგზავნიან მრეწველობას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ დამზადებულ მატყლს დამამზადებელი კანტორები იღებენ ჩასაბარებელი მატყლის პარტიის მთლიანი დახარისხებით ან მხარეთა შეთანხმებით, საკონტროლო დახარისხებით — ნაზი, ნახევრად ნაზი და ნახევრად უხეში კანძობრივი მატყლის ჩასაბარებელი პარტიის თითოეული ხარისხის 20 პროცენტს.

მეურნეობებს უფლება აქვთ მატყლი გაუგზავნონ სამრეწველო საწარმოებს გაპიროვნებული სახით, როგორც დამამზადებელი კანტორების საწყობების მეშვეობით, ისე ამ საწყობების გარეშეც.

მრეწველობა ასეთ მატყლს გაპიროვნებით იღებს და მიღება-ჩაბარების აქტებში აღნიშნავს მატყლის გამომგზავნ მეურნეობებს.

გაგზავნილი მატყლის ღირებულებიდან გადახრას, რომელსაც მატყლის გაპიროვნებული პარტიების გადახარისხების შემდეგ იღებენ, მიაკუთვნებენ შესაბამისი ჩამბარებლის პირად ანგარიშს, მასთან ანგარიშსწორებისათვის.

მეურნეობებმა მრეწველობას მატყლი უნდა გაუგზავნონ დამზადების კანტორების მუშაკთა უშუალო ხელმძღვანელობით. ამასთან, კანტორის მუშაკები მეურნეობას უნდა დაეხმარონ მატყლის დახარისხებაში, სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტის განსაზღვრაში, ფუთების დაწნეხვასა და ნიშანდებაში, გასაგზავნი ფაქტურა-სპეციფიკაციის შედგენაში. გასაგზავნი მატყლის ტაქსატის დადგენაში უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს კანტორის საქონელმცოდნე.

დამამზადებელმა კანტორებმა დროულად უნდა უზრუნველყონ მეურნეობანი საჭირო რაოდენობის ტარით, მატყლის შესაფუთი მავთულითა და კანაფით.

მიღებული მატყლის საფასურის გარდა დამამზადებელი კანტორა მეურნეობას უნაზღაურებს მატყლის გადაზიდვის ხარჯებს, რომელსაც ამტკიცებს რაიაღმასკომი მატყლის ავტოგადაზიდვის ერთიანი ტარიფებით ფიზიკური წონის მიხედვით. ამასთან, მეურნეობებს უნაზღაურდებათ ტარისა და შესაფუთი მასალების ღირებულება ხარჯვის დადგენილი ნორმების მიხედვით იმ ფასებით, რომლითაც მიეცა მეურნეობას ტარა-მასალა.

გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებს უნაზღაურებენ შეფუთვის, დაწნეხვის და აწონვის ხარჯებს ტონაზე ორი მანეთის რაოდენობით, ხოლო ტრანზიტული გაგზავნისას — მატყლის დახარისხების ხარჯებს — ტონაზე 1 მანეთსა და 50 კაპიკს.

დამამზადებელი კანტორა გაპიროვნებული სახით გაგზავნილი მატყლისათვის ყოველი პარტიის 1 ტონაზე კოლმეურნეობებს უხდის (მატყლის კლასის დამდგენი კოლმეურნის შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის) 2 მანეთს, თუ მიღება-ჩაბარების დროს სამრეწველო საწარმომ დახარისხება სწორად მიიჩნია.

რევიზიის დროს უნდა შემოწმდეს მატყლზე მოქმედი ფასების სისწორე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 მარტის დადგენილების („მეცხოველეობის

პროდუქტების წარმოების გადიდებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაზრდის შესახებ") შესაბამისად კოლმეურნეობებისათვის მატყლზე დაწესებული შესყიდვის ფასები გავრცელებულია საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდ მატყლზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა 1970 წლის 7 მაისის დადგენილებით დაამტკიცა 1969 წლის № 70—54 პრეისკურანტზე „შესყიდვის ფასები კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოზე მიყიდულ მატყლზე", რაც ძალაში შევიდა 1970 წლის პირველი იანვრიდან.

პრეისკურანტს დართული აქვს საანგარიშო ცხრილები სუფთა მატყლის გამოსავლიანობის სხვადასხვა პროცენტისათვის, რაც შეიმუშავეს „ცენტროსოიუზმა" და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შეუთანხმეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

თუ საანგარიშო ცხრილი არ არის, კილოგრამი მატყლის ღირებულებას ანგარიშობენ გამოსავლიანობის მოცემული პროცენტით.

მაგალითად, საჭიროა მატყლის ფასის გამოანგარიშება ერთი კილოგრამი ნაზი მატყლიდან 30 პროცენტის გამოსავლიანობის დროს. 100 პროცენტის გამოსავლიანობის დროს 1 კილოგრამი მატყლის ფასად დაწესებულია 13 მანეთი. 30 პროცენტის დროს ფასი იქნება X,

$$X = \frac{13 \cdot 30}{100} = 3 \text{ მან. } 90 \text{ კაპ.}$$

შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პრეისკურანტებში დაწესებულია ფასდაკლება მატყლის ცალკეული დეფექტისა და დაჩეჩქიანებისათვის, რაც გათვალისწინებულია დამზადების სტანდარტებით. ამასთან, უნდა ვიხელმძღვანელოთ მატყლის შესყიდვისა და ჩაბარების ფასებით, № 70-77-რპ და № 70-48 პრეისკურანტებით.

როგორც ზემოთ ითქვა, მოსახლეობისაგან მატყლის შესყიდვის დროს საბაზისო ნორმები არაა დადგენილი, მაგრამ შესყიდული მატყლის ფასები დაწესებულია სუფთა ბოჭკოს გამოსავლიანობის პროცენტის მიხედვით.

რევიზიის დროს ყურადღება უნდა მიექცეს გამოსავლიანობის რამდენი პროცენტით და რა ფასით არის მიღებული მატყლი მო-

სახლეობისაგან და როგორი ფასით — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან.

შერჩევით უნდა შემოწმდეს დამამზადებლების მიერ ცალკეულ მოქალაქეზე გაცემული ქვითრები, რადგან გამორიცხული არ არის, რომ ჩამბარებლისათვის გაცემულ ქვითარში შეტანილია დაბალი ფასი, ხოლო დამამზადებლის მიერ წარმოდგენილში — სხვა ფასი.

მეურნეობაში მატყლის წარმოების რაოდენობის შესაბამისად გამოიყენება მატყლის მიღებისა და გაგზავნის ორი წესი, გაპიროვნებული და გაუპიროვნებელი, რომლებსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იყენებენ.

მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობები, რომლებსაც მატყლის დიდი რაოდენობა აქვთ, მრეწველობას უგზავნიან დამოუკიდებლად, დამამზადებელი კანტორის საწყობის გარეშე, განრიგის მიხედვით.

სამრეწველო საწარმო მატყლის ასეთ პარტიას იღებს მეურნეობისათვის გათვალისწინებული წესით, ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს მატყლის პარტიაზე და მრეწველობისათვის გასაგზავნ დოკუმენტში აღნიშნავს გამგზავნ მეურნეობას. მატყლის გაგზავნის ასეთ ფორმას მეურნეობათა მიხედვით გაპიროვნებულს უწოდებენ.

„ცენტროსოიუზის" გამგეობამ 1963 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით დამამზადებელ კანტორებს დაავალა გაპიროვნებული წესით გაგზავნონ იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატყლი, რომლებიც ერთ სამრეწველო საწარმოში აგზავნიან 2 ტონა ან უფრო მეტ მატყლს.

გაპიროვნებული წესით გასაგზავნი მატყლის მიღებისას დამამზადებელი კანტორა თითოეული მეურნეობის მატყლს ცალ-ცალკე ათავსებს საწყობში, გაგზავნის დროს კი ერთ საერთო ანგარიშს გამოწერს, მაგრამ აუცილებლად ადგენს ცალ-ცალკე სპეციფიკაციებს თითოეული მეურნეობის მატყლისათვის.

სპეციფიკაციების წარდგენისას მრეწველობა ვალდებულია მიიღოს მატყლი ცალ-ცალკე თითოეული მეურნეობის მიხედვით, ე. ი. მეურნეობათა გაპიროვნების წესით.

ორივე შემთხვევაში, ე. ი. უშუალოდ მეურნეობათა მიერ დამამზადებელი კანტორის საწყობის მეშვეობით მატყლის გაგზავნის დროს, ან ერთი ვაგონით რამდენიმე მეურნეობის მატყლის გაპიროვნებული სახით გაგზავნისას, დაწესებულია ანგარიშსწორების ერთიანი წესი, სახელდობრ, დამამზადებელი კანტორა წინასწარ ასწორებს ანგარიშს მეურნეობასთან მატყლის ხარისხის წინასწარი

შეფასებით. მატყლის მოცემული პარტიისათვის მეურნეობასთან საბოლოო ანგარიშსწორება კი ხდება მხოლოდ მრეწველობისაგან მიღება-ჩაბარების აქტის მიღების შემდეგ.

ანგარიშსწორების ახალი წესი საშუალებას იძლევა გადაუხადონ თითოეულ მეურნეობას მის მიერ გაყიდული მატყლის სრული ღირებულება, მრეწველობის მიერ ამ მატყლის მიღება-ჩაბარების შედეგების შესაბამისად.

მცირესაქონლიანი კოლმეურნეობებისა თუ საბჭოთა მეურნეობებისაგან, რომლებსაც 2 ტონაზე ნაკლები მატყლი აქვთ, მატყლის მიღება და საბოლოო ანგარიშსწორება ხდება დამამზადებელი კანტორის საწყობში. ამ საწყობში მატყლს იღებენ მეურნეობისაგან, ურევენ მას სხვა მეურნეობათა მატყლს და მრეწველობას უგზავნიან დამამზადებელი კანტორის სახელით, მეურნეობათა გაუპიროვნების წესით.

გაუპიროვნებული წესით გაგზავნისას დამამზადებელი კანტორა მეურნეობასთან საბოლოო ანგარიშსწორებას ახდენს დახარისხების შედეგების მიხედვით. მრეწველობის ყველა რეკლამაცია, როგორც წესი, აისახება ამ კანტორის ბალანსში. დამამზადებელი კანტორა მატყლის გაუპიროვნებლად გაგზავნისას მეურნეობებთან ახდენს ხელახალ ანგარიშსწორებას, ანაწილებს რა მრეწველობისაგან მიღებული მატყლის ღირებულების დადებით სხვაობას მათგან მიღებული მატყლის რაოდენობისა და ღირებულების პროპორციულად.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა მატყლი გაპიროვნებულად გაგზავნოს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ზედნადები ხარჯები და შესაძლებელი ხდება მეურნეობებისაგან მიღებული ნედლეულისათვის ანგარიშსწორება სწორად მოხდეს.

მატყლის შესყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებისათვის სამომხმარებლო კოოპერაცია მრეწველობისაგან იღებს ზედნადები ხარჯების დანამატებს, საბჭოთა მეურნეობებისაგან მატყლის უშუალოდ გადატვირთვის დროს თითოეული ტონისათვის 40 მანეთს, შერეული წესით საბჭოთა მეურნეობებისაგან, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისაგან მატყლის გადატვირთვისას კი — 125 მანეთს.

მატყლის მიწოდების გეგმას ადგენს „მთავარკოოპცხოვნედლე-

ული“ და უთანხმებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ საკავშირო „მთავარმსუბუქმრეწვნედლეულს“.

საკავშირო „მთავარმსუბუქმრეწვნედლეულთან“ მატყლის მიწოდების გეგმის შეთანხმების შემდეგ, „მთავარკოოპცხოვნედლეული“ რესპუბლიკურ კოოპკავშირებს აძლევს მატყლის გაგზავნის კვარტალურ განწესებს. განწესებში მითითებულია რა სახის მატყლი უნდა გაუგზავნონ მრეწველობის თითოეულ საწარმოს, მატყლის რაოდენობას აღნიშნავენ ფიზიკური წონით.

მიღებული განწესების საფუძველზე ცეკავშირის დამზადების მთავარი სამმართველო აძლევს განრიგებს დამამზადებელ კანტორებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობებენ მეურნეობებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მატყლს დამოუკიდებლად უგზავნიან მრეწველობას.

მატყლი უნდა გაიგზავნოს ზუსტად განწესში აღნიშნული რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მისი უგანწესოდ გაგზავნა სასტიკად აკრძალულია. საჭიროების შემთხვევაში განწესის შეცვლა შეუძლია მხოლოდ „მთავარკოოპცხოვნედლეულს“, საკავშირო „მთავარმსუბუქმრეწვნედლეულთან“ შეთანხმებით.

მატყლის ორმხრივი მიღება-ჩაბარების განსახორციელებლად ყოველ საწარმოში არის „ცენტროსოიუზის“ სპეციალისტ-საქონელმცოდნეთა (ჩამბარებელთა) ჯგუფი.

საწარმოში მიღებულ მატყლს იღებენ ჯერ რაოდენობრივად, შემდეგ კი ხარისხობრივად. სავაგონო პარტიები რაოდენობრივად უნდა მიიღონ ივნისში, ივლისსა და აგვისტოს თვეებში, საწარმოში მატყლის მოსვლიდან ექვსი დღის განმავლობაში, წელიწადის დანარჩენ დროს — 72 საათის განმავლობაში. საავტომობილო ტრანსპორტით მატყლის მიტანისას მისი მიღება უნდა მოხდეს 12 საათის განმავლობაში წლის დროის მიუხედავად.

რაოდენობრივად მიღება ხდება მატყლის თითოეული ფუთის აწონვის გზით. საწარმო ამას აკეთებს ცალმხრივად, მაგრამ თუ ფუთაზე აღნიშნული წონა ფუთის ფაქტიურ წონას არ შეესაბამება, გამოიძახებენ ჩამბარებელ-საქონელმცოდნეს, რომლის თანდასწრებითაც წონიან მთელ მატყლს.

მატყლის ხარისხობრივი მიღების განსაზღვრისათვის, საკონტროლო დახარისხების ჩასატარებლად შეირჩევა ფუთები.

საკონტროლო ფუთებს არჩევენ მატყლის იმ თითოეული ხარისხიდან, რომელიც გამგზავნს აღნიშნული აქვს სპეციფიკაციაში. პირ-

ველ ფუთას არჩევენ ნებისმიერად, ჩამბარებლისა და მიმღების შეთანხმებით. ამის შემდეგ კი თანმიმდევრულად არჩევენ ყოველ მეხუთე ან მეათე ფუთას იმის მიხედვით, თუ რამდენ პროცენტიანია (20 და 10-პროცენტიანი) საკონტროლო დახარისხება.

მატყლის დანარჩენ ფუთებს გზავნიან საწყობში ან პირდაპირ წარმოებაში.

ხარისხობრივი მიღება ხდება შემდეგ ვადებში: ივნისში, ივლისსა და აგვისტოში — 35 დღის მანძილზე, წელიწადის დანარჩენ დროს — მატყლის მოსვლიდან 20 დღის განმავლობაში. ავტოტრანსპორტით მატყლის მიტანისას ხარისხობრივი მიღება წარმოებს 5 დღის განმავლობაში, ივნისიდან — აგვისტომდე, ხოლო წელიწადის დანარჩენ დროს შემცირებულია 72 საათამდე.

მატყლის ხარისხობრივ მიღებაში მონაწილეობენ სამომხმარებლო კოოპერაციის „ცენტროსოიუზის" ჩამბარებელ-საქონელმცოდნეები.

საკონტროლო დახარისხება წარმოებს მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად. საკონტროლო დახარისხების შედეგები ვრცელდება მატყლის მთელ პარტიაზე. მატყლის წონასა და ხარისხში მნიშვნელოვანი სხვაობის შემთხვევაში „ცენტროსოიუზის" ჩამბარებელ საქონელმცოდნეს უფლება აქვს გამოიძახოს გამგზავნი მატყლის ჩაბარებაში მონაწილეობისათვის.

საკონტროლო დახარისხების შედეგების მიხედვით ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ საწარმო და სამომხმარებლო კოოპერაციის ჩამბარებელი საქონელმცოდნეები. მატყლის ჩაბარების თარიღად ითვლება ის დღე, როცა აქტს ხელი მოაწერა სამომხმარებლო კოოპერაციის ჩამბარებელმა საქონელმცოდნემ.

სამომხმარებლო კოოპერაცია მრეწველობას უნაზღაურებს:

1. მატყლის რაოდენობის დაკლებისათვის ნედლეულის საერთო ღირებულების 2 პროცენტს.

2. ჯარიმას 3 პროცენტის რაოდენობით, თუ გაგზავნილი მატყლი სახეობისა და მდგომარეობის მიხედვით უფრო დაბალი ხარისხის გამოდგა. კლასისა და ქვეკლასის შემცირებისას ჯარიმას არ იხდიან ადგილზე ეტალონების დუბლიკატების მიღებამდე.

3. არასწორი ნიშანდებისათვის — 3 პროცენტს.

თავის მხრივ მრეწველობა სამომხმარებლო კოოპერაციას უყენებს სანქციებს მატყლის ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მიღე-

ბის ვადის დარღვევისათვის და ახდევინებს 2 პროცენტს, ტარის დაბრუნების ვადის დარღვევისა და თითოეული გადაცილებული დღისათვის კი — 5 პროცენტს.

ქარხნული წარმოშობის მატყლი მიიღება ქარხნებში დამუშავებული ტყავიდან. საწარმოებში, ტყავის გამოყვანის პროცესში, მას აცლიან ბალნის საფარს სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გამოყენებით. ამიტომ ქარხნის მატყლს ქიმიკატების უსიამოვნო სუნი უდის.

მატყლის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ქარხნული წარმოშობის მატყლის დამზადება კატეგორიულად აკრძალულია. მიუხედავად ამისა, დამამზადებელი კანტორის დოკუმენტებში (ანგარიშებსა და სპეციფიკაციებში) ზოგჯერ აღნიშნულია კანძობრივი მატყლი, ხოლო საწარმოებში საკონტროლო დახარისხების დროს ვლინდება, რომ კანძობრივ მატყლს ქარხნული წარმოშობის მატყლი ურევია.

მრეწველობის მიღება-ჩაბარების აქტში ქარხნული წარმოშობის მატყლის აღმოჩენისას უნდა შემოწმდეს საიდან მოსდა ქარხნის მატყლი დამამზადებელ კანტორაში.

ქარხნული წარმოშობის მატყლის გაგზავნის ყველა შემთხვევა დეტალურად უნდა იქნეს განხილული და საჭიროების შემთხვევაში საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცეს.

დაცემული ცხვრის ან ცხვრის ტყავიდან მიღებული მატყლი (ე. ი. მკვდარი ნაპარსი და ტყავის ანაკრეჭი) ქარხნული წარმოშობის მატყლისაგან განსხვავებით მზადდება, შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პრეისკურანტში დამტკიცებულია მისი ფასიც. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებაში იგი არ ჩაითვლება. საერთოდ, ეს მატყლი არ უნდა შეერიოს ნატურალურ მატყლს, იგი ცალკე უნდა შეიფუთოს. თუ რევიზიის დროს გამოვლინდა, რომ მისაღებ ქვითარში ასეთი მატყლი აღნიშნული არ არის, ხოლო მისაღებ აქტში იგი გამოყოფილია, უნდა ჩატარდეს უფრო გულმოდგინე შემოწმება.

მეურნეობებში მატყლის უკეთ შენახვის ორგანიზაციის მიზნით „ცენტროსოიუზის“ გამგეობამ 1962 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით („სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებში მატყლის აღრიცხვასა და შესყიდვაში დარღვევების შესახებ“) დამამზადებელ კანტორებს დაავალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მატყლი მიეღოთ სათანადოდ გაფორმე-

ბული ზედნადების წარდგენით, რომელშიც აღინიშნება მატყლის რაოდენობა წონისა და სახეობათა მიხედვით.

მეურნეობიდან დამზადების კანტორის საწყობში მატყლის გაგზავნა ზედნადების გარეშე დაუშვებელია, რადგან ეს დატაცებისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის. მაგრამ თუ მატყლი მეურნეობაში აწონილია და ჩამომტანს ხელი აქვს მოწერილი მის მიღებაზე, მაშინ მეურნეობის წარმომადგენელი პასუხს აგებს მატყლის დაცვისათვის. რევიზიის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მისაღებ ქვითარს დართული ჰქონდეს ზედნადები ან მითითებული იყოს მისი ნომერი და შევსების თარიღი.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ შეუფუთავი მატყლი ბევრად უფრო ჰიგროსკოპულია, ვიდრე დაწნეხილი. ამიტომ რევიზიის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საწყობში მატყლი დაწნეხილი სახით ინასებოდეს. გამონაკლისია მცირე რაოდენობის მატყლი, ე. ი. როცა მოცემული ხარისხი შესაკვრელად არ კმარა. ასეთ შემთხვევაში მატყლი უნდა შეიფუთოს ტომრებში.

ხშირად მატყლს წნეხავენ, ყველა წესის შესაბამისად უკეთებენ ნიშნებს, მაგრამ არ აღნიშნავენ ფუთის წონას. ფუთის წონას მატყლმცოდნე ჩაწერს გაგზავნის დროს. თუ რევიზიამ გამოავლინა ფუთაზე წონის აღუნიშვნელობა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბოროტმოქმედებას.

რევიზორმა მხოლოდ ყველა ჩამოთვლილი მოთხოვნის დაცვით შეიძლება დაადგინოს დანაკლისი და ბოროტმოქმედებათა შემთხვევები, რომელთა ლიკვიდაციაც შეიძლება რევიზიის პროცესშივე კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებით.

ტყავნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია

ტყავნედლეულის მიღების, შენახვის და რეალიზაციის ოპერაციების რევიზიის პირველ ეტაპზე წარმოებს ტყავნედლეულის დახარისხება და ინვენტარიზაცია.

რევიზიის პროცესში უნდა დადგინდეს ტყავნედლეულის სახეობა, წონა, ფართობი, დაკონსერვების წესი, ხარისხი, ცხვრის ტყავის მატყლიანობა. ამ მაჩვენებლების მიხედვით დადგინდება ტყავნედლეულის ფასი და მისი მთლიანი ღირებულება.

სახეობის მიხედვით ტყავნედლეული იყოფა: წვრილ, მსხვილ- და ღორის ტყავნედლეულად. წვრილ ტყავნედლეულს მიეკუთვნება ცხვრის, თხის, კვიცის, ხბოს ტყავი, რომლის წონა 10 კილოგრამამდეა. მსხვილ ტყავნედლეულს კი — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის; ცხენის, ვირის, ჯორის და აქლემის ტყავი.

ღორის ტყავნედლეულს — შინაური და გარეული ღორის ტყავი. თითოეულ ტყავნედლეულის წონა, რომელსაც წონის მიხედვით იღებენ, უნდა შემოწმდეს 0,1 კილოგრამამდე სიზუსტით.

დაუკონსერვებელი, ახლად გატყავებული ნედლეულის წონა განისაზღვრება დამამძიმებლების (რქები, ჩლიქები, ყურები და სხვ.) გარეშე, მისი გაცივების შემდეგ.

ახლად გარეცხილი ტყავის, ანუ წყლის მთლიანად ჩამოწრეტის შემდეგ წონის დამამძიმებელი ნაწილებით მიღებული ტყავნედლეულის პარტიის შემოწმებისას მიზანშეწონილია შეირჩეს და შემოწმდეს ამ პარტიისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ცალი ტყავი.

ამ ტყავების დამამძიმებლებით და მათ გარეშე აწონვის შედეგად დადგინდება დამამძიმებლების წონა.

ტყავის პირვანდელ წონასთან დამამძიმებლების წონის შეფარდებით დადგინდება დაკლების პროცენტი, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მთელ პარტიაზე.

ახლად გატყავებულ ნედლ ტყავში იწყება ბაქტერიული და ქიმიური პროცესები, რომლებიც რამდენიმე საათში ტყავს უვარგისს ხდიან. ამის გამო ახლად გატყავებული ტყავი გაცივების შემდეგ ორ საათში უნდა დაკონსერვდეს. ნორმალურად დაკონსერვებული ტყავნედლეული ტენიანობის ნაწილობრივად შემცირების გამო წონაში იკლებს. ეს დანაკლისი დამოკიდებულია ტყავნედლეულის დამარილების ხარისხზე, მისი შენახვის პირობებსა და ხანგრძლივობაზე.

სტანდარტით გათვალისწინებულია დაკონსერვებული ტყავნედლეულის ნორმალური დაკლების პროცენტი ახლად გატყავებულის წონასთან შედარებით: გაყინული მსხვილი და წვრილი ტყავისათვის — 5%, სველად დამარილებულისათვის — 13%, მარილწყალში დამარილებულისათვის — 17%, მშრალად დამარილებულისათვის — 50%, უმარილო მშრალისთვის — 60%.

დამარილებული ცხვრისა და თხის ტყავის გაშრობისას დასაშვებია მისი ფართობის შემცირება 6 პროცენტით, ხოლო მშრალი, უმარილო ტყავისა — 10 პროცენტით. თუ დაკონსერვებული ტყა-

ვის წონა არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ ნედლ, ახლად გატყავებული ტყავის წონას, მაშინ მისი ფაქტიური წონა უნდა გადაანგარიშდეს დაწესებული ნორმის მიხედვით ნორმალურ წონაზე.

თუ ტყავნედლეულს აკლია დამარილება, მის წონას შემცირებით უჩვენებენ, ზედმეტად დამარილებული ტყავნედლეულისას კი — წანამატით.

ინვენტარიზაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად სწორად დადგინდება ნაკლებად დამარილებული ტყავის წონის შემცირება და ზედმეტად დამარილებული ტყავის წონის წანამატი. ვთქვათ, საწყობში არის სველად დამარილებული 7 მსხვილი ტყავი, რომლის საერთო წონა 100 კილოგრამია, დამარილებულია 8 პროცენტით. საინვენტარიზაციო აღწერაში 100 კილოგრამის ნაცვლად უნდა შევიტანოთ 95 კილოგრამი, რადგან სველად დამარილებული მსხვილი ტყავის ნორმად, როგორც ვიცით, დაწესებულია 13%. ჩვენ მაგალითში კი ფაქტიურად იყო 8%, სხვაობა შეადგენს 5%-ს. მთლიან წონას უნდა გამოაკლდეს 5%, ანუ 5 კილოგრამი.

ამავე წესით გამოიანგარიშება ზედმეტად დამარილებული ტყავნედლეულის წონის წანამატი. ტყავნედლეულის წონაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მისი ტენიანობა. ინვენტარიზაციის დროს ტყავის სუფთა წონა უნდა შეედაროს საქდეზე აღნიშნულ წონას. თუ საწყობში მიღებულია დაკონსერვებული ტყავი, ხოლო საქდეზე აღნიშნულია ახლადგატყავებული ტყავის წონა, მაშინ ტყავის სუფთა წონა უნდა გადავიანგარიშოთ ახლად გატყავებულ ტყავის წონაზე და შევუდაროთ საქდეზე აღნიშნულ წონას.

ცხვრის, თხის და ღორის ტყავი მიიღება ფართობის მიხედვით. მისი განსაზღვრა ხდება ტყავის სიგრძის სიგანეზე გადამრავლებით და გამოიანგარიშება კვადრატულ დეციმეტრებში. ფართობის გაზომვისას ტყავი უნდა გასწორდეს, მაგრამ არ უნდა დაიჭიმოს სიგრძესა და სიგანეში. საპრეისკურანტო ფასები დაწესებულია ხარისხის და დაკონსერვების მიხედვით თითოეულ კვადრატულ დეციმეტრზე.

ყველა სახის ტყავნედლეული მისი ხარისხობრივი მდგომარეობის, დეფექტების ხასიათისა და მათი განლაგების მიხედვით იყოფა ოთხ ხარისხად.

ტყავნედლეული, რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტით დაწესებულ მოთხოვნილებას, მიეკუთვნება არასტანდარტულს.

ბეწვეულის წარმოებისათვის გამოიყენება ნაზმატყლიანი, ნახევ-

რად ნაზმატყლიანი და ნახევრად უხეშმატყლიანი ცხვრის ტყავი. ნაზმატყლიანი ცხვრის ტყავი ხასიათდება ერთგვაროვანი, შტაპელური აგებულების მატყლსაფარველით, შედგება ნაზი თივთიკისაგან, რომლის სინაზე 23,1—25,0 მიკრონია. აშკარად გამოსახული ხვეულიანობა აქვს და ხასიათდება დიდი რაოდენობის ცხიმოფლიანობით. ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვრის ტყავის მატყლსაფარველი ძირითადად ერთგვაროვანი შტაპელური აგებულების მატყლისაგან შედგება, ახასიათებს მსხვილი ხვეულიანობა. ტყავის ბოლოებზე შტაპელურ-კულულისებრი აგებულების მატყლი აქვს, მატყლის სინაზე 25,1—37,0 მიკრონია.

ნახევრად უხეშმატყლიან ცხვრის ტყავს არაერთგვაროვანი მატყლი აქვს. ეს ტყავი მიიღება მეტისური, უხეშმატყლიანი ცხვრების ნაზმატყლიანთან შეჯვარებით.

დამზადების მუშაკები ვალდებულნი არიან ნედლეულს მიღებისთანავე გაუკეთონ საქდე, რომელზედაც აღინიშნება დამზადების კანტორის სახელწოდება, ნედლეულის სახე, ხარისხი, დაკონსერვება, წონა ან ფართობი და ქვითრის ნომერი, რომლის მიხედვითაც მიღებულია ნედლეული. წარწერის სისწორეს ადასტურებს დამამზადებელი თავისი ხელის მოწერით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქდეებზე აღნიშნული წარწერებისა და ჩამბარებლებზე გაცემული ქვითრების მონაცემების შესაბამისობას. თუ ამ მონაცემებს შორის სხვაობა აღმოჩნდა, რევიზორმა უნდა დაადგინოს მისი მიზეზები.

დამამზადებელს უფლება არა აქვს შეიტანოს ცვლილებები და შეასწოროს საქდეზე წარწერა.

დამამზადებლებისაგან ნედლეულის მიღებისას დამზადების კანტორის საწყობის გამგე (მენედლე) ვალდებულია შეუდაროს თავისი შეფასების მაჩვენებლები საქდეზე გაკეთებულ წარწერას. განსხვავების შემთხვევაში დგება სათანადო აქტი.

ტყავნედლეულის შესყიდვის ქვითრების, აქტების და სპეციფიკაციების შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორად არის თუ არა გამოყენებული შესყიდვის საპრეისკურანტო ფასები.

ტყავნედლეულის შესასყიდი ფასები დაწესებულია ტყავის ხარისხისა და დაკონსერვების გათვალისწინებით. აღწერით უნდა დადგინდეს ტყავნედლეულის რაოდენობა, მისი სახე და ხარისხი; ტყავნედლეულის სუფთა წონა, დეციმეტრაჟი და ღირებულება. აუცი-

ლებელია სასაწყობო წიგნების და ბუხჰალტრული აღრიცხვის მონაცემების შედარება და შემოწმება. საწყობში მიღებული დაუმუშავებელი, არაწესიერად დამუშავებული და ცუდად დაკონსერვებული ნედლეული უნდა დამუშავდეს და დაკონსერვდეს.

რევიზორმა უნდა შეამოწმოს რა ნედლეული დამუშავდა, ხოლო დამუშავების შემდეგ რა ხარისხისა და დასახელების ნედლეულია მიღებული. ამისათვის გამოიყენება ტყავის დამუშავების აქტები. საჭიროა გადახარისხებამდე არსებული დოკუმენტების მონაცემების შემხვედრი შემოწმება იმ მონაცემებთან, რომლებიც აისახა აღრიცხვაში გადახარისხების შემდეგ.

უნდა შემოწმდეს აგრეთვე ტყავნედლეულის შენახვის პერიოდში მომხდარი წონის ცვლილება, რადგან მასზე მოქმედებს ტემპერატურის ცვალებადობა და ჰაერის ტენიანობა, რაც ზრდის ან ამცირებს ნედლეულის წონას. ადგილი აქვს ხარისხობრივ ცვლილებებს და, რა თქმა უნდა, ამის შესაბამისად იცვლება ნედლეულის ღირებულებაც. რევიზიის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს საღრიცხვო ჩანაწერებში ტყავნედლეულის ხარისხობრივი ცვლილებების სწორად ასახვის შემოწმებას. შემოწმება უნდა მოხდეს ცხოველნედლეულის საღრიცხვო ნომენკლატურის მიხედვით. სუფთა წონა, ფართობი, დაკონსერვების წესი და ხარისხი, რაც გამგზავნის დოკუმენტებშია ასახული, უნდა შედარდეს სასაწყობო წიგნის მონაცემებს. ეს რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ღირებულებითი სხვაობის დადგენის საშუალებას იძლევა.

ტყავნედლეული, მისი საწყობში შენახვის ხანგრძლივობის მიუხედავად, უნდა დაეწყოს განცალკევებით, მისი სახეობის და დაკონსერვების მიხედვით.

საწყობში უნდა იცავდნენ გარკვეულ რეჟიმს — ტემპერატურასა და ჰაერის ფარდობით ტენიანობას. ტყავნედლეულის რეალიზაციის ოპერაციების შემოწმებისას რევიზორმა უნდა დაადგინოს — დაცულია თუ არა მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდების განრიგები, ხომ არ ჰქონდა ადგილი უგანრიგოდ ტყავნედლეულის გაგზავნას, სწორად იწერება თუ არა სპეციფიკაციები, ანგარიშები, თავის დროზე ვეტლაბორატორიაში ასკოლზე ამოწმებენ თუ არა ნედლეულს, სწორად აკომპლექტებენ თუ არა გასაგზავნი ნედლეულის პარტიებს, წესიერად არის თუ არა დამუშავებული და დაკონსერვებული გასაგზავნი ნედლეული, ანტისეპტიკებით არის თუ არა ნედლეული დამუშავებული, აქვს თუ არა თითოეულ ტყავს

სწორად შევსებული საქდე, ხოლო გასაგზავნ პარტიას ცალობრივი საქდე და ნიშანდება, სწორად იწერება თუ არა რკინიგზის ზედდებული, დაერთვის თუ არა გასაგზავნ ნედლეულს ვეტერინარული მოწმობა, სპეციფიკაცია და სხვ.

ტყავნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დამზადების კანტორებს, გარდა ტყავნედლეულის დამზადების რაოდენობრივი გეგმისა, ყოველი კვარტალისათვის ეძლევა ხარისხობრივი გეგმაც.

ტყავის ხარისხი განისაზღვრება მისი სასარგებლო ფართობის რაოდენობით, რაც მიღებულია პირველი ხარისხის ტყავისათვის ერთეულად, დანარჩენი ხარისხებისათვის კი გადაიანგარიშება დაწესებული კოეფიციენტებით. ქვემოთ მოგვყავს ტყავნედლეულის გადაანგარიშების კოეფიციენტები:

ტყავნედლეულის გადაანგარიშების კოეფიციენტები:

ტყავნედლეულის სახე	I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი	IV ხარისხი
ჩსხვილი	1.0	0.87	0.66	0,46
ზვიადი	1.0	0,85	0.60	0,40
ღორის	1,0	0,85	0.60	0,40

სოფლებში, ქალაქებსა და დაბებში, ხორცკომბინატების მექანიზებული სასაკლაოების გარდა, არის სამომხმარებლო კოოპერაციის სასაკლაო პუნქტები. ტყავნედლეულის ხარისხიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის წესიერად დაკვლასა და გატყავებას.

დაკლული პირუტყვის დაუდევრად გატყავების შედეგად შესაძლებელია მთელი რიგი დეფექტები.

დაკლული პირუტყვის სისხლიდან ცუდად დაცლის გამო ხელსაყრელი პირობები იქმნება მლპობი მიკრობების განვითარებისათვის.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სასაკლაო პუნქტებიდან მიღებული ნედლეული ბევრად უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე „გაფანტული" წესით დამზადებული ტყავი. ტყავნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად სასაკლაოებში პირუტყვის დაკვლა უზრუნველყოფს ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას ხორცსა და ტყავნედლეულზე; შესაძლებელი ხდება უკეთ მოეწყოს ტყავ-

ნედლეულის დამზადება, გადიდდეს ისეთი ძვირფასი ნედლეულის შეგროვება, როგორიც არის ნაწლავნედლეული.

სასაკლაო პუნქტებში დაკლული პირუტყვის ტყავის ჩაბარებისას გაიცემა დანამატი ჩაბარებული ტყავნედლეულის ღირებულების 7%-ის რაოდენობით.

დამზადების კანტორებმა უნდა უზრუნველყონ სასაკლაოების მთელი დატვირთვით მუშაობა, სასაკლაო პუნქტების მოქმედების ზონაში კი — პირუტყვის დაკვლა მხოლოდ სასაკლაოებში.

უნდა შემოწმდეს რამდენად უზრუნველყოფილია სასაკლაო პუნქტები კვალიფიციური სპეციალისტებით, ინვენტარით, მარილით, ვეტერინარულ-სანიტარული პირობებით, ტყავნედლეულის დასამუშავებელი, დასაკონსერვებელი და მისი შესანახი ადგილით და როგორი ხარისხის ტყავნედლეული გამოდის სასაკლაო პუნქტებიდან.

დაფნის ფოთლის და ლუფის დამზადებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაფნის ფოთლისა და ლუფის შესყიდვასა და რეალიზაციას. კერძოდ, 1970 წელს დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო ღირებულებაში დაფნის ფოთლის წილად მოდიოდა 19,7 პროცენტი, ხოლო ლუფისა — 4,2 პროცენტი. ამიტომ ამ სახის ნედლეულის დამზადების ოპერაციების რევიზიას დიდი მნიშვნელობა აქვს.

დაფნის ფოთლის ინვენტარიზაცია მოითხოვს განსაკუთრებულ და სპეციფიკური წესების გამოყენებას. მისი ხშირი გადაწონვა იწვევს ხარისხის მკვეთრ დაცემას, გამოსავლიანობის შემცირებასა და დიდ დანაკარგებს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ინვენტარიზაციის პროცესი შემდეგნაირად უნდა წარიმართოს: პირველ რიგში, აუცილებელია დაფნის ფოთლის მიმიღებ პუნქტებსა და ბაზებში ყველა პარტიის შემოწმება. საკონტროლო დათვალიერებით უნდა დადგინდეს დაფნის ფოთლის ხარისხის ტექნიკური პირობების მოთხოვნებთან შესაბამისობა, რისთვისაც საჭიროა დაფნის ფოთლის ცალკეული პარტიის, რამდენიმე ადგილის სხვადასხვა ფე-

ნიდან (ზემო, ქვემო, შუა) ნიმუშების აღება და სათანადო ლაბორატორიული ანალიზი. ანალიზისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ თუ დაფნის ფოთლის აღების ადგილთა რაოდენობა არ აღემატება ათს, საჭიროა თითოეულის გახსნა და სინჯის აღება. ადგილთა მეტი რაოდენობის შემთხვევაში უნდა გაიხსნას პირველი 10 ადგილი, დანარჩენი ნაწილებიდან კი სინჯი უნდა აიღონ ყოველი მეათედან.

დაფნის ფოთლის ნიმუშების საშუალო წონა 400 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს. მისი გარეგნული სახის, ფერის, გემოს შემოწმება ხდება ორგანოლეპტიკურად.

დაფნის ფოთლის წონის დასადგენად აუცილებელია მისი ტენიანობის განსაზღვრა, რაც ხდება ლაბორატორიული წესით. სათანადო ანალიზების მიღების შემდეგ თუ დაფნის ფოთოლი არ არის შეფუთული, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, რევიზიის პროცესში ხდება მისი შეფუთვა და ნიშანდება ყუთებში, შეკვრებსა და ბარდანებში — 50 კგ-ის რაოდენობით, ხოლო ტომრებში — 15 კილოგრამამდე.

ცენტროსოიუზის გამგეობის 1970 წლის 23 ივლისის დადგენილების თანახმად, დაფნის ფოთლის საბაზრო და არასაბაზრო მოხმარება განისაზღვრება სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერ „ცენტროსოიუზის“ გამგეობასთან შეთანხმების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ამტკიცებს დაფნის ფოთლის შესყიდვის გეგმებს, რაც შეთანხმებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და შესაბამისობაშია სახალხო მეურნეობაში მის მოხმარებასთან.

რევიზიის პერიოდში ძირითადად ყურადღება უნდა მიექცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, „ცენტროსოიუზისა“ და ცეკავშირის გამგეობების დადგენილებებს დაფნის ფოთლის დამზადებისა და რეალიზაციის საკითხებზე.

ზოგიერთ კოოპორგანიზაციაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი დამზადების კანტორების და დაფნის კომბინატების გვერდის ავლით კოლმეურნეობებისგან, საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკეული მოქალაქეებისგან დაფნის ფოთლის არაკანონიერად შესყიდვას, რაც კატეგორიულად აკრძალულია.

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1970 წლის 23 ივნისის დადგენილების თანახმად, აკრძალულია დაფნის ფოთლის საკომისიოდ და

კოოპვაჭრობის საწყისებზე შესყიდვა, ამ საკითხების დამახინჯებაში დამნაშავე პირები დროულად უნდა ამხილონ.

როგორც უკვე აღინიშნა, დაფნის ფოთლის დამზადება ლიმიტირებულია და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისაგან განსხვავებით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას.

დაფნის ფოთლის დამზადება და რეალიზაცია ხასიათდება თავისებური სპეციფიკით, ამიტომ რევიზიის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რამდენად სწორად არის დაცული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1963 წლის 4 ივნისს დამტკიცებული ტექნიკური პირობები, რომლებიც ვრცელდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოკრეფილი და ჩრდილში გამხმარ მარადმწვანე მცენარის — კეთილშობილი დაფნის როგორც კულტივირებულ, ისე ველურ ჯიშებზე.

რევიზორმა უნდა შეამოწმოს რამდენად აკმაყოფილებს დაფნის ფოთოლი გარეგანი სახის, ფერის, ზომის, სუნის, გემოს და ტენიანობის მიხედვით არსებულ მოთხოვნებს.

ტექნიკური პირობების თანახმად დასაშვებია, რომ დაფნის ფოთოლში არსებობდეს უარყოფითი მინარევები, რომლის მხედველობაში მიღებით სარევიზიო პერიოდის განმავლობაში ანალიზი უნდა გაუკეთდეს ასეთი შემადგენლობის მქონე დაფნის ფოთლის მიღების და გადატვირთვის ოპერაციების სისწორეს, რათა ადგილი არ ჰქონდეს განსაზღვრული ნორმების გადამეტებას. მაგალითად, გათვალისწინებულია, რომ დაფნის ფოთოლში შეიძლება შედიოდეს დამტვრეული ფოთლები, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ყვითელი ფოთლები კი 20%-ს. დასაშვებია აგრეთვე, რომ დასამზადებელ დაფნის ფოთოლში ორგანული და მინერალური მინარევები (ყვავილი, მტვერი, უცხო მცენარეთა ნაწილაკები, ღერო და სხვ.) შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს. ასევე დასაშვებია წვრილი სოკოვანი ფოთლები, მაგრამ იმ პირობით, თუ დაფნის ფოთოლი აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ მოთხოვნას.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ლუფის დამზადება. ეს კულტურა ძირითადად დასავლეთ საქართველოს რაიონებშია (ზუგდიდი, გალი, ჩხოროწყუ, ცხაკაია, წალენჯიხა) გავრცელებული. ლუფის როგორც შესყიდვა-რეალიზაციის, ისე ინვენტა-

რიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი ხარისხის სწორად განსაზღვრას.

ლუფის შესყიდვა წარმოებს დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით, სადაც მთავარი ყურადღება ექცევა ხარისხს. კერძოდ: პირველი ხარისხის ლუფა უნდა იყოს სიგრძით 30 სანტიმეტრი და უფრო მეტი, სიგანით შუა ნაწილში უნდა იყოს 6 სმ-ზე უფრო მეტი; მეორე ხარისხის სიგრძე — 25—30 სმ-ია, სიგანე კი შუა წელში 6 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. უფრო მცირე ზომის ლუფები მესამე ხარისხისაა, ხოლო ნაწყვეტები — განურჩეველი ზომისაა, არასტანდარტული.

ლუფის შესყიდვისა და საბითუმო-გასაცემი ფასები დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1967 წლის 16 ოქტომბერს.

	შესყიდვა	საბითუმო-გასაცემო
პირველი ხარისხი	14 მან.	16 მან.
მეორე ხარისხი	11	12 მან.
მესამე ხარისხი	5	5 მან. და 34 კაპ.
არასტანდარტული	2	2 მან. და 67 კაპ.

დამზადების საწყობებსა და პუნქტებში ლუფა აღირიცხება კალოგრამებში, სათანადო შესყიდვის ფასებით, ხარისხების მიხედვით. ასევე ხარისხების მიხედვით უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია და შედეგებიც ამავე პრინციპით უნდა იქნეს გამოყვანილი.

ლუფის დანაკლისი დაეწერება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, რომელიც მის ღირებულებას გადაიხდის საბითუმო-საგასაცემო ფასების მიხედვით. ხარისხიდან ხარისხში გადასვლის შემთხვევაში თუ წონით დანაკლისს ადგილი არ ექნება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გადახდება ხარისხთა შორის დაშვებული ფასთა სხვაობა.

რადგან ხარისხებს შორის ფასებში დიდი სხვაობაა, ლუფის ინვენტარიზაციაში სასურველია მონაწილეობდეს ხარისხისა და ფასების განმსაზღვრელი სპეციალისტი.

სამომხმარებლო კოოპერაციის ბაზებსა და საწყობებში სხვა პროდუქტებთან შედარებით კვერცხის შესყიდვის, მიღების, დახარისხებისა და ჩაბარების წესები განსხვავებულია, რამდენადაც იგი დაკავშირებულია კვერცხის დამზადების თავისებურებებთან; კერძოდ, სარაიონთაშორისო კვერცხის ბაზები კვერცხს იღებენ მომხმარებელთა საზოგადოებებისაგან, რაიონული დამამზადებელი კანტორებისაგან, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. შემდეგ მას ახარისხებენ, ფუთავენ და გზავნიან (აბარებენ) რესპუბლიკური (საოლქო) კოოპკავშირების დამზადების სამმართველოთა განწესებით.

„ცენტროსოიუზის" გამგეობამ 1968 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით („სამომხმარებლო კოოპერაციის ბაზებსა და საწყობებში კვერცხის შესყიდვისა და გადამუშავების დროს საკვები და ტექნიკური ნარჩენების შემდგომი შემცირების ღონისძიებათა შესახებ") რესპუბლიკურ კოოპკავშირების გამგეობებს დაავალა გააფართოვონ რაიონული დამამზადებელი კანტორების, სამომხმარებლო საზოგადოებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ უშუალოდ მომხმარებლისათვის კვერცხის ჩაბარება და გაგზავნა დამამზადებელი კანტორების საწყობებსა და კვერცხის ბაზებში პროდუქტის მიტანის გარეშე.

სამრეწველო ცენტრებსა და სხვა ქალაქებში უშუალოდ რაიონული დამამზადებელი კანტორებისა და სამომხმარებლო საზოგადოებების მიერ კვერცხის გაგზავნისას მცირდება მომხმარებლისათვის კვერცხის მიწოდების, დახარისხებასა და შეფუთვასთან დაკავშირებული ხარჯები, ამასთან შედარებით მაღლდება ხარისხობრივი მაჩვენებლებიც.

შესყიდული კვერცხის გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით მისი ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს დახარისხების, შეფუთვისა და მომხმარებლებისათვის გაგზავნის ორგანიზაციასთან ერთად. „ცენტროსოიუზის" გამგეობის 1963 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, კოოპერაციულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მომხმარებლების მიერ კვერცხის მიღების აქტებისა და თანმხლები საბუთების საფუძველზე სამ დღეში განიხილონ კვერცხის ჩაბარება-მიღების შედეგები თითოეული პარტი-

ის მიხედვით და ნორმის ზევით დანაკარგებით მიღებული ზარალი კანონით დადგენილი წესით გადაახდევინონ დამნაშავე პირებს.

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის მიერ დამტკიცებულია ბაზებსა და საწყობებში შესყიდვისა და დახარისხების დროს კვერცხის საკვები და ტექნიკური ნარჩენების დიფერენცირებული ნორმები, კერძოდ:

კ ვ ე რ ც ხ ი ს ბ ა ზ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საკვები ნარჩენი უნდა შეადგენდეს 0,1%-ს, ტექნიკური ნარჩენები — 0,04%-ს, დანაკარგები (ნაჭუჭის) 0,01%-ს, რაიდამზადების კანტორისა და სოფლის კოოპერატივის მიერ თავისი ტრანსპორტით მიტანისას — 0,1%-ს.

რ ა ი დ ა მ ზ ა დ ე ბ ი ს კ ა ნ ტ ო რ ი ს ს ა წ ყ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს საკვები ნარჩენებია 0,4%-მდე, დანაკარგები (ნაჭუჭის) — 0,05%-მდე.

ს ო ფ ლ ი ს კ ო ო პ ე რ ა ტ ი ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საკვები ნარჩენებია — 0,2%-მდე, ხოლო კვერცხის უშუალოდ ბაზაში ჩაბარებისას, რაიდამზადების კანტორის გვერდის ავლით — 0,75%-მდე, დანაკარგები (ნაჭუჭის) — 0,01%-მდე.

ამ ნორმების გადამეტების შემთხვევაში რევიზორებმა უნდა დაადგინონ მიზეზი და გამოავლინონ დამნაშავე პირები.

მეორადი ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია

გაცვეთილი და ხმარებიდან გამოსული საფეიქრო და ლითონის საგნები, უვარგისი ინვენტარი და მოწყობილობა შეიძლება მეორედ იქნეს გამოყენებული, როგორც სხვადასხვაგვარი საგნისა და მასალის დასამზადებელი ნედლეული. ასეთ ნედლეულს მეორადი ნედლეული ეწოდება.

მეორად ნედლეულს მიეკუთვნება: ყოველგვარი ჩვარი, მაკულატურა, ძვალი, რქაფლოქვი, ძველი რეზინი, ლითონის ჯართი. გარდა ამისა, ამ ჯგუფს მიეკუთვნება ნედლეულის გადამუშავების სამრეწველო ნარჩენებიც.

სამომხმარებლო კოოპერაცია ამზადებს ყველა სახეობის მეორად ნედლეულს სამრეწველო ლითონის ჯართის გარდა. ზემდგომი ორგანოების 1958 წ. მითითებათა თანახმად, (შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების, გადამუშავებისა და

გამოყენების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ) სამომხმარებლო კოოპერაციას უფლება აქვს შავი და ფერადი ლითონების ჯართისაგან დაამზადოს საყოფაცხოვრებო საგნები მხოლოდ სოფელ ადგილებსა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში.

ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ „სოიუზგლავმეტალლომის“ და „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებულია შავი და ფერადი ლითონებისაგან დამზადებული ისეთი საგნების სპეციალური ნუსხა, რომელთა შესყიდვაც შეუძლია სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებს ნაღდი ფულით.

მეორადი ნედლეულის დამზადებასა და გამოყენებას სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამომხმარებლო კოოპერაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეორადი ნედლეულის დამზადებასა და მრეწველობის მრავალი დარგის საწარმოთა ნედლეულით მომარაგების სახელმწიფო გეგმაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციები მეორად ნედლეულს ამზადებენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ რაიონებში.

მეორადი ნედლეული მრავალსახეობისაა და ხარისხობრივი თავისებურებანი ახასიათებს, რევიზორს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მასზე და რევიზიის დროს უნდა გაითვალისწინოს.

აი ზოგიერთი უფრო მეტად გავრცელებული ნედლეულის თავისებურება:

ჩვარი ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად არ უნდა იყოს დამპალი, შმორიანი, დამწვარი, უნდა ჰქონდეს ძველ ქსოვილისათვის ნორმალური სიმაგრე, ე. ი. უნდა გაძნელდეს მისი ხელით გახევა.

ყოველგვარ პირობებში, დამზადების ადგილისა და წლის დროის მიუხედავად, ჩვარი შეხებისას უნდა იყოს მშრალი, არ უნდა იყოს ზედმეტად დანესტიანებული და გაბინძურებული. იგი შეიძლება იყოს ჭუჭყიანი, მაგრამ ჭუჭყი გუნდად არ უნდა ჰქონდეს მიკრული, არ უნდა იყოს ზეთიანი. ყველა ზომის ჩვრის ნაჭრები მიიღება, ძონძისა და ჯვალოს გარდა. ჩვარი არ უნდა შეიცავდეს დაწესებულ ნორმაზე მეტ მინარევებს.

მაკულატურის ყველა სახეობაზე დადგენილია ერთიანი ფასი,

რეკომენდებული არ არის მაღალი ნესტიანობისა და დანაგვიანებული მაკულატურის დამზადება. არ მიიღება პერგამენტი, დაზეთილი, პარაფინიანი და გუდრონიანი ქაღალდი, აგრეთვე მუყაო, რომლის ზედაპირზეც იქნება ცემენტის, გოგირდის, თაბაშირის ნარჩენები, ლითონის საგნებისა და საამშენებლო ნაგავის მინარევი.

ძვალი შეიძლება იყოს სადილის, რომელიც გროვდება საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობაში; ძეხვეულისა, რაც გროვდება საკონსერვო და ძეხვის საწარმოებში; გადასაყრელი — სანაგვე ყუთებში დაგროვილი, მინდვრისა — მინდვრებსა და ტყეებში დაგროვილი.

ძვალი უნდა იყოს მაგარი, არ უნდა ჰქონდეს ყავისფერი.

ლითონის ჯართი მზადდება როგორც მოსახლეობაში, ისე საწარმოებში. იგი უნდა დახარისხდეს შავი ლითონის ჯართის, რკინა-ფოლადის და თუჯის ნამტვრევებად. ფერადი ლითონის ჯართის დამზადება წარმოებს სპეციალური ჩამონათალის მიხედვით (სპილენძი, თუთია, ტყვია, კალა, ნიკელი და სხვ.).

დამამზადებლების (შემგროვებლების) მიერ შესყიდული ნედლეული თავის დროზე უნდა ჩაბარდეს დამზადების კანტორის საწყობს. ნედლეულის ჩაბარება უშუალოდ დამამზადებელთა მიერ გადამუშავებული საწარმოებისათვის აკრძალულია.

ყველა სახის მეორად ნედლეულს აქვს თავისი ტექნიკური პირობები. ჩვარეულის სინოტივის ნორმად ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულია, მაგალითად, შალისა და ნახევრად შალის ქსოვილებისათვის მაის-სექტემბერში 17 პროცენტი, ოქტომბერ-აპრილში — 19 პროცენტი; ბამბეულის ქსოვილებისათვის — მაის-სექტემბერში — 12 პროცენტი, ოქტომბერ-აპრილში — 16 პროცენტი; დაბალხარისხიანი ჩვარეულისათვის მაის-სექტემბერში — 15, ხოლო ოქტომბერ-აპრილში — 17 პროცენტი. ჩვარეულის სინოტივე იგრძნობა ხელით შეხებისას, თუმცა მისი განსაზღვრა ზოგჯერ ლაბორატორიული წესითაც ხდება. კერძოდ, არჩევენ ჩვრის ნიმუშებს, რომელთა ნაჭრების ჯამს (დაახლოებით 400 გრამამდე) აწონიან გაშრობამდე და გაშრობისთანავე. საერთო სინოტივის დონე განისაზღვრება პროცენტობით შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{სპ} = \frac{\text{პწ} - \text{ამწ}}{\text{ამწ}} \cdot 100 \qquad (1)$$

სადაც სპ არის სინოტივის პროცენტი აბსოლუტურად მშრალ წონასთან;
პწ — პირვანდელი წონა გამოშრობამდე (დანაწონი);
ამწ — აბსოლუტურად მშრალი წონა (დანაწონი).

დავუშვათ, გამოშრობამდე დანაწონი იყო 500 გრამი, გამოშრობის შემდეგ კი — 400 გრამი. ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით სინოტივის პროცენტი მშრალ წონასთან შედარებით იქნება 25 პროცენტი.

ჩვარეულის კონდიციური წონა კი პრაქტიკაში განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $\text{კწ} = \text{ფწ} \cdot \frac{100 + \text{სნპ}}{100 + \text{სფპ}}$, (2)

სადაც კწ — არის კონდიციური წონა;
ფწ — ფაქტიური წონა;
სნპ — სინოტივის ნორმალური პროცენტი;
სფპ — სინოტივის ფაქტიური პროცენტი (პირველ მაგალითში იგი 25 პროცენტით განისაზღვრა).

ვთქვათ, ჩვარეულის ფაქტიური წონა 300 კგ-ია. სინოტივის ნორმალურმა პროცენტმა კი სექტემბერში 15-ს მიაღწია, როგორც ჩვენი პირველი მაგალითიდან ჩანს, ფაქტიური სინოტივის პროცენტი 25 პროცენტია. აღნიშნული მონაცემების მეორე ფორმულაში ჩასმით განისაზღვრება მეორადი ნედლეულის კონდიციური წონა. კერძოდ, იგი უდრის:

$$\text{კწ} = 300 \cdot \frac{100 + 15}{100 + 25} = 276 \text{ კგ}.$$

ამრიგად, სინოტივის დათმობის ზღვრულმა ნორმამ შეადგინა 24 კგ (300—276). დასათმობი წონის რაოდენობა (სინოტივის ზღვრული ნორმა) სინოტივის ფაქტიური და ნორმალურად მიღებული პროცენტების სხვაობით რომ განგვესაზღვრა, შედარებით არასწორ სურათს მივიღებდით. ამდენად, მეორე ფორმულის მიხედვით აღნიშნული ოპერაციის ჩატარება აუცილებელია.

დაუხარისხებელ მაკულატურაზე მოქმედებს დროებითი ტექნიკური პირობები, რაც „ცენტროსოიუზის“ გამგეობამ 1959 წ. 17 ივლისს დაამტკიცა. ამ პირობებით დაწესებულია სინოტივისა და დანაგვიანების შემდეგი ზღვრული ნორმები:

ჯგუფის დასახელება	%-ობით	
	ნესტი-ნობა	ნაგვიანობა
ფაარქივო-საგამომცემლო და სასკოლო	10	3
ნაკრები	15	5
სასტამბო	10	3
ქაღალდი მილისებრი	10	4

ძვლის ცალკეული სახეებისათვის სტანდარტით გათვალისწინებულია გარეშე მინარევების ზღვრული ნორმა:

ძვლის დასახელება	მინარევთა ზღვრული ნორმა %-ობით
1. ყველა წყაროდან	მინარევების (ტუტეების, ნაგვის) არსებობა არ დაიშვება
2. ყოველგვარი ძეხვეულის	1-მდე
3. რიგითი საღილის	3-მდე
4. მინდვრის	2 მდე
5. რქის ღერო	
6. ძვლის ნარჩენები (ცხაური, ამონაკვეთი, მუშტა)	2-მდე
7. ძვლის ნარჩენები (ბურბუშელა და ნახერხი)	6-მდე

თუ მინარევი დადგენილ ნორმას აღემატება, ძვალი დამზადებისათვის არ მიიღება. ძვალს არ უნდა აჩნდეს ხორცისა და მშრალი მყესის (სუხოჟილე) ნაკვალევი. გამონაკლისია ძეხვეულის ძვალი, რომელიც მთლიანად ხორცისა და ძარღვისაგან ვერ გაიწმინდება.

შავი ლითონის ჯართზე მოქმედებს სახელმწიფო სტანდარტი № 2767-54. ეს სტანდარტი ვრცელდება შავი ლითონების იმ ნამტვრევებზეც, რომლებიც დაგროვილია როგორც საწარმოთა ნარჩენებიდან, ისე დამზადებულია მოსახლეობაში.

შავი ლითონის ჯართის დამამზადებლები ვალდებულნი არიან ლითონის ჯართი დაახარისხონ სახეობების მიხედვით (ფოლადი, თუჯი).

შავი ლითონების ნამტვრევთა დანაგვიანება არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს, ეს განისაზღვრება ორგანოლეპტიკურად. თუ ჩამბარებელი დამამზადებლის მიერ განსაზღვრულ დანაგვიანებას არ დაეთანხმება, მაშინ საჭიროა ნიმუში აწონვით შემოწმდეს. შედეგები ნაგვიანობის საშუალო რაოდენობის ფარგლებში რომ იყოს, რეკო-

მენდებულია ნიმუშად შავი ლითონის ჩაბარებული ნამტვრევების 10 პროცენტამდე აღება. ნიმუშების აწონვის შემდეგ იგი უნდა გასუფთავდეს, გაირეცხოს, გაშრეს და შემდეგ ხელახლა აიწონოს. ნაგვიანობის პროცენტობის განსასაზღვრავად თავდაპირველ წონასა და წმინდა წონას შორის სხვაობას 100-ზე გამრავლებულს შეუფარდებენ თავდაპირველ წონას. მაგალითად, მიღებულია 1200 კგ ნამტვრევი. ნიმუში აიღეს 120 კგ-დან, რომლის გასუფთავების შემდეგ წონა შეადგენდა 114 კგ-ს, დანაგვიანება %-ობით იქნება:

$$\frac{(120-114)\times 100}{120}=5\%;$$

შავი ლითონების ჯართის რაოდენობა ანაზღაურდება ნორმის ზევით დანაგვიანების გამოკლების შემდეგ. მოცემულ მაგალითში ნორმაზე მეტი დანაგვიანება შეადგენს 2%-ს.

ამრიგად, ჩამბარებელს თანხა უნდა აუნაზღაურდეს:

$$1200-\frac{1200\times 2}{100}=1200-24=1176 \text{ კგ.}$$

ფერადი ლითონების ჯართის გარეშე მინარევებით დანაგვიანება არ დაიშვება. მაშასადამე, ის მიიღება მთელ ფაქტიურ დანაგვიანებაზე შეღავათის გამოკლებით. რევიზორს ევალება შეამოწმოს როგორ წარმოებდა ლითონების ნამტვრევთა მიღება.

მეორადი ნედლეულის რეალიზაციის ოპერაციათა რევიზიით უნდა შემოწმდეს როგორ იყო დაცული ნედლეული გადატვირთვის დროს, როგორ გაიცა სახსრები მყიდველებთან და ტრანსპორტთან ანგარიშსწორებისას, სარეალიზაციო ნედლეულის აღრიცხვის მდგომარეობა, რეალიზაციის გეგმების შესრულება და მყიდველებთან ხელშეკრულებათა დადების თავისდროულობა.

რეალიზაციის გეგმის შესრულების მნიშვნელოვანი პირობაა (მეორადი ნედლეულის გასაღებისას) ოპერატიული მუშაობის სწორი ორგანიზაცია.

დამამზადებელი ორგანიზაციები პროდუქციის რეალიზაციით ანაზღაურებენ დანახარჯებს და ამის გარდა იღებენ მოგებას. მიწოდების ვადების დარღვევა იწვევს საქონლის ჩაწოლას და ფინანსურ სიძნელეებს.

რევიზიის დროს უნდა შემოწმდეს აღრიცხვისა და ნედლეულის გადატვირთვის ვადების შესრულებისადმი კონტროლი. ამასთან,

რევიზორი ვალდებულია დამამზადებელი ორგანიზაციის ბუხჰალტერიაში გამოარკვიოს მყიდველთა პრეტენზიები გადაზიდვის გეგმებისა და ვადების დარღვევაზე, ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდაზე. ამავე დროს, უნდა შემოწმდეს წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით გადატვირთვის გეგმების შესრულებაზე ოპერატიული ანგარიშგების უტყუარობა. უნდა გამოირკვეს აგრეთვე, ხომ არ ჰქონდა ადგილი ხელშეკრულებათა შეუსრულებლობას და მყიდველებისათვის ნედლეულის არათანამიმდევრულად გადატვირთვას. თუ ასეთი რამ გამოირკვა, უნდა დადგინდეს მათი გამომწვევი მიზეზები.

მეორადი ნედლეული ხელშეკრულებით უნდა მიაწოდონ მრეწველობის მრავალი დარგის სხვადასხვა საწარმოს. ეს ნედლეული დანიშნულების ადგილზე გადაიზიდება პირველადი დამუშავებისა და ტრანსპორტაბელურ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ.

ჩვრებისა და სამრეწველო ნარჩენების მიწოდება გეხრიგის გარეშე კატეგორიულად აკრძალულია.

მაკულატურაც ისევე გადაიტვირთება, როგორც ჩვრები. რიგითი ძვალი გროვად, წყლის ტრანსპორტით (გარდა ბარჟისა) გადაზიდვისას უნდა შეიფუთოს ტომრებსა და პარკებში. უნდა ჩატარდეს ვეტერინარული შემოწმებაც.

შავი ლითონის ჯართი შეიძლება გადაიზიდოს ღია პლატფორმებზე და დახურულ რონოდებში გზათა მიმოსვლის სამინისტროს მიერ დაწესებული პირობების დაცვით. რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის ზედდებულებში შავი ლითონების ნამტვრევები უნდა ჩაიწეროს გრაფაში „გადასადნობი ლითონის ნამტვრევები“.

ფერადი ლითონების ნამტვრევების გადაზიდვა შეიძლება ტრანსპორტით, მაგრამ შემდეგი წესების დაცვით:

გადატვირთვა შეიძლება მხოლოდ დახურული რონოდებით (ბარჟით), წვრილ პარტიებს ათავსებენ ტარაში და ისე ტვირთავენ, დანარჩენებს ტვირთავენ ტარის გარეშე.

სახელმწიფო სტანდარტების („გოსტების“) ტექნიკური პირობებისათვის შეუსაბამო, უვარგისი (დაბალი ხარისხის), მეორადი ნედლეულის მიწოდებისათვის დამამზადებელი ორგანიზაციები გადაიხდიან ჯარიმებს იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულებით.

სახელმწიფო სტანდარტების ტექნიკური პირობებისა და ფასების დაცვის შემოწმებისას რევიზორმა უნდა გამოარკვიოს რა პრეტენზიები აქვთ მყიდველებს ხარისხზე, ნაკლებგადატვირთვაზე, ტარასა და ფასებზე, ამ პრეტენზიების მიზეზები, დადგენილია თუ არა ამაში დამნაშავე პირები, სარევიზიო ორგანიზაციამ მიიღო თუ არა ზომები ამ პირთა მიმართ და პრეტენზიების განმაპირობებელ მიზეზთა აღსაკვეთად.

რევიზიის პროცესში მოწმდება დამამზადებლების ანგარიშგება, ნედლეულის მიღების დოკუმენტური გაფორმება, ჩამბარებლებთან და მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა.

ზოგჯერ დამზადების გეგმების შესრულებას მიაწერენ ორგანიზაციებიდან მიღებულ სამრეწველო ნარჩენებს. ხშირად საწყობებშიც ნედლეულის მეტობას ფარავენ იმით, რომ დამამზადებლებზე გამოწერენ ფიქტიურ ქვითრებს — თითქოს მათ ჩააბარეს აღნიშნული ნედლეული. თავის მხრივ, დამამზადებლები საჭირო რაოდენობის ნედლეულს აფორმებენ როგორც ინდივიდუალური ჩამბარებლებიდან მიღებულს. ამ გზით პრაქტიკაში ფულადი სახსრების მითვისების მრავალი ფაქტი აღინიშნება. ასეთ დანაშაულს ადგილი რომ არ ჰქონდეს, გადატვირთვის დოკუმენტები ნედლეულის შესყიდვის მონაცემებს უნდა ედარებოდეს. იგივე დოკუმენტები შესაბამისობაში უნდა იყოს სასაწყობო აღრიცხვის წიგნების მონაცემებთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს რაოდენობრივ-ჯამობრივი აღრიცხვის წიგნების მონაცემთა შემოწმებასაც, რითაც დგინდება ეგრეთ წოდებული წითელი ნაშთების ფაქტიური არსებობა. ზოგ შემთხვევაში მეორადი ნედლეული შემოსავალში ტარდება მისი მყიდველებთან გაგზავნის შემდეგ. ამიტომ რევიზორმა მეორადი ნედლეული უნდა შეამოწმოს დოკუმენტების, ცალკეული პარტიების მიხედვით.

რევიზიის პროცესში ცალკეული პერიოდების მიხედვით უნდა შემოწმდეს მეორადი ნედლეულის მოძრაობის მდგომარეობაც. ასეთი შემოწმებით შეიძლება გამოვლინდეს მრეწველობის ბაზების მიერ არსებული მეორადი ნედლეულის მიღების შესახებ ფიქტიური დოკუმენტების გამოწერის ფაქტი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დამამზადებლები თვითონვე უგზავნიან მყიდველებს ნედლეულს და უკავშირდებიან ნედლეულის მომხმარებელ ფაბრიკებსა და ბაზებს. აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკები ზოგჯერ გამოწერენ უსაქონლო დოკუმენტებს არარსებუ-

ლი მეორადი ნედლეულის ცალკეული დამამზადებლიდან მიღებაზე. ამით კი დიდი რაოდენობით საქვეანგარიშო თანხების დატაცება ხდება. ამგვარი შესაძლებლობის აღსაკვეთად რევიზორმა უნდა დაადგინოს მოცემული რიცხვისათვის მყიდველისათვის გასაგზავნად ნამდვილად არსებობდა თუ არა საკმარისი რაოდენობის მეორადი ნედლეული. თუ მყიდველის მიღების დოკუმენტებში მეორადი ნედლეულის დიდი რაოდენობაა ნაჩვენები, აუცილებელია დადგინდეს აღნიშნული რაოდენობის ნედლეული რეალურად არსებობდა თუ არა. რევიზორს ამის დადგენა შეუძლია ნედლეულის რაოდენობის თანმხლები დოკუმენტების სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულებებთან და სხვა ჩანაწერების მონაცემებთან შედარებით.

რევიზორმა უნდა დაადგინოს საერთო შესყიდვიდან ინდიკიდუალური შესყიდვის პროცენტული თანაფარდობა. როგორც წესი, ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან ანგარიშს უნდა ასწორებდეს დამზადების ორგანიზაციის სალარო ან დამამზადებელი პირები, რომლებსაც ანგარიშის გასწორებისათვის საქვეანგარიშო თანხები ეძლევათ. ყოველგვარი ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან ანგარიშს ასწორებდეს სალარო. ამიტომ რევიზორმა უნდა გამოარკვიოს მთლიანად სალაროს მეშვეობით ანგარიშსწორებაზე გადასვლას ხელს რა უშლის.

მეორადი ნედლეულის დამზადების ოპერაციების რევიზიის პროცესში უნდა დადგინდეს სამომხმარებლო კოოპერაციის მოქმედების სფეროს ფარგლებს გარეთ ნედლეულის შესყიდვის ფაქტები, რაც კანონით აკრძალულია.

სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვა-რეალიზაციის რევიზია

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის გარდა, სოფლის მეურნეობის ნამეტ პროდუქტებს შეისყიდიან კოლმეურნეებიდან ან სხვა მოქალაქეებიდან მათთან შეთანხმებულ ფასებში, ხოლო კოლმეურნეობებიდან ამ პროდუქციას იღებენ საკომისიო საწყისებზე, მათ სამოქმე-

დო ზონაში. ამ პროდუქციის რეალიზაცია ხდება მხოლოდ სპეციალიზებულ კოოპერაციულ სავაჭრო ქსელში — „კოოპვაჭრობა“.

სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტები და ნედლეული კოლმეურნეობებიდან და სხვა მოქალაქეებიდან შეისყიდება მათთან შეთანხმებულ ფასებში, რაც ითვალისწინებს ამ პროდუქტების როგორც რაიონის შიგნით, ისე მის გარეთ გაყიდვის შესაძლებლობას.

კოლმეურნეებიდან და სხვა მოქალაქეებიდან შესყიდული, ან სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების ერთიანი გასაყიდი ფასები მტკიცდება ერთი ქალაქის ან ერთი დასახლებული პუნქტისათვის შესაბამისი კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობის მიერ. ამ პროდუქციაზე ფასების დამტკიცებისას მხედველობაში მიიღება შესყიდვის ფასები, გადაზიდვის და რეალიზაციის ხარჯები, რენტაბელობის (მოგების) უზრუნველყოფა და რეალიზაციის ადგილზე საკოლმეურნეო ბაზრებზე შექმნილი ფასების კონიუნქტურა.

დასაშვებია, რომ მოსახლეობიდან შესყიდული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტები შესყიდვის ადგილებში შეიძლება გაიყიდოს თვითღირებულებაზე დაბალ ფასებში, თუ ფასთა შორის სხვაობა დაიფარება რაიონის გარეთ გადატვირთული პროდუქციის საერთო შემოსავლიდან.

კოლმეურნეობებისაგან ან სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებსაც კომიტენტებს უწოდებენ, სოფლის მეურნეობის ნამეტ (სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულების შესრულების შემდეგ) პროდუქტებს კოოპერაცია იღებს საკომისიო საწყისებზე მხარეთა ურთიერთშეთანხმებულ ფასებში, მათთვის თავდაპირველად პროდუქციის ღირებულების 75%-ის ანაზღაურებით. კოლმეურნეობებთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება საკომისიოდ მიღებული პროდუქციის მთლიანად რეალიზაციის შემდეგ.

საკომისიოდ მიღებულ პროდუქციაზე კოლმეურნეობებთან ფორმდება სათანადო ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რაც მოცემულია დებულებისა და ხელშეკრულების სანიმუშო ფორმაში.

რევიზიის დროს უნდა შეისწავლონ:

რამდენადაა დაცული პროდუქციის შესყიდვისა და რეალიზაციის წესები; ადგილი ხომ არ ჰქონდა მათი სამოქმედო რაიონის გა-

რეთ მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვას ნაღდი ანგარიშსწორებით; შეთანხმებულ ფასებში შესყიდული პროდუქცია ხომ არ იყიდებოდა იმ საერთო სავაჭრო ქსელში, სადაც იყიდება ფონდირებული საქონელი; მტკიცდებოდა თუ არა ფასები კოოპორგანიზაციის გამგეობის მიერ და რამდენად სწორად განისაზღვრა ან დამტკიცდა როგორც შესასყიდი, ისე გასასყიდი ფასები, იმ მომენტისათვის ერთვის თუ არა ბაზრის ადმინისტრაციის ან სპეციალური კომისიის ოფიციალური ცნობები საკოლმეურნეო ბაზარზე მოქმედი ფასების კონიუნქტურის შესახებ; უნდა დადგინდეს: ა) ბაზრებზე მოქმედი ფასების სისწორე, სარეგისტრაციო აღრიცხვის წიგნებში ჩანაწერებთან; ბ) ცალკეული მაღაზიების მუშაკებმა ხომ არ შეისყიდეს პროდუქტები მოსახლეობიდან და აქედან გამომდინარე, ერთი ქალაქის ან დასახლებული პუნქტის ფარგლებში პროდუქტები სხვადასხვა ფასებში ხომ არ იყიდებოდა. ასეთი ფაქტების გამოვლინებისას ფასები სასწრაფოდ უნდა მოიყვანონ სრულ შესაბამისობაში.

რევიზორმა უნდა შეამოწმოს კოლმეურნეობებიდან საკომისიოდ ჰიღებული ანგარიშსწორება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, რამდენად არის დაცული დებულებითა და ტიპური ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული პირობები და ამ ოპერაციებით მიღებული შედეგები.

ხშირად ბაზრის კონიუნქტურის ან სეზონურობის გამო გასაყიდი ფასები პერიოდულად გადაისინჯება, რაც იწვევს პროდუქტების ნაშთების გადაფასებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამოფასების მოსაწესრიგებლად მიზანშეწონილია ბაზრის კონიუნქტურის შეცვლასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების გასაყიდი ფასების შემცირებით მიღებული დანაკარგების დასაფარავად კოოპორგანიზაციებში შეიქმნას ჩამოფასების ფონდი.

ჩამოფასების ფონდის შესაქმნელად კოოპორგანიზაციებისა და კოოპვაჭრობებისათვის დაწესებულია დიფერენცირებული საზღვრითი ანარიცხები პროცენტებში შეთანხმებულ ფასებში შესყიდული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების ფაქტიური ბრუნვიდან. თუ აღნიშნული პროდუქტები ჩამოფასდა მოცემული საზღვრითი ანარიცხების ზევით, ეს თანხები უნდა აღსდგეს შესაბამისი ორგანიზაციის შემოსავალში საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრად.

ჩამოფასების ფონდი იქმნება საცალო ბრუნვის გეგმიდან დაწესებული ნორმის ფარგლებში ყოველი კვარტალის დასაწყისში, რომელიც აისახება მომავალი დროის ხარჯებში. ყოველთვიურად ჩამოიწერება კვარტალური ფონდის ერთი მესამედი მომავალი დროის ხარჯებიდან და ამით მცირდება რეალიზებული საქონლის შემოსავალი.

ანარიცხების კორექტირება ხდება ყოველი კვარტალის ბოლოს ისე, რომ სამი თვის ანარიცხების თანხის ჯამი შეესაბამებოდეს კვარტალის ფაქტიური ბრუნვის ანარიცხების თანხას. წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში, წლის განმავლობაში პროდუქტების რეალიზაციის ფაქტიური საცალო ბრუნვის მიხედვით ხდება ჩამოფასების ფონდის კორექტირება.

თუ ჩამოსაფასებელი თანხა აღემატება ჩამოფასების ფონდს, სხვაობა აისახება როგორც ფონდის გადახარჯვა და უნდა დაიფაროს ზორიგი ფონდის ანარიცხებიდან.

ჩამოფასების ფონდის გამოუყენებელი სახსრები წლის ბოლოს ჩამოიწერება შესაბამისი კოოპერაციული ორგანიზაციის სავაჭრო საქმიანობის შედეგების მიხედვით.

ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებით გამოწვეული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების ჩამოფასებას ახდენს კოოპორგანიზაციების გამგეობების მიერ სპეციალურად გამოყოფილი კომისიები, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვაჭრობის დარგში, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და საზოგადოებრივი წარმომადგენელი, ქალაქის კოოპვაჭრობაში კი — კოოპვაჭრობის წარმომადგენელი, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, კოოპვაჭრობისა და საზოგადოებრივი წარმომადგენელი.

ახლადდამტკიცებული ფასების დადგენილებას თან უნდა ერთვოდეს ბაზრის ადმინისტრაციის ცნობა ჩამოფასების მომენტისათვის შექმნილი ფასების შესახებ.

ჩამოფასების აქტები უნდა დამტკიცდეს შესაბამისი კოოპორგანიზაციების გამგეობების მიერ, ხოლო ქალაქის იმ კოოპვაჭრობებში, რომლებიც რესპუბლიკურ და საოლქო დაქვემდებარებაშია — შესაბამისი სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის მიერ.

რევიზიის პროცესში უნდა შემოწმდეს რამდენადაა დაცული ყველა აღნიშნული პირობა და გადაფასების აქტები, განსაკუთრე-

ბული ყურადღება უნდა მიექცეს ფასეულობათა ნაშთების რეალობის საკითხს, საჭიროა დადგინდეს ამ ფასეულობათა ნაშთების შესაძლებლობა.

რევიზიის პროცესში ფასების დარღვევის ფაქტების გამოვლინებისას ფასწარმოქმნის შედეგების შესაჯამებლად რევიზორებმა უნდა შეადგინონ ცალკე ცნობა შემდეგი ფორმით:

რიგითი №	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა და ნედლეულის დასახელება ხარისხობრივი მაჩვენებლის აღნიშვნით	შესყიდულია სარევიზიო პერიოდში			დამტკიცებული შესაბამისი ფასები	დამტკიცებული შესყიდული ფასებისა ან საბუთების, ან ფასების დამტკიცებ
		რაოდენობა	ფასი	თანხა		
1	2	3	4	5	6	7

სხვაობა ფასებში (მე-4 და მე-6 გრაფებს შორის	ზედმეტად გადახდილი თუ დაკლებული თანხა	შენიშვნა
8	9	10

ამ ცნობის საფუძველზე შესაბამისი ჩანაწერები შეაქვთ სარევიზიო აქტში. ცნობაში ჩაიწერება მხოლოდ იმ სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ნედლეული, რომლებზეც დაშვებულია შესასყიდი ფასების დარღვევა.

სერიოზული ხასიათის ნაკლოვანება და ზოგ შემთხვევაში ბოროტმოქმედებაც ვლინდება კიტრის, პამიდვრის, ჩირის, თხილის და ვაშლის შესყიდვისას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროდუქტებზე ანგარიშსწორება შესაძლებელია მთლიანად სალაროს მეშვეობით მოხდეს, ზოგ შემთხვევაში ანგარიშსწორებას ახორციელებენ ნაღდი ფულით. სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ საკოლმეურნეო

ბაზრებზე ამ პროდუქციის ფასი მნიშვნელოვნად მერყეობს რაიონის შიგნით მყიდველთა მოთხოვნის მიხედვით და რესპუბლიკის რაიონებს შორის ფასებში დიდი სხვაობაა, ზოგიერთი დამამზადებელი პროდუქციას იაფად ყიდულობს თავისი რაიონის და ზოგჯერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც და ამ შესყიდვებს აფორმებს გამოგონილ პირებზე გამოწერილი ქვითრებით, ფასების გადიდების ხარჯზე მიღებულ დიდ თანხებს კი ითვისებს.

ამა თუ იმ პროდუქტის შესყიდვის ოპერაციების შემოწმებისას რევიზორებმა გულმოდგინედ უნდა შეისწავლონ რაიონში ამ პროდუქტების შესაძლებელი წარმოება, მიიღონ მონაცემები სტატისტიკური სამმართველოდან და საკოლმეურნეო ბაზრების დირექციებისაგან არსებულ ფასებზე.

მარცვალია, საქართველოში ხილს, კარტოფილს და ბოსტნეულს ძირითადად „საქკონსერვხილბოსტანის" სახელმწიფო კომიტეტი ამზადებს, მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციის დამზადების კანტორებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით ყიდულობენ ამ პროდუქციას კოოპვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და საკუთარი სამრეწველო საწარმოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე გაცვლითი ოპერაციებისათვის და რესპუბლიკის გარეთ გასატანად. აქედან გამომდინარე, დამზადების კანტორებში უნდა შემოწმდეს ხილის, კარტოფილის და ბოსტნეულის დამზადების ოპერაციებიც.

ხილის დამზადების ოპერაციების რევიზია

ქალაქის მოსახლეობაზე მიყიდული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ხილს, რომლის შესყიდვა-რეალიზაციის პერიოდში უნდა შემოწმდეს არა მარტო დამზადებული და შესყიდული ხილის შესაბამისობა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არამედ მყიდველ ორგანიზაციებში გადაგზავნილი ხილის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შესაბამისობა როგორც მიწოდების განსაკუთრებულ პირობებთან, ისე მყიდველ ორგანიზაციებზე გაფორმებულ ხელშეკრულებებთან.

მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის პროდუქტების მისაწოდებლად დამზადების კანტორებმა უნდა მოახდინონ მხოლოდ სტანდარტული ხილის შესყიდვა-რეალიზაცია, რადგან სპეციალური მი-

თითების გარეშე არ შეიძლება დამზადდეს დაბალი ხარისხის და არასტანდარტული პროდუქტები, და თუ ასეთი დამზადდა, ისინი უნდა გადაეცეს ძირითადად გადამმუშავებელ საწარმოებს.

მყიდველ ორგანიზაციებს უნდა გაეგზავნოთ მხოლოდ სტანდარტულ და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისი ხილ-ბოსტნეული. არასტანდარტული ხილი დამზადდება და გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მყიდველსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ასეთი სახის პროდუქტების მიწოდება. გარდა ამისა, ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამო და სტანდარტით გაუთვალისწინებელი ხილის ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან გადახრა შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკური ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

ასეთ პირობებში გადაგზავნილ ხილზე მყიდველი ორგანიზაციები ღირებულებას გაანაღდებენ იმ დათმობის გამოკლებით, რაც გათვალისწინებულია მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამამზადებელი ორგანიზაციები, რომლებიც უსტანდარტო ხილს აგზავნიან, იხდიან ჯარიმებს, რომელიც უნდა აანაზღაურონ კონკრეტულად დამნაშავე პირებმა.

კატეგორიულად აკრძალულია ზემდგომი ორგანიზაციიდან მიღებული განრიგების გარეშე მყიდველი ორგანიზაციებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაგზავნა, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ზოგიერთ დამზადების კანტორაში. ასევე არ დაიშვება განრიგის ზევით პროდუქტების გადაგზავნა, ან განრიგში გათვალისწინებული პროდუქტების სახეობის შეცვლა და ვადაგასული განრიგებით საქონლის გაცემა.

ხილის და სხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტები არ მიიღება წინასწარი დახარისხებისა და სტანდარტიზაციის გარეშე. თუ დადგინდება დაუხარისხებელი ხილის მიღება და წარმოიშობა მასთან დაკავშირებული დანაკარგები, ხარჯებს გადაიხდის კონკრეტულად დამნაშავე პირი.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მყიდველ ორგანიზაციებში გადაგზავნილი პროდუქტების ღირებულების განაღდებას, წარმოშობილი სხვაობების შემთხვევაში დამნაშავე პირებიდან და ორგანიზაციებიდან მის ანაზღაურებას.

მიწოდების განსაკუთრებული პირობების თანახმად, ხილზე, ბოსტნეულსა და კარტოფილზე დასაშვებია შემდეგი რაოდენობრივი გადახრა: ადრეულ ხილზე — 5%-მდე, საგვიანოზე — 10%-მდე, მიწოდების პროდუქციის თვიურ მოცულობასთან შეფარდებით.

მყიდველმა ორგანიზაციამ პროდუქცია უნდა მიიღოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. თუ დანიშნულების პუნქტში მიღებულ პროდუქციაში დადგინდა სერთიფიკატში მოცემულ ხარისხთან შეუსაბამობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობით უნდა შედგეს სათანადო აქტი. მისი არყოფნის შემთხვევაში ხარისხის დადგენაში მონაწილეობს სასაქონლო საექსპერტო ბიუროს წარმომადგენელი ან სხვა ადგილობრივი კოოპერაციული ორგანიზაციის კომპეტენტური პირი, ხოლო მოსკოვისა და ლენინგრადის სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში გადატვირთული პროდუქციის მიღებისას ხარისხობრივ მდგომარეობას ამოწმებს „ცენტროსოიუზის“ ხილ-ბოსტნეულის ინსპექციის წარმომადგენელიც.

თუ ერთი და იგივე ქალაქისათვის პროდუქციის მიწოდების ღროს მიმწოდებლის წარმომადგენელი მონაწილეობს, მიმწოდებლის გამოძახებიდან 2 საათის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხარისხობრივი მდგომარეობა მოწმდება ზემოაღნიშნული წესის მიხედვით.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, თუ როგორ არის დაცული მიწოდების განსაკუთრებული პირობებით დადგენილი ვადები. სატრანსპორტო ორგანიზაციებიდან ტვირთის გამოსყიდვის შემდეგ უნდა შემოწმდეს ხარისხობრივი მდგომარეობაც.

მყიდველმა ორგანიზაციამ მიღებული პროდუქციის რაოდენობრივი შემოწმება უნდა მოახდინოს იმავე ვადებში, რაც გათვალისწინებულია ხარისხობრივი მდგომარეობის შემოწმებისათვის. თუ პროდუქცია ნიშანდებულ ტარაშია, ფაქტიური წონის დასადგენად უნდა შემოწმდეს რაოდენობათა არანაკლები 5%, რომელიც უნდა აიწონოს კომისიის მიერ და ერთნაირი სახის ტარის პირობებში მიღებული წონა გავრცელდეს დანარჩენ რაოდენობაზეც.

თუ დადგინდება მყიდველებზე უხარისხო პროდუქციის გადაგზავნა, მაშინ მიმწოდებელი მყიდველს გადაუხდის წუნდებული პროდუქციის ღირებულების 20%-ს, რაც დამნაშავე პირებმა უნდა აანაზღაურონ.

გადაგზავნილ ხილში გამოვლინებული დანაკლისის შემთხვევა-

ში უნდა განვასხვაოთ რაოდენობრივი და ფასთა სხვაობითი დანაკლისები. რაოდენობრივი დანაკლისი შეიძლება წარმოიშვას: გზაში ბუნებრივი დანაკარგების პირობების, ტარის წონის მომატების, პროდუქციის არასრული რაოდენობით გადაგზავნის, ანგარიშების არასწორად შედგენის შედეგად. ლპობით გამოწვეული სხვაობების ღროს უნდა დადგინდეს მისი გამპირობებელი მიზეზები, რისთვისაც, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს თუ როგორ არის გაფორმებული გადაგზავნის მომენტში ხილის ხარისხობრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი საბუთები, დაცულია თუ არა ტრანსპორტირების ნორმალური პირობები, ხომ არ ჰქონდა ადგილი გზაში ვაგონების ზედმეტად დაყოვნებას და რა საბუთებია შედგენილი მყიდველი ორგანიზაციის მიერ რკინიგზის ტვირთის გამოსყიდვაზე. უნდა განისაზღვროს ფასთა სხვაობით წარმოშობილი დანაკლისი, რაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც ხილის ხარისხის დაქვეითებამ, ისე არასწორმა ფასებმა.

ყველა ზემოაღნიშნული დანაკლისი და სხვაობა სათანადოდ უნდა გაანგარიშდეს, დაზუსტდეს დანაკლისების გამომწვევი კონკრეტული ფაქტორები და სათანადოდ გაანალიზდეს.

კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების ოპერაციების რევიზია

კარტოფილისა და ბოსტნეულის ინვენტარიზაციის დაწყებისას საინვენტარიზაციო კომისიამ უნდა შეამოწმოს მათი შენახვა. კერძოდ, ტემპერატურის რეჟიმის დაცვა, საცავში ჰაერის სინოტივე და ა. შ. ამგვარი შემოწმება აუცილებელია, რადგან ზედმეტი სინოტივისაგან კარტოფილი და ბოსტნეული ლპება, ხოლო სინოტივის მეტისმეტი შემცირებით აღნიშნული პროდუქტები ზომაზე მეტად იკლებს წონაში.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოწმდეს ხანგრძლივი დროით შესანახი პროდუქტები. მაგალითად, შესანახი კარტოფილის ყველა ტუბერი საღი უნდა იყოს.

ხანგრძლივად შენახული კარტოფილის ინვენტარიზაციის თავისებურება ისაა, რომ მისი რაოდენობა განისაზღვრება საკონტროლო აწონვის მეთოდით. მისი მაჩვენებლები უნდა ედარებოდეს კარტოფილის შენახვის დროს შედგენილ აქტებს, ინვენტარიზაციის შემდეგ კი უნდა გაფორმდეს სპეციალური აქტით. საინვენტარიზა-

ციო კომისიამ პროდუქციის ფაქტიური ნაშთების რაოდენობასთან ერთად უნდა შეამოწმოს მისი ხარისხიც. პროდუქციის რაოდენობა დადგინდება მისი სუფთა წონის (ნეტო) განსაზღვრისა და შესანახი ადგილების გადათვლის გზით. მიღებული მაჩვენებლები უნდა გამრავლდეს შესანახი ადგილების საერთო რაოდენობაზე. თუ პროდუქცია მთლიანად აიწონა, მაშინ საერთო წონას (ბრუტო) უნდა გამოაკლდეს ტარის წონა და მიიღება ნეტო წონა. თუ პროდუქციის შესანახი ტარა არასტანდარტულია, მაშინ აუცილებელია თითოეული მათგანის წონის დადგენაც.

რამდენადაც სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტები, როგორიცაა პამიდორი, კიტრი და სხვა, შედარებით მალე ფუჭდება, იმდენად მიზანშეუწონელია მათი ერთი სათავსოდან (ყუთიდან) მეორეში გადატანა; ამიტომ ინვენტარიზაციის ჩატარებისას პროდუქტების რაოდენობა შეიძლება დადგინდეს სათავსოს მოცულობის განსაზღვრის გზით. ასე, მაგალითად, გაანგარიშების მიხედვით ერთი კუბური მეტრის მოცულობის სათავსებში ეტევა 670—700 კგ კარტოფილი, 390—430 კგ კომბოსტო, 600 კგ ჭარხალი, 570 კგ სტაფილო, 540—590 კგ ხახვი.

ამ პროდუქტებისათვის ზემოთ აღნიშნული წონა შესაძლებელია შეიცვალოს კლიმატური და ნიადაგური პირობების თავისებურებებთან დაკავშირებით.

კარტოფილისა და ბოსტნეულის რაოდენობის განსაზღვრისას შეცდომების თავიდან ასაცილებლად უნდა შემოწმდეს ერთი კუბური მეტრი მოცულობის ყუთში რამდენი კილოგრამი პროდუქტი ეტევა.

საინვენტარიზაციო კომისიას უნდა ახსოვდეს, რომ ბოსტნეულის და კარტოფილის საცავების გახსნა ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ტემპერატურის შეცვლის გამო პროდუქტის გაყინვა, გაფუჭება და ა. შ., დადგენილია, რომ თუ ჰაერის ტემპერატურა 2°-ზე დაბალია, საცავები არ უნდა გაიხსნას.

პროდუქციის რაოდენობის შემოწმების შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხის შემოწმებას. ხარისხის შემოწმებით ვლინდება პროდუქტის ხარისხის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან. ამითვე მოწმდება დახარისხების სისწორე, პროდუქციის შეფუთვის, გაწმენდის მდგომარეობა და ა. შ.

კარტოფილის ტუბერები შემოწმებისას აუცილებლად უნდა

იყოს მთელი, მშრალი, სუფთა და ა. შ. დამპალ, გაყინულ და დაავადებულ კარტოფილზე ცალკე უნდა შედგეს აქტი. ასევე, კომბოსტოს თავებიც გარეგნულად ახალი, მთლიანად ფორმირებული და სუფთა უნდა იყოს. იგივე მოთხოვნები წაეყენება პამიდორს, კიტრს, სტაფილოს, ხახვს და ა. შ.

თუ აღნიშნული პროდუქტების ხარისხის შემოწმებისას აღმოჩნდა მოქმედი ნორმებიდან გადახრა, მაშინ აუცილებელია წონიდან ჩამოკლება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინვენტარიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს სტანდარტიდან გადახრებისათვის დათმობების სწორად გამოყენებას.

კარტოფილისა და ბოსტნეულის ხარისხი განისაზღვრება საშუალო სინჯების მეშვეობით, რაც აიღება თითოეული შესანახი ადგილიდან. თუ საცავში (სტელაჟი) 16 ტონამდე კარტოფილია, სინჯი აიღება თითოეული 2 ტონიდან, ხოლო თუ პროდუქციის რაოდენობა საცავში 16 ტონაზე მეტია, მაშინ ყოველ 16 ტონაზე 3 სინჯი უნდა იქნეს აღებული. სინჯები ერთმანეთში უნდა აირიოს და ამის შემდეგ აიღება საშუალო სინჯი, რომლის წონა 10 კგ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საშუალო სინჯის ანალიზი წარმოებს მოქმედი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად (სინჯის მიხედვით განსაზღვრავენ თავების მიწიანობის პროცენტსაც, მიღებულ შედეგებს ავრცელებენ კარტოფილის საერთო ნაშთზე).

ინვენტარიზაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს მავნებლების მიერ დაზიანებული კარტოფილის ტუბერების რაოდენობის პროცენტული თანაფარდობის დადგენას. სხვადასხვა ავადმყოფობით დაზიანებული კარტოფილის ტუბერების რაოდენობის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია დადგინდეს კარტოფილის სინჯში დამპალი თავების წონის პროცენტი. შემდეგ დარჩენილი კარტოფილის თავების საერთო წონის 15 პროცენტი სიგრძივად უნდა დაიჭრას. თუ დაჭრილ თავებში არ აღმოჩნდა რკინისფერი ლაქები, მაშინ დანარჩენი თავების გაჭრა აუცილებელი არაა.

კარტოფილის შესყიდვის ფასებიდან ხარისხობრივი გადახრის შემთხვევაში დათმობა უნდა მოხდეს 25%-ის ფარგლებში, ხოლო მეტისმეტი გაუჭუჭიანების გამო (მიწის დიდი რაოდენობა) დამატებით, როგორც უკვე აღინიშნა, საჭიროა 1%-ის დათმობა. ბოსტნეულის ხარისხის შესამოწმებლად ყოველი 100 ყუთიდან უნდა აიღონ 3 სინჯი. თუ პროდუქტი 100-ზე მეტ ყუთშია მოთავსებული,

მაშინ დამატებით ყოველ 50-ზე იღებენ თითო სინჯს. აღებული სინჯები მთლიანად უნდა გაანალიზდეს.

საერთოდ კარტოფილი და ბოსტნეული შეისყიდება დამტკიცებული ფასების მიხედვით. ამასთან, დადგენილია ფასნამატისა და დათმობის ნორმები გარკვეულ ფარგლებში. თუ სეზონის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობები მაინც ყიდულობენ პროდუქტს, თითოეული ტონისათვის დადგენილია შესყიდვის ფასთან ერთად დამატებით გარკვეული ანაზღაურება.

რევიზიის დასაწყისში უნდა შემოწმდეს პროდუქტების შემოსავალი. დავუშვათ, საწყობში მიღებულია 5000 კგ კარტოფილი, რომლის ტუბერების მიწიანობა 3%-ს შეადგენს (სტანდარტით გათვალისწინებულია 1%). მოქმედი სტანდარტის გამოყენებით რევიზორმა უნდა განსაზღვროს ფაქტიური გადახრა. ჩვენს მაგალითში, დათმობის მხედველობაში მიღებით, კარტოფილის წონა განისაზღვრება 4900 კგ-ით (5000 . 98 : 100), ფიზიკური წონა კი 5000 კგ-ია. იგი ამ წონით უნდა შევიტანოთ შემოსავალში, ამავე წონით უნდა გავატაროთ რაოდენობრივი და რაოდენობრივ-ჯამობრივი აღრიცხვის წიგნებში. ამ წონისათვის პასუხისმგებელნი არიან დამზადების ორგანიზაციის მუშაკები. თუმცა ზოგიერთ ორგანიზაციას პროდუქციის შემოსავალში შეაქვს ფიზიკურის ნაცვლად ჩასათვლელი წონა, რითაც დამამზადებლებს მიწიანობის პროცენტის ხელოვნურად გადიდების საშუალებით აღურიცხავი ზედმეტი ნაშთების წარმოქმნის პირობები ექმნებათ. ამიტომ რევიზორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ პროდუქციის შემოსავალში შეტანის სისწორეს. ამის დასადგენად რევიზორი ერთმანეთს უდარებს მისაღებ ქვითრებსა და საწყობის რაოდენობრივ, ხოლო ბუხჰალტერიის რაოდენობრივ-ჯამობრივი აღრიცხვის მონაცემებს. მიღებული პროდუქციის ღირებულების სისწორე შეიძლება დადგინდეს შესყიდვის ფასის პროდუქციის წონაზე გადამრავლებით, ოღონდ მას გამოაკლდება ჩასათვლელი წონა.

სარევიზიო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა კარტოფილის ტუბერების მიწიანობის პროცენტის ხელოვნურად გადიდებით მიღებულ ზედმეტ ნაშთებს ფარავენ მოგონილ პირებზე შესყიდვის ფიქტიური ქვითრების გამოწერით. ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ინდივიდუალური ჩამბარებლების ყალბი ხელმოწერით ქვითრების გამოწერას.

ზოგჯერ დამამზადებლები საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან მიღებულ კარტოფილზე ხელოვნურად ზრდიან ტუბერების მიწიანობის პროცენტს, ხოლო ინდივიდუალური ჩამბარებლებიდან მიღებული პროდუქციის მიწიანობის პროცენტს ამცირებენ. რევიზორმა უნდა შეამოწმოს საზოგადოებრივი მეურნეობებიდან და ინდივიდუალური ჩამბარებლებიდან პროდუქციის მიღებისას დათმობის დონე. ამით შეიძლება დადგინდეს მიღების წყაროების მიხედვით დათმობის დონის სისწორე.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ხშირად აღურიცხავი კარტოფილის ზედმეტ ნაშთებს ფარავენ პროდუქციის დოკუმენტების ვარეშე გასაღების მეშვეობითაც. რევიზორმა უნდა შეამოწმოს პროდუქციის შემოსავალში შეტანის სისწორე და დაადგინოს ხომ არა ჰქონდა ადგილი შემოსავალში გაუტარებელი პროდუქციის რეალიზაციის ფაქტებს.

კარტოფილისა და ბოსტნეულის აღურიცხავი ზედმეტი ნაშთები ზოგჯერ წარმოიქმნება ნარჩენების მიღების გზითაც. კერძოდ, შემსყიდველები ნარჩენებს იღებენ, ოღონდ მას შემოსავალში არ უჩვენებენ. სახელმწიფო სტანდარტებით ნარჩენების მიღება აკრძალულია, ეს ნარჩენები ჩამბარებლებს უნდა დაუბრუნდეს. რევიზორი ვალდებულია შეამოწმოს ნარჩენების უკან დაბრუნების ფაქტები, რაც უნდა აისახოს მიღების დოკუმენტის მეორე მხარეზე.

შემოსავალში აღების დოკუმენტების შემოწმებასთან ერთად რევიზორმა უნდა მოახდინოს შესყიდვის ქვითრების შემხვედრი შემოწმებაც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა დოკუმენტები საეჭვოა. შესყიდვის ქვითრების მონაცემები შერჩევითი გზით უნდა შეუდარდეს ცალკეული დამამზადებლის მიერ შედგენილი მისაღები აქტების მონაცემებს.

პირად ბარათებში, რომელიც იხსნება კარტოფილის რაოდენობრივ-ჯამობრივი აღრიცხვისათვის, შეტანილია პროდუქციის შემოსავალი, გასავალი და ნაშთი შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: კარტოფილის ფაქტიური წონა, ტუბერების მიწიანობის პროცენტი, ნორმის ზევით მიწიანობა, ღირებულება. რევიზორმა უნდა შეამოწმოს კარტოფილის შემოსავალში სწორად განისაზღვრა თუ არა ტუბერების მიწიანობა. ამასთან დასაზუსტებელია კარტოფილის მყიდველებზე გაგზავნისას განისაზღვრა თუ არა მიწიანობის პროცენტის შესაბამისად პროდუქციის ფაქტიური წონა.

ხშირად რევიზორები არ ამოწმებენ პროდუქციის მიღებისა და

რეალიზაციის დროს მისი ხარისხის განსაზღვრის სისწორეს. პროდუქციის ხარისხიანობიდან გადახრა მეღაენდება პროდუქციის მყიდველებზე ჩაბარების დროს. როგორც წესი, ამ შემთხვევაში დამნაშავე არ ჩანს. დამამზადებელი ორგანიზაციები სხვაობებს ჩამოწერენ როგორც დაუგეგმავ დანაკარგს, რაც არაფრით არაა გამართლებული.

დოკუმენტური რევიზიის ხარისხიანად ჩატარებისათვის აუცილებელია კოლმეურნეობებისაგან მიღებული პროდუქციის რაოდენობა ხარისხების მიხედვით შედარდეს მყიდველების მიერ მიღებულს. იგი შეიძლება აღირიცხოს სპეციალურ უწყისში, სადაც ნაჩვენებია დამამზადებლებმა რა რაოდენობის სტანდარტული კარტოფილი მიიღეს, რამდენი გაეგზავნა მყიდველებს და საბოლოო ნაშთი (მეტი ან ნაკლები). ასეთსავე უწყისში აისახება არასტანდარტული კარტოფილის მიღება და გასაყიდად გაგზავნა. ამის საფუძველზე რევიზორს შეუძლია (ხარისხების მიხედვით) კარტოფილის მოძრაობას სრული ანალიზი გაუკეთოს.

კარტოფილი და ბოსტნეული დამამზადებელი ორგანიზაციების საწყობებიდან და ბაზებიდან იგზავნება ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული განკარგულების საფუძველზე. ამასთან, ზოგჯერ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სავაჭრო ორგანიზაციებს პროდუქტებს უშუალოდ აბარებენ.

რევიზორებმა უნდა შეამოწმონ მყიდველებისათვის გაგზავნილი პროდუქცია შეესაბამება თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს. ისინი ამოწმებენ დათმობებს მყიდველებისათვის გაგზავნილ არასტანდარტულ პროდუქციაზეც.

უკანასკნელ წლებში დაინერგა მყიდველებთან კარტოფილის კონტეინერებით გაგზავნის პრაქტიკა. მოსავლის აღების დროს კონტეინერები მანქანებით შეაქვთ კარტოფილის ნათესებში, ტვირთავენ და სადგურზე გზავნიან. ეს ხელს უწყობს კარტოფილის ხარისხის შენარჩუნებას. თუმცა ზოგჯერ კონტეინერები ადგილზე დროულად არ იგზავნება და არ იტვირთება. რევიზორმა სწორედ ეს უნდა შეამოწმოს. თუ კონტეინერით გაგზავნისას პროდუქციის ხარისხი დაეცა, მაშინ დასადგენია მისი მიზეზები და დამნაშავე პირები. რევიზიის პროცესში უნდა შემოწმდეს ხომ არ ჰქონდა ადგილი განკარგულებაში ნაჩვენებ რაოდენობაზე უფრო მეტი პროდუქ-

ციის გაგზავნას, ან ერთი პროდუქციის მეორით შეცვლის შემთხვევებს.

კარტოფილისა და ბოსტნეულის გაგზავნის დროს დამზადების ორგანიზაციების საწყობები და პუნქტები გამოწერენ გასავლის ზედდებულს, რომელიც თან ახლავს პროდუქციას. დამზადების კანტორის საწყობში მიღებული კარტოფილი და ბოსტნეული ფორმდება მიღების აქტით. რევიზორი ვალდებულია შეამოწმოს დოკუმენტების გარეშე ხომ არ მიიღეს პროდუქცია. ბოსტნეულისა და კარტოფილის რეალიზაციის ოპერაციების შემოწმებისას ერთმანეთს უნდა ედარებოდეს საწყობის გამგეების მიერ შედგენილი გაგზავნის და მყიდველების მიერ პროდუქციის მიღების დოკუმენტები. უფრო სრულყოფილად შემოწმებისათვის შეიძლება თითოეული გაგზავნის მონაცემის შედარებაც. ამით შესაძლებელი იქნება გამოვა�ინოთ მთელი სეზონის მიხედვით გაგზავნისა და მიღების დოკუმენტების შესაბამისობა.

მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვისა და გასაღების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკომისიოდ მიღებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზიის დროს რევიზორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ოპერაციების როგორც წარმოება, ისე აღრიცხვა განსხვავდება როგორც სახელმწიფო გეგმით შესყიდული პროდუქტების, ისე სახელმწიფო ვაჭრობაში საკომისიო ოპერაციების აღრიცხვისაგან. ყოველივე ეს იწვევს ანგარიშსწორების სხვადასხვაობას. ამიტომ ამ ოპერაციების შემოწმებისას, რევიზორმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელოს „ცენტროსოიუზის" გამგეობის მითითებებით.

მიმოქცევის ხარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის რევიზია

სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ნედლეულის დამზადება-რეალიზაციის ოპერაციების რევიზიის პროცესში რევიზორები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებისა და რეალიზაციის ოპერაციების კანონიერებაზე, ხოლო მიმოქცევის ხარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგებს ნაკლებად ამოწმებენ. ზოგჯერ ისინი აქტში მიმოქცევის ხარჯების შესა-

ხებ საბალანსო მონაცემებიდან აღებული ცხრილების მოყვანით კმაყოფილდებიან და ვერ ავლენენ რეალიზაციის პროცესში არამწარმოებლური დანაკარგების მიზეზებს, ყოველთვის არ აანალიზებენ დამზადების ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ვერ ავლენენ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებს, არ ამოწმებენ სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შინაგანი რეზერვების გამოყენების მდგომარეობას, რომლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელია რევიზიის წარმატებით ჩატარება.

დოკუმენტური რევიზიის სრულყოფილად ჩატარებისათვის აუცილებელია რევიზორებმა გააანალიზონ დამზადების ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის შედეგები ისე, რომ მის საფუძველზე დამზადების ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის შეიძლებოდეს პრაქტიკული რეკომენდაციების მიცემა.

სამეურნეო საქმიანობის რევიზია უნდა დაიწყოს საშედეგო და მარეგულირებელი ანგარიშების შემოწმებით, გულდასმით უნდა გაისინჯოს ჩანაწერები ამ ანგარიშების მიხედვით და გამამართლებელი საბუთები, ვინაიდან არასწორი ჩანაწერების გზით შეიძლება მიიჩქმალოს უყაირათო ხარჯები, ზარალი და ბოროტმოქმედება. რევიზიამ უნდა შეამოწმოს ადმინისტრაციულ-სამმართველოს, მიმოქცევისა და წარმოების ხარჯები, როგორ იყენებენ და ავლენენ ისინი რენტაბელობის ამაღლების რეზერვებს.

საქონლისა და ტარის დანაკარგები აისახება დამზადების ორგანიზაციის შედეგების ანგარიშში, ამიტომ რევიზორმა კარგად უნდა შეამოწმოს საქონლის დანაკარგების ჩამოწერის სისწორე და გამოარკვიოს მიყენებული ზარალის მიზეზები. დოკუმენტების კანონიერების შემოწმება, მათი ყურადღებით შედარება და შესწავლა საშუალებას იძლევა დავადგინოთ ჩამოწერის ნამდვილი მიზეზები და კონკრეტული დამნაშავენი.

ხშირად პროდუქციის გაფუჭების ფაქტებს ფარავენ პირუტყვის გამოსაკვებად სხვა ორგანიზაციებზე მისი დაბალ ფასებში რეალიზაციით. ამიტომ რევიზორმა უნდა შეამოწმოს ასეთი ოპერაციების კანონიერება, საქონელთა დანაკარგების სააღრიცხვო მასალებში ასახვის სისწორე, ნაკლოვანებათა მიზეზები. მაგალითად, უშუალოდ კოლმეურნეობებიდან სამრეწველო საწარმოებში კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების ტრანზიტით გაგზავნას მთელი რიგი უპირატესობა აქვს. კერძოდ, ამით მცირდება საქონლის დანაკარგები. დამზადების ზოგიერთ ორგანიზაციაში ნორმის

ზევით დანაკარგებისა და პროდუქციის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული რეკლამაციის ხარჯების ჩამოწერაზე მოდის მთელი საოპერაციო ხარჯების 30—40 პროცენტი. იგი გამოწვეულია დამზადებისათვის განკუთვნილი საქონლის შენახვისა და გაგზავნის წესების დარღვევით. ამიტომ რევიზორმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტრანზიტით გაგზავნის გაფართოების საკითხი ღრმად უნდა შეისწავლოს და მომავალში საქონელი ამ წესით გადაგზავნოს.

საფუძვლიანად უნდა გაანალიზდეს პროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები (დამზადების ზოგიერთ ორგანიზაციაში თავის დროზე არ ავლენენ მიმოქცევის ხარჯების გადახარჯვის მიზეზებსა და არარეალურ დებიტორულ დავალიანებებს). რევიზორმა უნდა შეამოწმოს პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული არამწარმოებლური ხარჯები, გულდასმით უნდა გასინჯოს ყველა პირველადი დოკუმენტი, რათა გაარკვიოს გაწეული ხარჯების კანონიერება.

რევიზიის პროცესში აუცილებელია საქონლის გაგზავნაზე გაწეული დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯების ანალიზიც. ამ სახის ხარჯების შემცირება საერთოდ დამზადების მიმოქცევის ხარჯების შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვია. რევიზორმა საანგარიშო მონაცემებზე დაყრდნობით, ფაქტიური და გეგმიანი ხარჯების შედარებით უნდა გამოარკვიოს რეალური მდგომარეობა და დასახოს ამ ხარჯების შემცირების გზები.

ხშირად დამზადების ორგანიზაციები დიდ ჯარიმებს იხდიან ვაგონების მოცდენისა და მყიდველებისათვის ტვირთის გაგზავნის დოკუმენტების არადროულად გაგზავნისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის. ამიტომ უნდა შემოწმდეს აღნიშნული სახის დანაკარგები და გაირკვეს ჯარიმების გამომწვევი მიზეზები. ამასთან, უნდა დადგინდეს ადგილი ხომ არ აქვს ცალკეული პირის მიზეზით ტრანსპორტის მოცდენისათვის ჯარიმების გადახდის შემთხვევებს. მიმოქცევის ხარჯებში დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული მუხლის მიხედვით გაწეული ხარჯების შემოწმებას. რევიზიის დროს მიმოქცევის ხარჯების შესახებ საანგარიშგებო მონაცემები უნდა ედარებოდეს გეგმიან და გასული წლის ფაქტიურ მაჩვენებლებს, რითაც შესაძლებელი ხდება უფრო ღრმად დასაბუთდეს როგორც მიმოქცევის ხარჯების მაჩვენებლები

მუხლების მიხედვით, ისე ამა თუ იმ სახის ხარჯებზე თითოეული ფაქტორის გავლენაც.

როგორც ცნობილია, დამზადების ორგანიზაციების გეგმიანი შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებული მთლიანი შემოსავლიდან ყალიბდება. მთლიანი შემოსავალი კი მიიღება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებისას მყიდველთა საგადასახადო მოთხოვნის ანგარიშში ჩართული ფასნამატისა და დამატებითი გადასახადის საფუძველზე. მასში შედის აგრეთვე ის შემოსავალი, რასაც მყიდველები უხდიან დამზადების ორგანიზაციებს ზოგიერთი ხარჯისათვის.

აღრიცხვის მოქმედი სისტემით სამომხმარებლო კოოპერაციაში დამზადების საქმიანობის შედეგები აისახება არა მყიდველების მიერ ანგარიშის გასწორებისას, არამედ პროდუქციის გაგზავნის მომენტში. ამ დროს ხშირად ადგილი აქვს ზოგიერთ გაუგებრობას, მაგალითად, შეიძლება სამეურნეო შედეგები თავის დროზე და სწორად არ აისახოს, ზოგჯერ მყიდველების მიერ პროდუქციის მიღებისას შეიძლება გამოვლინდეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან ფაქტიური გადახრა. ასეთ შემთხვევაში მყიდველები სამართლიანად ამბობენ უარს ანგარიშის განაღდებაზე, ან სამართლიან პრეტენზიას უყენებენ დამზადების ორგანიზაციებს. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს. ამის გამო რევიზორი ვალდებულია შეამოწმოს პროდუქტებისა და ნედლეულის რეალიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვის სისწორე.

დამზადების ზოგიერთ ორგანიზაციაში სწორად არ საზღვრავენ საქონლის ნაშთებზე, ტარასა და ტარის მასალებზე მიმოქცევის ხარჯებს, რადგან მისი გაანგარიშებისას ნაშთებისა და საქონლის ხარჯვის თანხა შეაქვთ ტარის ღირებულებაში. ზოგჯერ მიმოქცევის ხარჯების გაანგარიშებისას არ ითვალისწინებენ დამზადების საქონელთა ერთგვაროვნებას, რაც იწვევს თვითღირებულებისა და საფინანსო შედეგების მაჩვენებელთა დამახინჯებას. რევიზიის პროცესში ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დამზადების ორგანიზაციების საფინანსო მდგომარეობის შემოწმებისას ბალანსის მუხლები დეტალურად უნდა გაანალიზდეს, ამით შესაძლებელი ხდება საბრუნავ საშუალებათა გამოყენების, მათი ნაკლებობის ან მეტობის მაჩვენებელთა დადგენა.

იმ დროს, როდესაც რევიზია ტარდება შერჩევითი წესით, დიდი

მნიშვნელობა აქვს დამზადების ბრუნვის დინამიკის შესწავლას და ვეგმის შეუსრულებლობაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის განსაზღვრას. რევიზორმა უნდა დაადგინოს ფაქტიური გეგმის შესრულების გადახრების ან არასწორი აღრიცხვის მიზეზები. ამ მიზნით მან უნდა განიხილოს ხარჯების თითოეული მუხლი, კერძოდ, ტვირთბრუნვის მოცულობა, გადაზიდვების მანძილი და ტარიფები.

დამზადების ზოგიერთ ორგანიზაციაში ადგილი აქვს ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებში გადახარჯვებს, ტრანსპორტის მოცდენას და მის არარაციონალურად გამოყენებას. რევიზორმა უნდა დაადგინოს აღნიშნული ფაქტების გამომწვევი მიზეზები.

რევიზორებმა კარგად უნდა შეისწავლონ ავტოსატრანსპორტო გადაზიდვის შესახებ არსებული ყველა დოკუმენტი და ამის საფუძველზე შესაბამისი დასკვნები გააკეთონ. დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტების შევსების სისწორეს, კერძოდ, სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულების შევსებას, გადაზიდვის ტარიფების და შეფასების სწორად დადგენას, რითაც ვლინდება მიმოქცევის ხარჯების შემცირების რეზერვები.

სამეურნეო საქმიანობის შედეგების რეალობის დასადგენად დოკუმენტური რევიზიის ჩატარებისას უნდა შემოწმდეს დანაკარგებსა და დაგროვებაზე მიწერილი თითოეული თანხა, მათ შორის:

ა) ჯარიმის, საურავის და საუპიროს გადახდა;

ბ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოფასების შედეგად მიღებული დანაკარგების ჩამოწერა;

გ) სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა;

დ) სხვა ზარალი;

ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს დანაკარგების მიზეზები და გამოვლინდეს კონკრეტული დამნაშავენი.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ დამამზადებელ კანტორებში უნდა შემოწმდეს წესდების დაცვა, დადგენილი სამეურნეო გეგმებისა და დავალებების სისწორე; ხელფასის ფონდის გამოყენების, პრემიათა გაცემის, მოგებათა განაწილების და ა. შ. კანონიერება.

ზემოაღნიშნულის გარდა, დამზადების ოპერაციების რევიზიის პროცესში ამოწმებენ: შესყიდვის დადგენილი გეგმების სისწორეს, მათი ანგარიშგების კანონიერებას, დამამზადებელი მუშაკების ხელფასისა და პრემირების ფონდების გამოყენებას, სოფლის მეურნეო-

ბის პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვაზე წარმოებული ხარჯების ანაზღაურების კანონიერებას, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ანაზღაურებაზე ტარიფების დაცვას და სხვა ხარჯებს, რომელთა შემოწმების წესი და მეთოდები საერთოა საქმიანობის ყველა სფეროსათვის.

განსხვავებულია ხელფასის ხარჯების შემოწმება, რადგან დამზადებაში სხვა დარგებთან შედარებით შემოღებულია სხვადასხვა სახის პრემირება-წახალისება.

დამზადების კანტორის მუშაკებს გარდა, დამზადების ბრუნვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემია ეძლევა იმ გამგეობათა ხელმძღვანელებსაც, რომელთაც ექვემდებარებათ ეს კანტორები.

ამჟამად დამზადების კანტორის ხელმძღვანელის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სხვა სპეციალისტებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება წარმოებს „ცენტროსოიუზის" გამგეობის 1964 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი თანამდებობრივი განაკვეთების შესაბამისად, ცეკავშირის გამგეობის მიერ დამტკიცებულ საშტატო განრიგში გათვალისწინებული რაოდენობით.

ძირითადი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით დარიცხული ხელფასის გარდა, „ცენტროსოიუზის" გამგეობის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 ნაწილის № 2 დანართით პრემირების შესახებ დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად[1], დამზადების კანტორის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ პრემია ყოველ კვარტალში დამზადების საერთო ბრუნვის კვარტალური გეგმის ყოველ გადაჭარბებულ 1%-ზე საშტატო განრიგით გათვალისწინებული ხელფასის თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 3%-ის რაოდენობით, მაგრამ არაუმეტესი ძირითადი ხელფასის 120%-სა. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე გადასულ დამზადების კანტორებში პრემიები გაიცემა შეზღუდვის გარეშე.

ამასთან, დამზადების კანტორის მუშაკებს „ცენტროსოიუზის" გამგეობის ზემოაღნიშნული დადგენილებით პრემირების შესახებ

---

[1] „სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცნობარი". თბილისი, 1969 წ., გამომცემლობა „განათლება", გვ. 233, 239.

დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად დამატებით ეძლევათ კიდევ პრემიები[1]:

ა) მეორადი ნედლეულის დამზადებისა და ჩაბარების ყოველთვიური გეგმების შესრულებისათვის;

ბ) გარეული ხილ-კენკრისა და თხილის დამზადებისა და ჩაბარების გეგმის შესრულებისათვის;

გ) ტყავ-ნედლეულისა და ხარისხიანი მატყლის გეგმის შესრულებისა და ჩაბარებისათვის.

მეორადი ნედლეულის გეგმების შესრულებისა და ჩაბარებისათვის პრემია ეძლევათ ყოველთვიურად რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის) გამგეობის ნებართვით: დამზადების კანტორის დირექტორს, მის მოადგილეს, უფროს ბუხჰალტერს, სტატისტიკოსს, მეორადი ნედლეულის საწყობის ან პუნქტის გამგეს და ამ ნედლეულის დამამზადებელ-შემგროვებლებს მათი თანამდებობრივი ხელფასის თვიური განაკვეთის 20%-ის რაოდენობით.

რევიზორმა შემოწმებისას ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის) გამგეობას უფლება აქვს 20%-მდე შეუმციროს მუშაკებს პრემია იმ შემთხვევაში, თუ მეორადი ნედლეულის ორ ძირითად სახეში ვერ შესრულდა დამზადება-ჩაბარების გეგმა (შალისა და ჩვრის, ძვლის, შავი და ფერადი ლითონის და სხვ.) და მოუხსნას პრემია ყველა მუშაკს იმ შემთხვევაში, თუ სამ და მეტ სახეში არ იქნება შესრულებული ამ ნედლეულის დამზადების გეგმები.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თუ მეორადი ნედლეულის დამზადების გეგმა შესრულდა, ხოლო მისი ჩაბარება-გადატვირთვის გეგმა არა, მაშინ ზემოაღნიშნული პრემია მუშაკებს 25%-ით უნდა შეუმცირდეს. დამზადების კანტორის ზარალიანობის შემთხვევაში პრემია არ გაიცემა დამზადების კანტორის დირექტორზე, მის მოადგილესა და უფროს ბუხჰალტერზე.

გარეული ხილის დამზადებისა და ჩაბარების გეგმის შესრულებისათვის პრემია გაიცემა კვარტალური მაჩვენებლების მიხედვით.

გარეული ხილ-კენკრისა და თხილის დამზადებისა და გადაგზავნის გეგმების შესრულებისათვის დამამზადებელ ორგანიზაციებში უნდა შეიქმნას საპრემიო ფონდი ამ პროდუქტების შესასყიდი ღი-

---

[1] „სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცნობარი", თბილისი. 1969 წ.. გამომცემლობა „განათლება". გვ. 235, 330, 335.

რებულების 3%-ის რაოდენობით[1]; მათ შორის ცეკავშირში უშუალოდ შემავალ რაიკოოპკავშირებსა და რაიკოოპერატივებში:

ა) მომხმარებელთა საზოგადოების მუშაკთა პრემირებისათვის — შესყიდული პროდუქციის ღირებულების 2,25%.

„აბსოიუზსა", აპარკოოპკავშირსა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირში უშუალოდ დაქვემდებარებულ კოოპორგანიზაციებში:

ბ) მომხმარებელთა საზოგადოების მუშაკთა პრემირებისათვის შესყიდული პროდუქციის ღირებულების 0,50%;

გ) დამზადების კანტორის მუშაკთა პრემირებისათვის — შესყიდული პროდუქციის ღირებულების 2,0%;

დ) საოლქო კოოპკავშირის დამზადების სამმართველოს მუშაკთა პრემირებისათვის შესყიდული პროდუქციის ღირებულების 0,50%.

აღნიშნული საპრემიო ფონდიდან პრემიები მიეცემათ:

ა) მომხმარებელთა საზოგადოებაში — გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს დამზადების დარგში, ამ პროდუქტების დამამზადებლებს, ბუხჰალტერიის მუშაკს, რომელიც ამ დამზადების აღრიცხვიანობას აწარმოებს;

ბ) დამზადების კანტორაში: დირექტორს, მის მოადგილეს, საქონელმცოდნეს, ამ პროდუქტების დამამზადებლებს, გარეული ხილ-კენკრისა და თხილის გაგზავნაზე დასაქმებულ სხვა მუშაკებს, სტატისტიკოსს და ბუხჰალტერს;

გ) საოლქო კოოპკავშირში — დამზადების სამმართველოს უფროსს, მის მოადგილეს, გარეული ხილ-კენკრისა და თხილის დამზადება-გადაგზავნაზე უშუალოდ დასაქმებულ საქონელმცოდნეს, ეკონომისტს, რომელიც ამ პროდუქტების აღრიცხვასა და ანგარიშგებას აწარმოებს და ამ პროდუქტების დამზადებაში მონაწილე სხვა მუშაკებს.

ამ მუშაკებს პრემიები უნდა მიეცეთ კვარტალში ერთხელ, კვარტალური მაჩვენებლების მიხედვით; ივლისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში კი ყოველთვიურად, თვიური მაჩვენებლების მიხედვით.

აღნიშნული პრემია უნდა გაიცეს საოლქო კოოპკავშირისა და

---

[1] იხ. „ცენტროსოიუზის" გამგეობის 1971 წლის 29 სექტემბრის დადგენილება.

რაიკოოპკავშირის გამგეობის ნებართვით, დამზადების ხაზით დამტკიცებული ხელფასის ფონდის ანგარიშზე და მის ფარგლებში.

თუ ამ პროდუქტების დამზადების გეგმა შესრულდა, ხოლო მისი გადაგზავნის გეგმა კი არა, მაშინ მომხმარებელთა საზოგადოებისა და დამზადების კანტორის მუშაკებს პრემია უნდა შეუმცირდეთ.

გარეული ხილ-კენკრისა და თხილის დამზადების და გადაგზავნის გეგმების შესრულებისათვის I, II და IV კვარტალებში (ოქტომბრის თვის გამოკლებით) ხელმძღვანელს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემია უნდა მიეცეთ მეორადი ნედლეულის, მატყლისა და ტყავნედლეულის ხარისხიანობისათვის გათვალისწინებულ პრემიასთან ერთად, თვეში არაუმეტეს მათი თვიური განაკვეთის 20%-სა, დამზადების საერთო ბრუნვის კვარტალური გეგმის შესრულებისათვის კუთვნილ პრემიასთან ერთად კი — მათი კვარტალური განაკვეთის 40%-მდე.

ამ პროდუქტების დამზადებისა და გადაგზავნის გეგმების შესრულებისათვის (ოქტომბრის თვის გამოკლებით) დამამზადებლებზე გასაცემი პრემია I, II და IV კვარტალებში არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის კვარტალური განაკვეთის 75%-ს.

როგორც წესი, გარეული ხილ-კენკრისა და თხილის დამზადების და გადაგზავნის გეგმების შესრულებისათვის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში ყველა მუშაკს პრემია მიეცემა 3%-იანი ფონდის ფარგლებში, პრემიის რაოდენობის შეზღუდვის გარეშე, იმდენი, რამდენიც 3%-იანი ფონდის ფარგლებში მოუწევთ.

დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ხარისხის მიხედვით ტყავნედლეულის სამ სახეში (მსხვილი, წვრილი და ღორის) პირველხარისხიანი ტყავის (ერთეულებში) კვარტალური დამზადების გეგმის შესრულებისათვის დამზადების კანტორის დირექტორს, მის მოადგილეს, საწყობის გამგეს, ნედლეულის დამკონსერვებელ მუშებს, დამზადების პუნქტის გამგეებს, სამრეწველო ბაზაში ტყავნედლეულის ჩამბარებლებს პრემია მიეცემათ ხელფასის თვიური განაკვეთის 20%-ის რაოდენობით.

თუ ტყავნედლეულის დამზადება-ჩაბარების გეგმა შესრულდა, სამრეწველო ბაზებში ტყავნედლეულის ჩამბარებლებს პრემია მიეცემათ საოლქო და რაიკოოპკავშირების ნებართვით.

რაიონული დამზადების კანტორებში, სადაც არანაკლებ 50%

მატყლი დაამზადეს, მატყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის წელიწადში ორჯერ — პირველ და მეორე ნახევარში პრემია ეძლევა შემდეგ მუშაკებს: დამზადების კანტორის დირექტორს, მის მოადგილეს, მატყლის საწყობის გამგეს, დამზადების პუნქტის გამგეს და მუშას შემდეგი რაოდენობით:

ა) ნაზ და ნახევრად უხეშ მატყლზე, რომელიც შეიცავს უდეფექტო მატყლის 80%-ს და ამავე დროს დანაგვიანებული არ არის უცხო მატყლით, თვიური ხელფასის 20%;

უდეფექტო მატყლის გადიდებისათვის დამატებით გაიცემა პრემია 80%-ზე ზევით, ყოველ 1%-ზე ხელფასის თვიური განაკვეთის 2.2%-ის რაოდენობით;

ბ) უხეშ მატყლზე, რომელიც დანაგვიანებული არ არის ბირკით და სხვა მცენარეულობის შენაერთებით, ხელფასის თვიური განაკვეთის 20%-მდე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამამზადებლებს და საცალო ვაჭრობის საწარმოების იმ გამყიდველებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ამზადებენ, შრომა უნდა აუნაზღაურდეთ ცეკავშირის გამგეობის 1965 წლის 20 აპრილის და 3 სექტემბრის დადგენილებებით, დამამზადებლებისა და შემსყიდველების შრომის ანაზღაურებისათვის დამტკიცებული საანრდო შეფასების მიხედვით[1].

თუ შტატში მყოფ დამამზადებლებს მთელი თვის დამზადების გეგმის 100%-ით შესრულების დროს (ცალკე სახეების მიხედვით) 60 მანეთზე ნაკლები ხელფასი მოუწიათ, მათ ხელფასი უნდა მიეცეთ როგორც მინიმუმი 60 მანეთი, ხოლო თუ იმ დამამზადებლებმა გეგმა ვერ შეასრულეს, ხელფასი აუნაზღაურდებათ ფაქტიურად შეფასების მიხედვით დარიცხული რაოდენობით.

აქედან გამომდინარე, დამზადების კანტორის დირექციამ და კოოპორგანიზაციების გამგეობამ დამზადების გეგმების დაწესებისას უნდა გაითვალისწინონ და უზრუნველყონ ყველა დამამზადებლისა და შემგროვებლის სრული დატვირთვა მთელი სამუშაო თვის განმავლობაში იმ ვარაუდით, რომ თითოეულ მათგანს გეგმის 100%-ით შესრულებისას არანაკლები 60 მანეთი ხელფასი აუნაზღაურდეთ, ხოლო ის დამამზადებლები, რომლებიც მთელი თვის გან-

---

[1] სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცნობარი, თბილისი, 1969 წ., გამომცემლობა „განათლება". გვ. 296—303.

მავლობაში მუშაობით 60 მანეთსაც ვერ გამოიმუშავებენ, უნდა შემცირდნენ.

შტატგარეშე დამამზადებლებისათვის ხელფასის საგარანტიო მინიმუმი დაწესებული არ არის.

მეორადი ნედლეულის დამამზადებლების შრომის ანაზღაურების დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად[1], შტატში მყოფ დამამზადებლებს მეორადი ნედლეულის დამზადების თვიური გეგმის შესრულებისათვის პრემია უნდა მიეცეთ შეფასებებით დარიცხული ხელფასის 20%-ის ოდენობით.

პრემია უნდა დაერიცხოთ დაწესებული აღრიცხვის მონაცემების მიხედვით და გაიცეს ხელფასის ფონდის ფარგლებში გასული თვის ხელფასთან ერთად.

ძირითადი სახეობის მეორადი ნედლეულის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამამზადებლებს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუმცირდებათ მათზე დარიცხული პრემია. პრემიის შემცირება ან მთლიანად მოხსნა უნდა გაფორმდეს ბრძანებით ან განკარგულებით მიზეზის აუცილებელი ჩვენებით.

რევიზორმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ადგილი არ ჰქონდეს ამ დამამზადებლებზე გაუმართლებლად დიდი ხელფასის გაცემას.

დამამზადებლებზე გაუმართლებლად დიდი ხელფასის გაცემის ფაქტების აღმოსაფხვრელად, „ცენტროსოიუზის" გამგეობის 1964 წლის 8 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად საოლქო კოოპკავშირის, რაიკოოპკავშირისა და რაიკოოპერატივის გამგეობას უფლება აქვს პროფკავშირის სათანადო კომიტეტთან შეთანხმებით (ცეკავშირის მიერ 1965 წელს დამამზადებლების შრომის ანაზღაურებისათვის დამტკიცებული შეფასებების ფარგლებში) დამამზადებლები ისე შეაფასოს, რომ მათ თვეში 2—3 განაკვეთზე მეტი ხელფასი (დამამზადებლებისათვის თვიურ საანგარიშსწორებო განაკვეთად დაწესებულია 65—70 მანეთი) არ მოუწიოთ.

როგორც წესი, შეფასებები წესდება რაიონის ეკონომიკის, პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების სეზონისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ დამამზადებლების შრომის

---

[1] სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცნობარი. თბილისი, 1969 წ., გამომცემლობა „განათლება", გვ. 293, 299.

ანაზღაურების სანარდო შეფასებებში გათვალისწინებულია პროდუქტებისა და ნედლეულის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, დახარისხება-გადაწონვა, დაწყობა, გაწმენდა და სხვადასხვა ნარევის მოცლა. შეფასებებში არ შედის ტრანსპორტის ხარჯები. ამიტომ როგორც წესი, დამამზადებლების მიერ დამზადებული პროდუქცია საწყობში ჩაბარებისას უნდა შემოიზიდოს დამზადების კანტორის ან რაიკოოპკავშირის ტრანსპორტით, მაგრამ თუ დამამზადებლები უზრუნველყოფილი ვერ იქნებიან ორგანიზაციის ტრანსპორტით, მაშინ მათ ტრანსპორტის ხარჯები აუნაზღაურდებათ არსებული ტარიფების მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ პროდუქცია დამამზადებლებმა საწყობში ჩაბარეს მათ მიერ დაქირავებული ტრანსპორტით გარკვეულ მანძილზე[1].

დამამზადებლებს თავისსავე რაიონში მივლინებისათვის უნდა აუნაზღაურდეთ მხოლოდ მგზავრობის ხარჯები, მოქმედი ტარიფების მიხედვით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დამამზადებლებს სანარდო შეფასებების მიხედვით შრომა უნდა აუნაზღაურდეთ მხოლოდ მათ რაიონში პროდუქტებისა და ნედლეულის დაწესებული შესყიდვებისათვის, დამზადების კანტორის საწყობში პროდუქტებისა და ნედლეულის ჩაბარების პირობით.

დამზადების კანტორებსა და მომხმარებელთა საზოგადოებებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელ-შემსყიდველებს, რომლებიც მოსახლეობაში კვერცხის შესყიდვას აწარმოებენ, ცეკავშირის გამგეობის 1965 წლის 20 აპრილის დადგენილების შესაბამისად შრომა უნდა აუნაზღაურდეთ ყოველ შესყიდულ 100 ცალ კვერცხზე 42 კაპიკის რაოდენობით[2].

მოსახლეობაში კვერცხის შესყიდვა დავალებული აქვთ აგრეთვე სოფლის მაღაზიების გამყიდველებს. ამიტომ „ცენტროსოიუზის" გამგეობის 1965 წლის 16 აპრილის დადგენილების საფუძველზე საცალო ვაჭრობის საწარმოების (მაღაზიების, დუქნების, პავილიონების) მუშაკებს, რომლებიც მოსახლეობაში კვერცხის შესყიდვას

---

[1] იხ. „ცენტროსოიუზის" შრომისა და ხელფასის განყოფილების 1965 წ. 30 ოქტომბრის № ფუ-4/12 წერილი.

[2] სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცნობარი, თბილისი, 1969 წ., გამომცემლობა „განათლება", გვ. 296—298.

აწარმოებენ, შრომა უნდა აუნაზღაურდეთ დამამზადებელ-შემსყიდველების შრომის ასანაზღაურებლად დაწესებული შეფასებების მიხედვით.

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1964 წლის 8 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობის საწარმოების გამყიდველებისათვის ისევ ძალაშია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის შრომის ანაზღაურების ზემოაღნიშნული წესები[1].

გეგმის ზევით შესყიდულ კვერცხზე გამყიდველებს ზემოაღნიშნული შეფასება უდიდდებათ 50%-ით, ე. ი. დაკალების ზევით შესყიდულ ყოველ 100 ცალ კვერცხზე გამყიდველს 63 კაპიკი უნაზღაურდება.

ცეკავშირის გამგეობის 1965 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე დამამზადებლებიდან, გამყიდველებიდან და კოლმეურნეობებიდან შესყიდული და შეგროვილი კვერცხისათვის შემგროვებლებს დამზადების კანტორის ან კვერცხის ბაზის საწყობებში ჩაბარებულ ყოველ 100 ცალ კვერცხზე 10 კაპიკი უნაზღაურდებათ[2].

რევიზიის პროცესში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი კოოპკავშირების ხელმძღვანელი მუშაკების პრემირების საკითხი. „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1964 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით რაიკოოპკავშირის ან რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს, მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, დამზადების დარგში მის მოადგილეს და მომხმარებელთა საზოგადოების უფროს ბუხჰალტერს, საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისათვის გათვალისწინებული პრემიის გარდა, კიდევ ეძლევათ პრემია დამზადების ბრუნვის კვარტალური გეგმის ყოველ გადაჭარბებულ 1%-ზე ხელფასის თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 2%-ის რაოდენობით.

ცეკავშირში, „აბსოიუზში“, აპარკოოპკავშირსა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირში უშუალოდ დაქვემდებარებულ მომხმარებელთა საზოგადოებებში (სოფლის, მუშათა, ქალაქის, მეთევზეთა და რაიონულ კოოპერატივში), რომლებსაც დამზადების კანტორა აქვთ, ზემოთ აღნიშნული წესით პრემია ეძლევა მხოლოდ გამგეობის თავმჯდომარეს.

---

[1] სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცნობარი. თბილისი, 1969 წ., გამომცემლობა „განათლება“. გვ. 39, 95.

[2] იქვე. გვ. 298.

ზემდგომი კოოპორგანიზაციების გამგეობებს უფლება აქვთ 25 პროცენტამდე შეუმციროს საცალო საქონელბრუნვის თვიური გეგმის შესრულების პრემია იმ რაიკოოპკავშირის ან მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, რომელმაც ვერ შეასრულა დამზადების ბრუნვის კვარტალური გეგმა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ამ მუშაკზე საცალო საქონელბრუნვის და დამზადების ბრუნვის გეგმების შესრულებისათვის გაცემული პრემიის რაოდენობა მათი ხელფასის ძირითადი თვიური განაკვეთის 40%-ს არ უნდა აღემატებოდეს. მაგალითად, თუ რაიკოოპკავშირმა საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის გეგმა ოქტომბერში შეასრულა 106%-ით, ნოემბერში — 104%-ით, დეკემბერში კი — 107%-ით, რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ეკუთვნის პრემია ოქტომბერში 40%, ნოემბერში — 28% და დეკემბერში — 40%, ხოლო მთლიანად კვარტალზე გაანგარიშებით კი თვიური განაკვეთის — 108%.

მომხმარებელთა საზოგადოებაში გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს დამზადების დარგში, მეორადი ნედლეულის დამამზადებლებს, საწყობის ან პუნქტის გამგეს, ბუხჰალტერიის მუშაკს, მომხმარებელთა საზოგადოების იმ გამგეობის თავმჯდომარეს, რომელსაც დამზადების დარგში მოადგილე არ ჰყავს, ყოველთვიურად ეძლევა აგრეთვე პრემია მეორადი ნედლეულის დამზადებისა და ჩაბარების ყოველთვიური გეგმების შესრულებისათვის 20%-მდე, მაგრამ საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვისა და დამზადების საერთო ბრუნვის გეგმების შესრულებისათვის პრემიები მისი განაკვეთის 40%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

„ცენტროსოიუზის" გამგეობის 1965 წლის 13 მარტის დადგენილებით, „ავტონომიური რესპუბლიკების" საოლქო, სამხარეო და საოლქო კოოპკავშირების მუშაკთა პრემირების შესახებ" საოლქო კოოპკავშირების დამზადების სამმართველოს ხელმძღვანელს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სპეციალისტებს და მოსამსახურეებს (სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე, მთავარი ბუხჰალტერი, უფროსი ბუხჰალტერი, ეკონომისტი, საქონელმცოდნე, ინსტრუქტორი, რევიზორი, ბუხჰალტერი) პრემია უნდა მიეცეთ დამზადების გეგმის კვარტალური მაჩვენებლების მიხედვით (გეგმის 100%-ით შესრულებისათვის) ხელფასის კვარტალური განაკვეთის 15% და გეგმის ზევით ყოველ გადაჭარბებულ 1 პროცენტზე — 5%.

დამზადების სამმართველოს მუშაკებს პრემიები მიეცემათ მხო-

ლოდ რენტაბელური მუშაობის პირობებში და ეს პრემია გაიცემა საოლქო კოოპკავშირის გამგეობის ნებართვით.

საოლქო კოოპკავშირის დამზადების სამმართველოს უფროსს, მეორადი ნედლეულის განყოფილების უფროსს, საქონელმცოდნეს და დამზადების აღრიცხვაზე მომუშავე ეკონომისტებს ყოველთვიურად დამატებით ეძლევათ პრემია მეორადი ნედლეულის დამზადების გეგმების შესრულებისა და ჩაბარებისათვის მათი განაკვეთის 20%-მდე, მაგრამ სხვა პრემიებთან ერთად იგი არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 40%-ს.

რევიზორმა რევიზიის დროს ხელფასის ხარჯვის შემოწმების დაწყებიდანვე შერჩევით უნდა შეამოწმოს ხელფასების გაცემის უწყისებში თანხების არითმეტიკული სისწორე.

ხელფასის დარიცხვა წარმოებს მთელი რიგი პირველადი საბუთების საფუძველზე, რომელთა ხარისხიანად გაფორმება ხელფასების სწორად და ზუსტად გაანგარიშების საფუძველია.

ამასთან დაკავშირებით, რევიზორი (შემმოწმებელი) არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ხელფასების გაცემის უწყისების შემოწმებით თანხების არითმეტიკული გაანგარიშების სისწორით და სხვ. იგი ვალდებულია შეამოწმოს აგრეთვე ის პირველადი საბუთები (გაანგარიშების უწყისები), რომელთა შესაბამისადაც დაირიცხა ხელფასები და პრემიები. მაგალითად, აუცილებლად უნდა შემოწმდეს ტაბელის წარმოება, რომელიც პირველად საბუთად ითვლება და ასახავს ამა თუ იმ მუშაკის მიერ ფაქტიურად ნამუშევარ დროს, ავადმყოფობის გამო სამუშაოზე გამოუცხადებლობას და სხვ. შერჩევით უნდა შემოწმდეს ხელფასის უწყისებში ტაბელიდან ნამუშევარი დროის სწორად გადატანა, სამუშაოზე გამოსვლის გრაფიკები და სხვ.

რევიზიის პროცესში რევიზორი ამოწმებს შრომისა და საშტატო დისციპლინის დაცვას. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის პერსონალის შემადგენლობა, ხელფასის ფონდისა და მმართველობითი აპარატის შესანახი ასიგნობის ხარჯვა. ყურადღება უნდა მიექცეს ზემდგომ ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულ საშტატო განრიგებში ხომ არ არის ადმინისტრაციულ-სამმართველოს აპარატის გაუთვალისწინებელი პერსონალის თანამდებობები.

ხელფასის, პრემიებისა და სოცდაზღვევის ხაზით დახმარებების გაცემისა და სხვა დანახარჯების პირველადი საბუთების შემოწმები-

სას ანალიზი უნდა გაუკეთდეს მათ კანონიერებასა და საფუძვლიანობას. რევიზორი ამოწმებს:

ა) ორგანიზაციაში ან საწარმოში ჰყავთ თუ არა ისეთი მუშაკები, რომლებიც სამეურნეო თვალსაზრისით საჭირონი არ არიან;

ბ) ხომ არ გაუდიდდათ მუშაკებს საშტატო განრიგით დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთები ან პრემიები;

გ) ხომ არ აუნაზღაურდა მუშაკს მეორე ხელფასი იმ სამუშაოსათვის, რომლის შესრულება მის მოვალეობაში შედის.

დ) ადგილი ხომ არ აქვს შეთავსებით მუშაობას;

ე) სათანადო პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე ადგილი ხომ არ აქვს ზედმეტ საათებში მუშაობასა და ანაზღაურებას, იცავენ თუ არა ზედმეტ საათებში მუშაობისათვის კანონით გათვალისწინებულ ნორმას და სხვ.;

ვ) მართებულად იხარჯება თუ არა ხელფასის ფონდი, შრომის ხელშეკრულებით გაცემული სხვა ხელფასები, სწორად არის თუ არა შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტები;

ზ) არიან თუ არა ორგანიზაციაში არადანიშნულებისამებრ დასაქმებულნი.

რევიზორმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმასაც, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელზე, მთავარ ბუხჰალტერზე (უფრ. ბუხჰალტერზე) და მათ მოადგილეებზე გაიცა თუ არა პრემიები, არის თუ არა დებიტორული დავალიანებების გაზრდის, გაფლანგვა-განიავების, დანაკლისების აუნაზღაურებლობის შემთხვევები და სხვ.

რევიზორმა უნდა შეამოწმოს აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების გადასახადების დაკავების სისწორე, აღმასრულებელი საბუთებით დასაკავებელი თანხების სისწორე და სხვ.

ხელფასების უკანონოდ გაცემის ყველა შემთხვევაში საჭიროა ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთ. ბუხჰალტრის (უფროსი ბუხჰალტრის) სათანადო წერილობითი ახსნა-განმარტება. უკანონოდ გაცემული თანხები უნდა გადაიხადოს დამნაშავე პირმა კანონმდებლობის საფუძველზე.

ყველა ზემოთ მოყვანილი საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის საჭიროა რევიზორი დარწმუნდეს პირველადი-დოკუმენტაციის სიზუსტეში (რამდენადაც იგი ხელფასის სწორი დარიცხვისა და გაცემის საფუძველია), ხელფასზე ანგარიშსწორებებისა და სა-

გადამხდელო უწყისების შედგენისა და გაფორმების სისწორეში; ხელფასის დარიცხვისა და გაცემის უწყისებში ჯუმლის გამოთვლის სისწორეში.

საბუხჰალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების რევიზია

ყველა კოოპერაციული ორგანიზაციისა და საწარმოს გადაუდებელი ამოცანაა საბუხჰალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების (როგორც მეურნეობის მართვის და ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი საშუალების) მოწესრიგება და შემდგომი სრულყოფა.

საბუხჰალტრო აღრიცხვის მდგომარეობა რევიზორმა უნდა შეამოწმოს იმ წესითა და პროგრამით, რაც დადგენილია „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1963 წლის 8 აგვისტოს დადგენილებით — „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში საბუხჰალტრო აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პირველ რიგში, რევიზორმა უნდა შეისწავლოს რამდენად ორგანიზებულად ტარდება აღრიცხვა და შეესაბამება თუ არა იგი „ცენტროსოიუზის“ მიერ დადგენილ საანგარიშო გეგმას, ინსტრუქციებსა და მითითებებს, ამასთან უნდა შეამოწმოს ბუხჰალტერიის აპარატის შემადგენლობა და მისი კვალიფიკაცია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საალრიცხვო დარგის აპარატის დაკომპლექტებას, რადგან ამ კატეგორიის მუშაკებზე ბევრად არის დამოკიდებული ზუსტი საბუხჰალტრო აღრიცხვა, ეს კი ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის იარაღია, რომელიც ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვას, ფინანსური და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის განმტკიცებას, მიმოქცევისა და სხვა არამწარმოებლური ხარჯების ლიკვიდაციას, რენტაბელობის ზრდასა და ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რევიზიის პროცესში რევიზორმა უნდა შეისწავლოს:

ჩატარებული ოპერაციების საბუთების გაფორმების სისწორე, უტყუარობა, საბუხჰალტრო აღრიცხვაში ოპერაციების დროულად და სრულად ასახვა, დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციის წესი, საბუთების სწორად და თავის დროზე გაფორმება, ბუხჰალტერიაში მათი ჩაბარების ვადები და საბუთების შენახვის წესი;

დავთრებსა და ჟურნალებში სწორად ხდება თუ არა ჩანაწერები; ხომ არ არის წანაშალი, უშენიშვნო შესწორებები, გვერდების მიხედვით აქვს თუ არა ჯამი და ა. შ., დავთრებისა და ჟურნალების წარმოების სისუფთავე, შესწორებების მიზეზი, საბუთიანობა;

თავის დროზე და სწორად ტარდება თუ არა საბუთების ბუხჰალტრული დამუშავება, მათი ჩაწერა დავთრებში, ჟურნალებსა და ბარათებში; ადგილი აქვს თუ არა აღრიცხვაში უზუსტობასა და დამახინჯებას (კოლექტიური და გაუპიროვნებელი ანგარიშები, უდოკუმენტო ჩანაწერები და ა. შ.);

ბალანსების შესაბამისობა მთავარ დავთარში, ბრუნვით უწყისებში, ამონაწერებთან, საინვენტარიზაციო უწყისებთან, ანგარიშსწორების შემოწმების აქტებთან და ა. შ., ბალანსისა და ანგარიშგების შედგენის დროულობა; ბალანსის მუხლების შეფასების სისწორე, ანგარიშების უტყუარობა და ა. შ.

მთელი სარევიზიო პერიოდისათვის შერჩევით უნდა შემოწმდეს მემორიალური ორდერის შედგენის სისწორე ჟურნალებისა და ნაერთი მემორიალური ორდერების საფუძველზე, მათი ჩანაწერებისა კი — მთავარ დავთარში. არასწორი ჩანაწერების გამოვლენისას უნდა ჩატარდეს მთლიანი შემოწმება;

გულდასმით უნდა შემოწმდეს საანგარიშო მონაცემების უტყუარობა; ანგარიშგებაში მინაწერებისა და სხვა დამახინჯებათა დადგენის შემთხვევებში უნდა გამომჟღავნდეს დამნაშავე პირები. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან ერთად საჭიროა ზომების მიღება გამოვლენილ დარღვევათა სალიკვიდაციოდ. ამასთან, უნდა იხელმძღვანელონ „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1961 წლის 8 ივნისის დადგენილებით — „სახელმწიფოს მოტყუების აცილებისათვის ზომებზე, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაზე ანგარიშგებათა უტყუარობაზე კონტროლის გაძლიერების შესახებ“.

დამზადების ოპერაციების რევიზიების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი და იგივე სახის დარღვევებს, ამიტომ უფრო ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი ისეთი ცალკეული საკითხები, როგორიცაა:

თავისდროულად და ხარისხიანად არის თუ არა დამუშავებული როგორც დამამზადებლების (შემგროვებლების), ისე მისაღები პუნქტების გამგეების საავანსო და დამზადების ანგარიშები;

საქონლისა და ტარის აღრიცხვის ფორმა № კ-5 ჟურნალის წარმოების მაღალხარისხოვნება; შევსების სიფაქიზე, ჩანაწერების შე-

საბამისობა საბუთებთან, თითოეული ანგარიშის მიხედვით დებეტისა და კრედიტის ჯამების დაანგარიშების სისწორე.

ამასვე ამოწმებენ იმ შემთხვევებშიც, როდესაც წარმოებს რაოდენობრივ-თანხობრივი აღრიცხვა თითოეულ დამამზადებელთან (პუნქტის გამგესთან), ნედლეულის ანალიზური აღრიცხვის წიგნებში ფორმა № 10 და № 14 თითოეული დამამზადებლის მიხედვით. გარდა ამისა, მოწმდება ნედლეულის საბუხჰალტრო და სასაწყობო აღრიცხვის მონაცემების შედარებისა და გამოვლინებულ სხვაობათა აღკვეთის თავისდროულობა;

როგორ არის უზრუნველყოფილი სარევიზიო ორგანიზაცია მისაღები ქვითრების ბლანკებით;

ნედლეულის ინვენტარიზაციის ჩატარების ვადების დაცვა და მისი შედეგები, შედარებითი უწყისების შედგენის სისწორე;

ხომ არ ირიცხება ნაშთები ისეთ პირებზე, რომლებიც არ მუშაობენ;

ნედლეულის დანაკარგების ჩამოწერის საბუთებით გაფორმების სისწორე და საფუძვლიანობა.

გადატვირთვის ანგარიშ-ფაქტურების (სპეციფიკაციების) და მყიდველთა მიღების აქტების მიხედვით შედარებითი უწყისების შედგენის სისწორე;

მყიდველთა ანგარიშ-ფაქტურების გამოწერისა და სახბანკში ინკასოზე წარდგენის დროულობა.

დამზადების ხარჯებისა და ფინანსური შედეგების აღრიცხვის წარმოების სისწორე.

საბუხჰალტრო დოკუმენტების არქივის მდგომარეობა, მათი შენახვის დადგენილი წესებისა და ვადების დაცვა (იხილეთ „ცენტროსოიუზის“ გამგეობის 1971 წლის 12 ივლისის დადგენილება).

შემოწმების პროცესში რევიზიის ჩამტარებლები სარევიზიო ორგანიზაციის გამგეობასთან და მთავარ (უფროს) ბუხჰალტერთან ერთად იღებენ ზომებს ანგარიშსწორებასა და აღრიცხვაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყველა შენიშვნა, აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის ჩატარებული ღონისძიებები და მისი შედეგები აღინიშნება რევიზიის აქტის ცალკე ნაწილში.

თუ სარევიზიო ორგანიზაციაში ჩამორჩენილია აღრიცხვა, რევიზორი ვალდებულია შეადგინოს კერძო აქტი აღრიცხვის მდგომარეობაზე და ორგანიზაციის გამგეობასთან (საწარმოს ხელმძღვანელ-

თან) და მთავარ (უფროს) ბუხჰალტერთან ერთად მოაწესრიგოს საღრიცხვო სამუშაოები. რევიზიის დამთავრება შეიძლება მხოლოდ აღრიცხვის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ.

რევიზიის მასალების გაფორმება და სასამართლო-საგამოძიებლო ორგანოებზე საქმეების გადაცემა

დოკუმენტური რევიზიის შედეგები ფორმდება აქტით. მასში უნდა აღინიშნოს რევიზიის ობიექტი და მოცულობა, სარევიზიო პერიოდი, რევიზიის დაწყებისა და დამთავრების თარიღი, რევიზიის ჩატარების საფუძველი. დოკუმენტური რევიზიის აქტს ხელს აწერენ რევიზორები, რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტერი. თუ აქტი ეხება მატერიალური პასუხისმგებელი პირის მუშაობას ან ცალკეულ უბანს, მასზე ხელს აწერენ ის პირებიც, რომელთა საქმიანობისათვისაც ჩატარდა რევიზია.

იმ შემთხვევებში, როცა რევიზიაჩატარებულ ორგანიზაციის (საწარმოს) ხელმძღვანელს, მთავარ (უფროს) ბუხჰალტერს ან მატერიალურად პასუხისმგებელ პირს აქვს რაიმე შენიშვნა ან აქტის მიმართ საწინააღმდეგო მოსაზრება, ვალდებულია ხელი მოაწეროს აქტს, მაგრამ თავისი საწინააღმდეგო მოსაზრება ან ახსნა-განმარტება უნდა წარადგინოს წერილობით. ასეთ შემთხვევაში აქტზე ხელის მოწერისას უთითებენ: „ახსნა-განმარტება თან ერთვის“.

იმ პირებმა, რომელთა საქმიანობაც შეამოწმეს, საწინააღმდეგო მოსაზრება ან ახსნა-განმარტებანი უნდა წარუდგინონ რევიზორს აქტის ჩაბარებიდან სამ დღეში.

რევიზიის ჩამტარებლები ვალდებულნი არიან განიხილონ საწინააღმდეგო მოსაზრებები, ახსნა-განმარტებანი და დაწერონ დასკვნა. ეს უკანასკნელი უნდა დაერთოს რევიზიის აქტს. დასკვნა უნდა დადასტურდეს რევიზიის მასალებით.

აქტის გაფორმების შემდეგ რევიზორმა რევიზიაჩატარებული მეურნეობის შესახებ უნდა შეიმუშაოს დასკვნა, ან დადგენილების პროექტი, რომელიც შემდგომ უნდა განიხილონ როგორც რევიზიაჩატარებულ (5 დღეში), ისე ზემდგომ ორგანიზაციაში (10 დღეში). ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად მიღებული სათანადო დადგენილების ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად

უნდა აკონტროლებდნენ თვით რევიზიაჩატარებული და ის ზემდგომი ორგანიზაცია, ვისი დავალებითაც ჩატარდა რევიზია.

რევიზორმა კოოპერაციული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ერთად რევიზიის პროცესშივე უნდა მიიღოს ზომები, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და საბუხჰალტრო აღრიცხვაში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად.

სარევიზიო ობიექტზე მომუშავე მუშაკების (გარდა ხელმძღვანელებისა) სასჯელის ან სამუშაოდან განთავისუფლების საკითხს სწყვეტს თვით რევიზიაჩატარებული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ხოლო ხელმძღვანელებისას — იმ ზემდგომი ორგანიზაციის გამგეობა, ვისი დავალებითაც ჩატარდა დოკუმენტური რევიზია.

თუ რევიზორები რევიზიის შედეგების შესახებ არ ეთანხმებიან სარევიზიო ორგანიზაციის გამგეობის გადაწყვეტილებას, მათ უნდა აცნობონ ზემდგომ კოოპერაციულ ორგანიზაციას.

ზოგჯერ, საჭიროების მიხედვით, სარევიზიო აქტი უნდა გადაეცეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. თუ რევიზიის მონაცემებით დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის საფუძველი არსებობს, მასალები სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცემა.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კოოპერაციული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან დანაკლისის, გაფლანგვა-მითვისებისა ან სხვა ბოროტმოქმედებათა ფაქტები დაუყოვნებლივ აცნობონ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს, რათა დამნაშავენი მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო კოოპერაციულ ორგანიზაციას აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზარალი. ბოროტმოქმედებათა შესახებ მასალები უნდა გადაიცეს 5 დღეში.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებზე ამ მასალების გადაცემა ფორმდება კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობის განცხადების სახით. განცხადება ძირითადი საბუთია, რომლითაც აღნიშნული ორგანოების წინაშე დამნაშავე პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე საკითხი აღიძვრება. განცხადება და დამადასტურებელი მასალები უნდა გაიგზავნოს დროულად, დაუყოვნებლივ, ინვენტარიზაციის, გამოკვლევის ან შემოწმების შემდეგ, როგორც კი გამოირკვევა კოოპერაციული საკუთრების დატაცების ფაქტი. ეს საჭიროა იმიტომ, რომ დროულად მოხდეს დამნაშავეთა

დადგენა, მათ მიერ გატაცებული ქონების აღმოჩენა, და, მაშასადამე, კოოპერაციული ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

აღნიშნული განცხადების დამასაბუთებელმა მასალებმა ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს იმას, თუ რამ განაპირობა დანაშაული, რა რაოდენობით არის მიყენებული ზარალი და ვინ არიან დამნაშავე პირები.

ზოგჯერ არის დანაკლისი, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზები შეუსწავლელია. ასეთ შემთხვევაში არ უნდა დაველოდოთ რევიზიის დამთავრებას.. საჭიროა დაუყოვნებლივ შედგეს საშუალედო აქტი და სათანადო მასალებით გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს. ყოვლად დაუშვებელია, როდესაც მასალები იმ ბოროტმოქმედებათა და სხვა დარღვევათა შესახებ, რომლებიც გამოვლინდა რევიზიის (ინვენტარიზაციის) ან შემოწმების პროცესში, რევიზიის დამთავრებამდე არ გადაეცეს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს. ასეთ შემთხვევაში, რევიზიის მსვლელობა არ ირღვევა. ბოროტმოქმედების ფაქტის დადგენისთანავე ოპერატიული მოქმედება სათანადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები დამნაშავეთა მხილებისა და დასჯისათვის, მაგრამ თუ საქმე დროულად არ გადაეცა, დამნაშავე პირებს საშუალება ეძლევათ დაფარონ თავიანთი კვალი, მიიმალონ, გადამალონ ქონება და სხვ.

კოოპერაციული საკუთრების დამტაცებლებთან ბრძოლის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მარტო საგამომძიებლო ორგანოებისათვის მასალების დროულად გადაცემაზე, არამედ ჩადენილი დანაშაულის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალის სწორად გაფორმებაზეც. ამ მხრივ ყოველგვარმა დაუდევრობამ შეიძლება გამოიწვიოს საქმის გაჭიანურება, ზარალის ანაზღაურების დაგვიანება და სხვ.

საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადასაცემ მასალებს შორის, პირველ რიგში, საჭიროა განცხადება მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ. ეს განცხადება კარგად უნდა დასაბუთდეს და საჭიროა შეიცავდეს ისეთ ცნობებს, რაც საგამომძიებლო ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს სწრაფად გაერკვნენ საქმის არსში და დანაშაულისა და მისი შედეგების აღსაკვეთად ქმედითი ღონისძიებები მიიღონ. კერძოდ, ამ განცხადებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

ა) ჩადენილი დანაშაულის ხასიათი (დანაკლისი, ქურდობა, საშ-სახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), შემთხვევა-უნდა აღიწეროს სწორად, ე. ი. გადმოიცეს ისე, როგორც სინამდვილეში იყო;

ბ) რა თანხის მატერიალური ზარალია მიყენებული, სადაა ჩადენილი დანაშაული და რა პირობებში;

გ) როდისაა ჩადენილი ან გამოვლინებული დანაშაული და კონკრეტულად ვინ არის დამნაშავე;

დ) უნდა აღინიშნოს დამნაშავე პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, მისამართი, თანამდებობა, მოცემულ ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი. თუ დამნაშავე მოცემულ ორგანიზაციაში არ მუშაობს, ცნობები მის შესახებ შეიძლება დადგინდეს კოოპერაციული ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული სხვა დოკუმენტაციებით ან იმ პირთა გამოკითხვით, რომლებიც იცნობენ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს.

როგორც წესი, განცხადებას ხელს აწერს სამომხმარებლო კოოპერაციის იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, სადაც მოხდა დანაშაული. ცალკეულ შემთხვევაში განცხადებას შეიძლება ხელი მოაწერონ სარევიზიო კომისიის წევრებმა ან ზემდგომი ორგანიზაციის რევიზორმა, მაგრამ მათ ამის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობონ შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას.

საგამომძიებლო ორგანოებისათვის განკუთვნილი განცხადება უნდა დასაბუთდეს სათანადო დოკუმენტებით, რომლებიც თან დაერთვება ამ განცხადებას. ამ დოკუმენტებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია რევიზიის (როგორც შუალედური, ისე ძირითადი) აქტი, რომელიც დგება რევიზიის პროცესში ან მისი დამთავრებისთანავე.

აქტს ხელს აწერს რევიზორი, საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტერი. შემოწმების საბოლოო აქტის შედგენისას ერთგვაროვანი დარღვევები უნდა დაჯგუფდეს სპეციალურ უწყისებში და თან დაერთოს ამ აქტს.

აქტში გამოვლინებული დარღვევების ასახვისას უნდა აღინიშნოს პირველადი დოკუმენტებისა და საანგარიშო რეესტრების ნომრები, მათი შედგენის თარიღი, დარღვევის ხასიათი, დამრღვევი პირის თანამდებობა და გვარი. რევიზიის აქტში უნდა აისახოს არსე-

ბითი ხასიათის დარღვევები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საწარმოს სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაზე, ხელს უწყობენ კოოპერაციული ქონების ხელყოფას. აქტში არ შეიტანება ისეთი მონაცემები, რომლებიც პირველადი დოკუმენტებითა და საბუხჰალტრო ჩანაწერებით არ დასტურდება. რევიზიის აქტში ასახული თითოეული დარღვევა უნდა დასაბუთდეს საბუხჰალტრო ჩანაწერებისა და საბუთების მითითებით. საჭირო შემთხვევაში დედანი უნდა დადასტურდეს საბუთებით, შემოწმებული ასლებით, თანამდებობრივი პირების ცნობებითა და განმარტებებით.

რევიზიით გამოვლინებული ყოველგვარი დარღვევა და ბოროტმოქმედება აქტში უნდა გაშუქდეს ობიექტურად, კონკრეტულად. ქვემოთ მოტანილ თითოეულ კითხვაზე საჭიროა ზუსტი, ნათელი და დოკუმენტურად დასაბუთებული პასუხის გაცემა:

რა არის დარღვეული — თვით დარღვევის, ბოროტმოქმედების არსი, შინაარსი.

ვინ დაარღვია — კონკრეტული დამნაშავე.

როდის არის დარღვეული — დარღვევის ან ბოროტმოქმედების ჩადენის თარიღი ან პერიოდი.

როგორაა დარღვეული — დადგენილი წესების ან კანონის გადახრის ხერხი, გზები.

რით არის გამოწვეული — მიზეზი, პირობები, მიზანი.

დარღვევის შედეგები — მიყენებული ზარალის რაოდენობა.

აქტში დაუშვებელია ბუნდოვანი, ჩამოუყალიბებელი ფორმულირების შეტანა. მასში უნდა მოიტანონ მხოლოდ ფაქტები, ყოველგვარი შეფასების გარეშე. კერძოდ:

„აქტში არ უნდა იყოს ნახმარი ისეთი ტერმინი, რომელსაც აქვს ცალკეულ პირთა მოქმედების შეფასების იურიდიული კვალიფიკაციის ხასიათი და რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი. ასეთ გამოთქმებს მიეკუთვნება: „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“, „დატაცება“, „გულგრილობა“, „ბოროტმოქმედება“ და ა. შ. ამ შემთხვევაში რევიზორი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით, როგორიცაა: „დანაკლისი“, „ნამეტი“, „მატერიალური ზარალი“ (ოდენობის აღნიშვნით), „დარღვეულია კანონი“ (დებულება, ინსტრუქცია, ბრძანება და სხვ). ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა მიეთითოს სახელდობრ

რომელი კანონია (დებულება) დარღვეული და ვინ არის პასუხისმგებელი (პირი, ბრიგადა).

რევიზორს არ გამოაქვს ორგანიზაციული ხასიათის დასკვნები სარევიზიო ორგანიზაციის ხელმძღვანელების მისამართით. ასეთი ხასიათის ღონისძიებათა მიღება ხდება რევიზიის შედეგების მიხედვით, თვით მარევიზირებელი საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით"[1].

რევიზიის აქტს უნდა დაერთოს დამნაშავე მუშაკების ახსნა-განმარტება. ის საბუთები, რომლებიც რევიზიამ არ მიიღო და ახსნა-განმარტება თუ რატომ არ მიიღეს ეს დოკუმენტები.

გაფლანგვის, მითვისების, ქურდობის ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად კოოპერაციული ორგანიზაციები მატერიალურ ზარალს განიცდიან. მათ, როგორც დაზარალებულ ორგანიზაციებს, ევალებათ დამნაშავე პირებს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვონ, რაც ფორმდება სამოქალაქო სარჩელის სახით.

სასარჩელო განცხადებაში უნდა აღინიშნოს სარჩელის წარმდგენი ორგანიზაციის ზუსტი დასახელება და მისამართი, მოპასუხის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, საქმის არსი, ე. ი. ის საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც ხდება სარჩელის წარდგენა და სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთები. სასარჩელო განცხადებაში უნდა განისაზღვროს მიყენებული ზარალის ის რაოდენობა, რაც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს. სასარჩელო განცხადებას ხელს აწერს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვისი სახელითაც ეს განცხადება შეიტანება.

სამოქალაქო სარჩელი, როგორც წესი, სასამართლოს წარედგინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან ერთად. ეს არა მარტო უზრუნველყოფს დაზარალებული კოოპერაციული ორგანიზაციების ქონებრივ ინტერესებს, არამედ დიდად ეხმარება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს საქმის წარმატებით წარმართვაში, განსაზღვრავს ზარალის რაოდენობას, რაც აუცილებელია დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის. თუ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის გადაცემულ მასალებში სარჩელის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაშინ იგი აუცილებლად უნდა წარედგინოს საგა-

---

[1] გ. გურგენიძე, „ბუხჰალტრული აღრიცხვისა და სასამართლო-საბუხჰალტრო ექსპერტიზის საფუძვლები", თბილისი, 1971 წ.. უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 235-236.

მომძიებლო ორგანოებს გამოძიების პროცესში, ან სასამართლოს, ამ უკანასკნელის მიერ სამსჯავროს განხილვის დაწყებამდე.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის მასალების გადაცემის შემოწმება ევალებათ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მომუშავე რევიზორებსა და იურისკონსულტებს. ისინი ვალდებულნი არიან ზემდგომი ორგანიზაციების გამგეობების წინაშე დააყენონ საკითხი იმ მუშაკების შესახებ, რომლებიც დაარღვევენ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებზე მასალების გადაცემის წესს და ვადებს. მათვე ეკისრებათ მკაცრად ადევნონ თვალი სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში გადაცემული მასალების მართებულად გაფორმებას და დოკუმენტურად დასაბუთებას, აგრეთვე კოოპერაციული ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალის სწორად განსაზღვრას და ანაზღაურებას.

სარევიზიო კომისიებმა ყოველთვიურად უნდა შეამოწმონ განიხილეს თუ არა შესაბამისმა გამგეობებმა დანაკლისის, გაფლანგვის, მითვისებისა და ა. შ. საქმეები და რა ღონისძიებები დასახეს მათ აღმოსაფხვრელად. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საქმის ისე მოწყობას, რომ არც ერთი ასმანეთიანი. რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვინმეს ხელში, არ ასცდენოდა უკანვე სახელმწიფო ხაზინას.

არც ერთი დამნაშავე პირი უსაფუძვლოდ არ უნდა განთავისუფლდეს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან. ის ხელმძღვანელი, რომელმაც ვერ უზრუნველყო საქონლის ნორმალურად შენახვა და დაცვა ჯეროვნად უნდა დაისაჯოს. სასჯელის მოხდის ადგილზე სათანადო კონტროლი უნდა დაწესდეს მსჯავრდადებულთა გამომუშავებიდან გაფლანგვით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. დავალიანების ასანაზღაურებლად პერიოდულად უნდა შემოწმდეს იმ მოვალეთა ქონებრივი მდგომარეობაც, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი, მაგრამ მიყენებული ზარალი არ აუნაზღაურებიათ. საზოგადოებრივი ქონების გამფლანგველები უნდა ვაიძულოთ რომ ზარალი აანაზღაურონ.

სახალხო სასამართლო განაჩენის საფუძველზე სამოქალაქო სარჩელის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელს უგზავნის აღმასრულებელ ფურცელს მოპასუხის (ადგილსამყოფელის) მიხედვით. აღმასრულებელს ევალება განაჩენის იმ ნაწილის აღსრულება, რომელიც ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას შეეხება. სასამართლოს მიერ აღმასრულებელი ფურცლის აღმასრულებელზე გადაცემა, რო-

გორც წესი, უნდა ეცნობოს იმ ორგანიზაციას, რომლის სასარგებ-ლოდაც უნდა მოხდეს გადახდევინება.

სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეუდგეს განაჩენის სისრულეში მოყვანას, რათა დამნაშავეს კო-ოპერაციული ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი აანაზღაურებინოს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ სოციალისტური ქონების დაცვისათვის ბრძოლას მხოლოდ მაშინ ექნება წარმატება, როდესაც დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლის სასჯე-ლის გამოყენებასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება იმ მატე-რიალური ზარალის ანაზღაურება, რაც მიყენებულია დანაშაულით.

გადახდევინება ხდება ყადაღის დადებით. თუ ის ქონება, რო-მელსაც ყადაღა დაედო, საკმარისი არ არის ზარალის ასანაზღაუ-რებლად, სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია პირადად მიიღოს ზომები სხვა ისეთი ქონების აღსაწერად, რომელზეც შეიძლე-ბა გადახდევინების მიქცევა. თუ ეს შეუძლებელია ან მოვალეს (მო-პასუხეს) სხვა ქონება არ გააჩნია, საჭიროა დადგინდეს მისი სამუ-შაო ადგილი და აღმასრულებელმა ხელფასიდან გადაახდევინოს. მანვე უნდა შეამოწმოს სწორედ ხდება თუ არა ხელფასიდან და-ქვითვა.

როდესაც მოვალე (მოპასუხე) გადადის სხვა სამუშაოზე, აღმას-რულებელი ფურცელი უბრუნდება სასამართლოს აღმასრულებელს, გადახდევინებული თანხისა და მოვალის (მოპასუხის) ახალი სამუ-შაო ადგილის აღნიშვნით. სასამართლოს აღმასრულებელი ვალდე-ბულია ეს ფურცელი დაუყოვნებლივ გაგზავნოს მოპასუხის ამ ახალ სამუშაო ადგილზე.

თუ ყველა ღონისძიების მიუხედავად, დამნაშავეს აღარ შეუძ-ლია ვალის გადახდა, აღმასრულებელმა უნდა შეადგინოს აქტი და წარუდგინოს სასამართლოს დასამტკიცებლად. ასეთი აქტის შედგე-ნას აუცილებლად უნდა დაესწროს დაზარალებული კოოპერაციული ორგანიზაციის წარმომადგენელიც.

აქტის დამტკიცების შემდეგ სასამართლოს აღმასრულებელი მას აღმასრულებელ ფურცელთან ერთად უგზავნის დაზარალებულ კო-ოპერაციულ ორგანიზაციას. კოოპერაციულ ორგანიზაციას მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა უფლება დანაკლისი ჩამოწეროს. დანაკლისის

ჩამოწერა ფორმდება კოოპერაციული ორგანიზაციის დადგენილებით.

ზარალის ჩამოწერა არ ნიშნავს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე საბოლოოდ უარის თქმას. მართალია, ორგანიზაცია ამ თანხას ბალანსიდან ჩამოწერს, მაგრამ შემდეგ სისტემატური კონტროლი უნდა დააწესოს ქონებრივი მდგომარეობის შეცვლაზე. თუ შემდგომში მოვალეს ქონებრივი მდგომარეობა გაუუმჯობესდა, შეიძლება აღმასრულებლის წინაშე კვლავ დადგეს მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.

პატიმრობაში მყოფი პირისაგან ზარალის ანაზღაურება ანალოგიურად ხდება, აღმასრულებელი ფურცლის საფუძველზე. თუ კოოპერაციული ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება არ შეიძლება მსჯავრდადებულისათვის ფასეულობათა ჩამორთმევისა და მისი კუთვნილი ქონების რეალიზაციის გამო, მაშინ აღმასრულებელი ფურცელი ვალის მითითებით იგზავნება იმ შრომა-გასწორების დაწესებულებაში, სადაც დამნაშავე სასჯელს იხდის და ხელფასიდან უქვითავენ. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ კოოპერაციულმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს სახალხო სასამართლოს განცხადებით აღმასრულებელი ფურცლის შეჩერების შესახებ. ამ განცხადების საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება აღსრულების დროებით შეჩერების შესახებ.

კოოპერაციული ორგანიზაციის მიერ მიღწეული ღონისძიებები, კერძოდ, მასალების გაფორმება და მათი გადაცემა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებზე, საქმეთა სწრაფი გამოძიება და განხილვაში დახმარება, აგრეთვე კოოპერაციული ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება მხოლოდ მაშინ განხორციელდება წარმატებით, თუ უზრუნველყოფილი იქნება ყოველდღიური კონტროლი.

მასალების სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადაცემის, საქმის მსვლელობის და თანხების ანაზღაურებაზე მეთვალყურეობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სისტემატურად ხდებოდეს თითოეული ამ ოპერაციის აღრიცხვა და რეგისტრირება.

სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლაა საჭირო. ამ საქმეში მეტად დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვს მათ წინააღმდეგ მასალების დროულად და ხარისხიანად გაფორმებას, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანო-

ებისათვის მათ დროულად გადაცემას, ამ საქმეთა წარმოებაზე მეთვალყურეობას და სისტემატურ კონტროლს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა, სხვა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად ყოველგვარი ღონისძიება უნდა მიიღონ, ამ სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩატარების პროცესში რევიზორმა უნდა შეამოწმოს არა მარტო ის თუ როგორ ხორციელდებოდა სარევიზიო ობიექტში რევიზიის მასალების გაფორმება და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებზე საქმეების გადაცემა, არამედ პირადად უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომები, ამასთან უნდა გაატაროს კანონით გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით მაქსიმალურად ანაზღაურდება მიყენებული ზარალი.

სამუშაო გეგმა

სარევიზიო ბრიგადისა (რევიზორისა) _____

_____

(გვარი, ინიციალები)

_____

(სარევიზიო ორგანიზაციის საწარმოს დასახელება)

197 წ. _____ დან 197 წ. _____ მდე

№№ რიგზე	სამუშაოს დასახელება	რევიზიის მოცულობა და ზესი (მთლიანად თუ შერჩევით)	შესრულებელი	შესრულების ვადა	
				გეგმით	ფაქტიურად
1	2	3	4	5	6

დანართი № 2

სანიმუშო უწყისი

ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა უკანონო ხარჯვის, სახარჯთაღრიცხვო, საფინანსო, საშტატო დისციპლინისა და სხვა დარღვევების ფაქტებისა

დადგენილი რევიზიის მიერ _____ _____

197 წ. _____ დან 19/ წ. _____ მდე (რევიზიაჩატარებულ ორგანიზაციის, საწარმოს დასახელება)

№№ რიგზე	საბუღალტრო გატარება		დოკუმენტი			ოპერაცია		დარღვევის სახე	თანამდებობა და გვარები პირებისა	
	თარიღი	№	დასახელება	თარიღი	№	მოკლე შინაარსი	ჯამი		რომლებმაც ჩაატარეს ოპერაცია	რომლებმაც ნება დართეს ან დააშტამპეს ოპერაცია

დანართი № 3

დოკუმენტური რევიზიის პერიოდში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციების ჩატარების შესახებ

საწარმოებში _____

(ორგანიზაციის. რაიონის, ოლქის დასახელება)

197 წ. _____

№№ რიგზე	საწარმოს დასახელება	საწარმოს გამგის გვარი, სახელი და მამის სახელი	რა თარიღისათვის იყო ჩატარებული ნაწილი ინვენტარიზაცია	შეებულებში გამგ-ების თარიღი წმ-სულობის გადაბ-რებით	რა თარიღისათვის არის ჩატარებული ინვენტარიზაცია რევიზიის დროს	საქონლისა და ტარის ნაშთი ანგარიშებში ინ-ვენტარიზაციის დღი-სათვის დავთრების მონაცემებით		საქონლისა და ტარის ნაშთი მანეულებში ინ-ვენტარიზაციის მო-ნაცემებ'ით	
						საქონლის	ტარის	საქონლის	ტარის
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ინვენტარიზაციის შედეგები მანეთებში										ინვენტარიზაციის დროს აქტები შეკრებილია				
წვრილმანი დანაკლისი		მსხვილი დანაკლისი		ნამეტი		საკონტროლო შემოწმება ჩაატარა		დანაკლისის დასადგენ-ად რევიზიის ჩერილ-ში გაღახდვეულ-ბელია მანეთებში	სასამართლო ორგან-ებში საქმის გადაცემის თარიღი	არასრულფასო-ვანი. ჩირეხ-დელი სახე და-კარგულ საქ-ონელზე მანეთებ-ში	გაფუჭებულ სა-ქონელზე მანე-თებში	ფასებ-ის დამა-ნიჭებაზე მანე-თებში	ეფექტიანი საქ-ონელზე მანეთებში	შენიშვნა
საქონლის	ტარის	საქონლის	ტარის	საქონლის	ტარის	თარიღი	ვინაც, სახე-ლი, მამის სახელი							
11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25

ცნობა

მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე, რომლებზეც საქვეანგარიშოდ რიცხულ ფასეულობაზე სამომხმარებლო კავშირის (სამომხმარებლო კოოპერაციის) დოკუმენტური რევიზიის დროს არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია

197 წ. ——————

№№ რიგზე	საწარმოს დასახელება	მატერიალურად პასუხისმგებელი პირის გვარი	რა დროიდანაა ამ თანამდებობაზე	შეკანასკნელად როდის ანა ინვენტარიზაცია ფასეულობათა მიდებარეებიან	რა თარიღისთვის იყო ჩატარებული უკანასკნელი ინვენტარიზაცია	ფასეულობათა საფაქტო ნაშთი რევიზიის მომენტისათვის	ამ ინვენტარიზაციის შედეგები	ინვენტარიზაციის ჩატარებლობის მიზეზები
1	2	3	4	5	6	7	8	9

ცეკავშირი
დუშეთის რაიკოოპკავშირის
დამზადების კანტორა

შედარებითი უწყისი

გადატვირთულ პარტია მატყლზე, რომლის შენახვაზე პასუხისმგებელია მენედლე ჩერნიგოვის მატყლის პირველადი გადამმუშავებელი ფაბრიკა. სპეციფიკაცია

ნედლეულის დასახელება სააღრიცხვო ნომენკლატურის მიხედვით	მრეწველობის მიღების აქტით		სპეციფიკაციის მონაცემები	
	რაოდენობა, წონა კგ-ობით	თანხა	რაოდენობა, წონა კგ-ობით	თანხა
1	2	3	4	5
1. მატყლი ნაზი, კანძობრივი .	1080	9038	1240	8693
2. მატყლი დაბალი ხარისხის .	273	201	370	276
3. მატყლი ნახევრად ნაზი, კანძობრივი	798	4322	683	4245
4. მატყლი ნახევრად ნაზი, კანძობრივი, დაბალი ხარისხის .	410	225	275	163
5. მატყლი ნახევრად უხეში	470	2037	380	2146
6. მატყლი უხეში	1148	8317	1340	8103
7. მატყლი ნაზი და ნახევრად ნაზი, გაპარსული მეორედ, მატყლი დაცემული ცხვრებიდან და ტყავიდან განაკრეკი .	256	448	360	687
8. ქარხნული წარმოების მატყლი	200	—		
ჯამი: .	4635	24588	4648	24313

ჯორჯი ივანეს ძე ბექაური. ნედლეული გადატვირთულია შემდეგი მისამართით:
№ 24, 16 სექტემბერი, 1971 წელი, მიმღების მისაღები აქტი № 28/243,
28 ნოემბერი, 1971 წ.

სხვაობა ფაქტიურ ნაშთსა და წიგნობრივ ნაშთებს შორის				ურთიერთშემცველი სახეების ჩათვლა			
მეტობა		ნაკლებობა		მეტობა		ნაკლებობა	
რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი
6	7	8	9	10	11	12	13
	345	160				115	
		97	75			97	
115	77			115			
135	62			87			
90			109	90			
	214	192				90	
		104	239				
200							
540	698	553	423	302		302	

ნედლეულის დასახელება საალრიცხვო ნომენკლატურის მიხედვით	გაანგარიშება მატყლის ნორმალური დანაკოგებისა		ექვემდებარება ჩაბარებას	
	ბრუნვა კგ-ობით	დანაკარგების ნორმა %-ობით	რაოდენობა, კგ-ობით	თანხა
1	15	16	17	18
1. მატყლი ნაზი, კანძობრივი .				
2. მატყლი დაბალი ხარისხის .				
3. მატყლი ნახევრად ნაზი, კანძობრივი				
4. მატყლი ნახევრად ნაზი, კანძობრივი, დაბალი ხარისხის				
5. მატყლი ნახევრად უხეში				
6. მატყლი უხეში				
7. მატყლი ნაზი და ნახევრად ნაზი, გაპარსული მეორედ, მატყლი დაცემული ცხვრებიდან და ტყავიდან განაკრეკი .				
8. ქარხნული წარმოების მატყლი				
ჯ ა მ ი:				

საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე (დირექტორი) — ხელმოწერა

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი (თანამდებობა, ხელმოწერა)

პასუხისმგებელი პირის განმარტება (ხელმოწერა)

„——“——————— 197 წ.

გაუმართლებელი დანაკლისები (საშუალო ფასებით)			ჩაუთვლელი ზედმეტობა საშ. ფასებით ნაკლებგადახდა ჩამბარებლებზე				ღაქვეითება (—), გადიდება (+) ნედლეულის შენახვაზე
	თანხა		ნამეტი		ნაკლებგადახდა		
რაოდენობა ან წონა კგ-ობით	მესაკიდელ ფასები	სასარჩელო ღირებულება	რაოდენობა ან წონა კგ-ობით	თანხა	გაუპარიანებელ ღ	ეკვემდებარ. ჩამ. გასალებას	
19	20	21	22	23	24	25	26
45	319	324—60					+664
							—75
							+77
			38	24			+38
							—109
102	612	624—70					+826
104	187	200					—52
			200	—			
251	1118	1149—30	238	24			+1369

საინვენტარიზაციო კომისიის წევრები:

1. უფ. ბუხალტერი
2.
3.

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი. ხელმოწერა)

დირექტორის განკარგულება (ხელმოწერა)

ცეკავშირი
დუშეთის რაიკოოპკავშირის
დამზადების კანტორა

შედარებითი უწყისი

გადატვირთული ტყავნედლეულის პარტიაზე, რომლის შენახვაზე პასუხისმგებელი მისამართით: ბათუმის ტყავნედლეულის პირველადი გადამმუშავებელი ბაზა,

ნედლეულის დასახელება საალრიცხვო ჯგუფების მიხედვით	მისაღები აქტით		სპეციფიკაციის მონაცემებით	
	რაოდენობა, წონა კგ-ში	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ში	ფასი
1	2	3	4	5
1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავი	40	443	52	262
2. ცხენის ტყავი	16	90	17	85
3. ხბოსა და მოზარდის ტყავი .	54	202	43	172
4. ცხვრის ბეწვის საქურქე .	250	1347	243	1458
5. ცხვრის საქურქე . .	177	1038	185	1295
6. „ გაკრეჭილი .	376	412	375	375
7. თხის ტყავი . .	50	223	52	208
8. კვიცის ტყავი	14	42	13	39
9. კონტურნი მსხვილი ტყავი .	23	52	22	66
10. „ წვრილი ტყავი (თხა და ცხვარი)	8	10	15	15
11. ნაკრები	9	1	—	
ჯამი .				

ლია მენედლე გიორგი ივანეს ძე ბექაური, ნედლეული გადატვირთულია შემდეგ სპეციფიკაცია № 25, 18 სექტემბერი, 1971 წ., მიმღების მისაღები აქტი № 343. 20 დეკემბერი, 1971 წელი

სხვაობა წიგნობრივ და ფაქტიურ ნაშთებს შორის				ურთიერთშემცვლელი სახეების ჩათვლა			
მეტობა		დანაკლისი		მეტობა		დანაკლისი	
რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი	რაოდენობა, წონა კგ-ობით	ფასი
6	7	8	9	10	11	12	13
		12	119			12	
	5	1				1	
11	30			11			
7			111	7			
		8	257			7	
1	37						
	15	2					
1	3			1			
1				1			
			14				
		7	5				
9	1						

ნედლეულის დასახელება სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით	გაანგარიშება მატყლის ნორმალური დანაკარგებისა			
			ექვემდებარება ჩამოწერას	
	ბრუნვა ტონებით	დანაკარგების ნორმა %-ებში	დანაკარგი წონა (კგ)	ნ ო ტ ი
14	15	16	17	18
1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავი				
2. ცხენის ტყავი				
3. ხბოსა და მოზარდის ტყავი				
4. ცხვრის ბეწვის საქურქე				
5. ცხვრის საქურქე				
6. „ „ გაკრეჭილი				
7. თხის ტყავი				
8. კვიცის ტყავი				
9. კონტურნი მსხვილი ტყავი				
10. „ „ წვრილი ტყავი (თხა და ცხვარი)				
11. ნაჭრები				
ჯ ა მ ი:				

მე-11 და მე-13 სვეტებში აღინიშნება თანხები მხოლოდ ინვენტარიზაციის დროს

საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე (დირექტორის) — ხელმოწერა

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი (თანამდებობა, ხელმოწერა)

„——“——————— 197 წ.

გაუმართლებელი დანაკლისი (საშუალო ფასებით)			ჩაუთვლელი ზედმეტობა (საშ. ფასებით) და ნაკლებგადახდა ჩამბარებლებზე				დაკვეთილება (—) გადიდება (+) წარმოებულის წარმოებაში
	თანხა		ნამეტი		ნაკლებგადახდა		
რაოდენობა ან წონა კგ-ობით	შესყიდვის ფასებით	სამეცნ. ღირებულებით	რაოდენობა, წონა კგ-ობით	თანხა	გაუმართლებელი	ეკუთვნილი ჩამბარებლებზე გასაღდება	
19	20	21	22	23	24	25	26
							—119
							+5
							+30
							—111
1	7	8—05	1	1			—250
2	8	9—60					+36
							+23
							+3
							—14
7	7	8—05	9	1			+2
							—
10		25—70	10	2			—395

საინვენტარიზაციო კომისიის წევრები:

1. უფ. ბუხალტერი
2.
3.

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი. ხელმოწერა)

დირექტორის განკარგულება (ხელმოწერა)

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 4
სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში 8
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადება-შესყიდვის ორგანიზაცია 14
სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ოპერაციების რევიზიის ამოცანები 20
ფულადი საშუალებების, ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისა და საქვეანგარიშო თანხების რევიზია 29
სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ინვენტარიზაცია და მისი შედეგები 40
სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების, შენახვისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია . 61
ა) მატყლის ოპერაციები 62
ბ) ტყავნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია 79
გ) დაფნის ფოთლის და ლუფის დამზადებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია 85
დ) კვერცხის დამზადება-რეალიზაციის ოპერაციების რევიზია . 89
ე) მეორადი ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის ოპერაციების რევიზია 90
სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვა-რეალიზაციის რევიზია 98
ა) ხილის დამზადების ოპერაციების რევიზია 103
ბ) კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების ოპერაციების რევიზია 106
მიმოქცევის ხარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის რევიზია . . 112
სბუხალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების რევიზია 128
რევიზიის მასალების გაფორმება და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებზე გადაცემა 131
დანართები 141

რედაქტორი მ. გოგილაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ტუხაშვილი
ტექრედაქტორი ჯ. რთველიშვილი
კორექტორი ლ. ჭელიძე
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 14/VII-72, ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/X-72, ქაღალდის ზომა 60×84 1/16, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,07. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 7.76.
უე 01548. ტირაჟი 1000. შეკვ. № 2012.
ფასი 39 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

თბილისი, ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3
Тбилиси, Типография Цекавшири, ул. Пушкина № 3